● ყოველ P კბილს მოჰყვება QRS კომპლექსი, წინაგულების და პარკუჭების შეკუმშვა კოორდინირებულია

● P-R ინტერვალი ნორმალური ხანგრძლივობისა და ყველა კომპლექსში ერთნაირია

● ძლიერი ტაქიკარდიის დროს TP ინტერვალი მკვეთრად შემცირებულია და P კბილი შეერთებულია უშუალოდ T კბილთან. ამ დროს ხშირია ST სეგმენტის ცდომა და T კბილის დეფორმაცია




მაღალი სისშირის სინუსური ტაქიკარდია. T და P კბილები ერთმანეთს უახლოვდება, შეიძლება მოხდეს მათი დამთხვევა




გულისცემის სიხშირე(HR)	ცვალებადი სტრესისა და აქტივობის შესაბამისად • ჩვილებში HR < 220; • ბავშვებში HR < 180.
P კბილები	ვიზუალიზდება, ნორმალურია
PR ინტერვალი	მუდმივი, ნორმალური ხანგრძლივობის
R-R ინტერვალი	ვარიანტული
QRS კომპლექსი	ვიწრო



10 თვის ფეხბრუნველი ჩვილი. გულისცემის სიხშირე 180/წუთში, QRS კომპლექსის ხანგრძლივობა შეესაბამება ასაკობრივ ნორმას (<0.09 წმ). გულისცემის მაღალი სიხშირე შეესაბამება ცხელებას, კბილი გამოხატულია და ნორმალურია. მუდმივი PR-ის ფონზე HR-ის მსუბუქად გამოხატული ვარიანტულობა




მაღალი P, T, ან U კბილები მიუთითებს სიმპათიკური ტონუსის მომატებაზე




ST ინტერვალის დეპრესია დაბალი ან ზოგჯერ უარყოფითი T კბილით. ეს მხოლოდ ხანგრძლივი და მაღალი სიხშირის ტაქიკარდიის დროს ფიქსირდება

დიფერენციალური დიაგნოზი



მაღალი სიხშირის სინუსური ტაქიკარდიის დროს T და P კბილები ერთმანეთს უახლოვდებიან და შეიძლება მოხდეს მათი დამთხვევა



კაროტიდულ სინუსზე ზეწოლის შემდეგ გულის მუშაობა მცირდება და კბილები ერთმანეთს შორდება

- უნდა მოხდეს სინუსური და ექტოპიური ტაქიკარდიის გარჩევა
- თუ რითმი სინუსურია, უნდა დიფერენცირდეს გულისმიერი მიზეზითაა გამოწვეული თუ არა გულისმიერი
- ექტოპიური ტაქიკარდიები, რომელთაც შეუძლიათ სინუსური ტაქიკარდიის სიმულირება  
პარაკუჭზედა პაროქსიზმული ტაქიკარდია  
წინაგულების თროტოლგა ატრიოვენტრიკულური ბლოკადით 2:1  
წინაგულების ციმციმი პარაკუჭების ხშირი შეკუმშვით პარაკუჭოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდია

ჯერ კიდევ არ არის, თუმცა ის შესაძლოა მრავალ ასპექტს მოიცავდეს:

სინუსური კვანძის თანდაყოლილი ზეაქტივობა

არანორმული აუტონომიური რეგულაცია ჭარბი სიმპათიკური აქტივობით (მაგ. ბეტა-რეცეპტორების აუტონტისხეულები)

შემცირებული პარასიმპათიკური აქტივობა (მაგ. მუსკარინული რეცეპტორების დაბალი მგრძობელობა)

ნეიროჰორმონული მოდულაციის გავლენა (მაგ.: კატექოლამინები, ვაზოინტესტინური პეპტიდი, ნეირიპეპტიდი)

- IST ჩვეულებრივ გვხვდება ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მღვდრობით სქესში და ახასიათებს კლინიკური ვარიანტულობა
- გამოვლინდება: გულის ფრიალი (ძირითადი სიმპტომი), დისპნოე, დაღლილობა, გულ-მკერდის არეში დისკომფორტი, თავბრუს, პრე-სინკოპე...
- IST ჩვეულებრივ განიხილება, როგორც კეთილთვისებიანი არით-

სიმპტომები	სინუსური ტაქიკარდია	პარაკუჭზედა პაროქსიზმული ტაქიკარდია
დასაწყისი და დასასრული	თანდათანობითი	უეცარი
გულისცემის სიხშირე	150-მდე წუთში	160-200 და მეტი წუთში
რიტმი	ხშირად მცირედ გამოხატული არასწორი რითმი, შესაძლოა შეესაბამებოდეს სუნთქვით არითმიას	სწორი
ვაგუს მანევრის ეფექტი-ზეწოლა კაროტიდსა და თვალეზზე	მოკლე დროით სიხშირის თანდათანობით შემცირება, უკეთ გამოხატული P კბილი	კუპირდება ან არაა ეფექტი
სიმპათიკური ეფექტი-ფიზიკური დატვირთვა	გულისცემის სიხშირის გაზრდა	ეფექტი არაა

„შეშხაბამო“ სინუსური ტაქიკარდია

IST განისაზღვრება, როგორც გულისცემის სიხშირის მუდმივი გაზრდა, რომელიც არაა დაკავშირებული ფიზიკური, ემოციური ან ფარმაკოლოგიური სტრესის დონესთან და პათოლოგიურ პროცესთან

IST-ის პათოფიზიოლოგიური მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი

მია, თუმცა შესაძლოა იყოს კარდიომიოპათიის ერთ-ერთი გამოვლინება

• დიაგნოსტიკა სინუსური ტაქიკარდიის შესაძლო მიზეზების გამორიცხვის და ნორმის შესაბამისი ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული მანევრების შემდეგ ხდება

- მკურნალობის პირველი ხაზი



ბეტა-ბლოკერები და Ca ანტაგონისტებია

• მკვეთრად სიმპტომურ პაციენტებსა და პრეპარატებისადმი რეფრაქტორულ შემთხვევებში რადიოსისთირული კათეტერული აბლაციის საკითხი დგება

### დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული კვლევები და სპეციალისტთა კონსულტაციები

- უწყვეტი მონიტორინგი
- ვიტალური ნიშნების შეფასება (T, HR, RR, T/A, SaO2)
- ელექტროკარდიოგრაფია
- გამომწვევი მიზეზის იდენტიფიცირება

### მკურნალობა/მართვა

- ST სპეციფიკურ მკურნალობას არ საჭიროებს
- მართვის ძირითადი პრინციპია გამომწვევი მიზეზის მკურნალობა
  - ვინაიდან შთ უფრო არასპეციფიური კლინიკური ნიშანია, ვიდრე ნამდვილი არითმია, არ უნდა შეეცადოთ HR-ის შემცირებას ფარმაკოლოგიური ან ელექტრო ჩარევის საშუალებით
  - თუ გამომწვევი მიზეზის მკურნალობა სწორად მიმდინარეობს, ეკგ მონიტორზე გულისცემის სისწილე თანდათან კლებულობს
  - შთ-ის დროს, ფონური დაავადების ადეკვატური მკურნალობის შემთხვევაში, სასიცოცხლო მახვენებლების გაუარესება, პერფუზიის დარღვევა, კარდიოვასკულური უკმარისობა ძირითადად მოსალოდნელი არ არის, რაც შეფასებისა და მართვის არაეფექტურობაზე მიუთითებს და დაუყოვნებლივ მოითხოვს რიტმის გადამოწმებას
  - გულის ნაკლოვანების დროს საჭიროა გლიკოზიდები, სალურეტიკები და ბეტა-ადრენობლოკატორები კომპლექსურად ან ცალ-ცალკე
  - ნევროგენული სინუსური ტაქიკარდიისას რეკომენდებულია ფსიქოთერაპია

სედაციური საშუალებანი  
ტრანკვილიზატორები  
ნეიროლეპტიკები  
ბეტა-ბლოკატორები

### და ბოლოს

მართალია პედიატრიულ კონტიგენტში პირველადი არითმიები ხშირ პათოლოგიას არ წარმოადგენს, მაგრამ მისი ყოველი შემთხვევა ყურადღებით უნდა შეფასდეს, რათა მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში რაციონალური გეგმა დაისახოს და თავიდან ავიცილოთ არასწორი მართვა და მისი შედეგები

### ICD10

R00.0 ტაქიკარდია, დაუზუსტებელი

### გამოყენებული ლიტერატურა

Emergency diagnosis and management of pediatric arrhythmias, Carla R Hanash and Jane E Crosson, 2010 Jul-Sep; 3(3): 251–260

ტაქიარითმიების დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში – პროტოკოლი, 2014 წ

კლინიკური ლექციები – ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები, მ.მ.დ. პროფესორი, აკადემიკოსი გიორგი ჩახუნაშვილი, მედიცინის დოქტორი ნინო ჯობავა, 2015

კარდიოლოგია - დ.ტივლიდანი, თბილისი 2002

Celebi OO, Canbay A, Celebi S, et al. Inappropriate sinus tachycardia – successful treatment with ivabradine. Kardiol Pol. 2010;68:935-93

Нарушения ритма сердца, Томов Ј., 1979 г

Primary cardiac arrhythmias in children, Sacchetti A, Moakes ME, Pediatr Emerg Care. 1999 Apr;15(2):95-8

Keith A, Flack M. The form and nature of the muscular connections between the primary divisions of the vertebrate heart. J Anat Physio; 41:172–189

### რეზიუმე

## ეკგ-ზე სინუსური ტაქიკარდიის დიაგნოსტიკის კლინიკური ღირებულება

რეზიდენტი: ეკა ნახურიშვილი  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი  
ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის კურსი

მართალია პედიატრიულ კონტიგენტში პირველადი არითმიები ხშირ პათოლოგიას არ წარმოადგენს, მაგრამ მისი ყოველი შემთხვევა ყურადღებით უნდა შეფასდეს, რათა მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში რაციონალური გეგმა დაისახოს და თავიდან ავიცილოთ არასწორი მართვა და მისი შედეგები

### SUMMARY

## DIAGNOSTIC VALUE OF SINUS TACHYCARDIA DETECTED ON ECG

Resident: EKA NAKHURISHVILI  
Tbilisi State Medical University, Pediatric Cardio-rheumatology

It is true that primary arrhythmias in pediatric age are not frequent pathologies, however, every case needs to be evaluated closely to set the right course of management and prevent bad results.

სინუსური ბრადიკარდიის კლინიკური ღირებულება

რეზიდენტი: თათია თელორაძე  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

**ბრადიკარდია**

- ბრადიკარდია შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში
- განისაზღვრება წუთში გულის შეკუმშვათა შემცირებით 50 დარტყმამდე ან ნაკლებით (ასაკობრივი ნორმები)
- გულის რითმის შემცირება თანდათანობით გამოიწვევს პიპოქსიას
- გულის მუშაობის დარღვევა უშედეგოდ არასდროს ჩაივლის, შეიძლება მოხდეს სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის პროვოცირება, რაც იწვევს ორგანოების და სისტემების დისფუნქციას

**ართიმოვი ბავშვთა ასაკში**

პირველადი არითმიები ბავშვთა ასაკში იშვიათია იშვიათად არის გულის სტრუქტურული დაზიანების ადრეული ნიშანი – ის ვლინდება გულის უკმარისობის ნიშნებით ან ციანოზით კვლევების მონაცემებით ბავშვთა ასაკის კარდიოლოგიური პაციენტების მხოლოდ 7%-ს აქვს პირველადი არითმია

**თემის ანტიპათოლოგია**

ბავშვთა ასაკში არასტაბილური არითმიით გამოწვეული ნამდვილი გადაუდებელი სიტუაციები ძალიან იშვიათია, თუმცა, მაინც ხშირია ციმციმის, დაღლილობის და სინკოპეს შემთხვევები არითმიებიდან ყველაზე ხშირად სინუსური ტაქიკარდია გვხვდება, მეორე ადგილზეა სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია ექიმები მზად უნდა იყვნენ ბავშვებში სხვადასხვა ტიპის არითმიის დიაგნოსტიკებისა და მართვისთვის, უნდა შეაფასონ საჭიროა თუ არა შემდგომი დიაგ-



Age	Heart Rate (bpm)	Respiratory Rate (bpm)	Systolic Blood Pressure (mm Hg)	Diastolic Blood Pressure (mm Hg)
Newborn	90-180	30-50	60 ± 10	37 ± 10
1-5 months	100-180	30-40	80 ± 10	45 ± 15
6-11 months	100-150	25-35	90 ± 30	60 ± 10
1 year	100-150	20-30	95 ± 30	65 ± 25
2-3 years	65-150	15-25	100 ± 25	65 ± 25
4-5 years	65-140	15-25	100 ± 20	65 ± 15
6-9 years	65-120	12-20	100 ± 20	65 ± 15
10-12 years	65-120	12-20	110 ± 20	70 ± 15
13+ years	55-110	12-18	120 ± 20	75 ± 15

ნოსტიკური ტესტირება და კარდიოლოგიური შეფასება

**მიზანი**

დავინახოთ სინუსური ბრადიკარდიის კლინიკური ღირებულება და შეგვეძლოს მისი ამოცნობა და დიფერენციული დიაგნოზის გატარება

**ბრადიკარდია ბავშვთა ასაკში**


ვითარდება იშვიათად მოზრდილებთან შედარებით შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ნორმის მაჩვენებელზე ნაკლები შეკუმშვა წუთში უფრო ხშირად მიუთითებს ორგანიზმში არსებულ პათოლოგიაზე, თუმცა შეიძლება იყოს ნორმის დროსაც

**სინუსური ბრადიკარდია**

არის გულის შეკუმშვის სიხშირის შემცირება ასაკობრივ ნორმასთან შედარებით რითმი რეგულარულია და წამყვანი სინუსური კვანძია გამოწვეულია სინუსური კვანძის ავტომატიზმის დაქვეითებით

**ბულის გამტარი სისტემა**

- ანატომიურად გულის გამტარი სისტემა იყოფა წინაგულოვან და პარაკულოვან ნაწილებად
- ფუნქციური თვალსაზრისით მას ყოფენ ორ ნაწილად: სინუსის კვანძად და ატრიოვენტრიკულურ სისტემად



● რითმის წამყვანია სინუსის კვანძი

სინუსის ანუ კის-ფლაკის (Keith, Flack) კვანძი მდებარეობს მარჯვენა წინაგულის სინუსის ზონაში წინაგულთაშუა ძვიდის უკანა მარჯვენა კიდეში მოსაზღვრე ღარის ზემოთ და მის პარალელურად

**სინოატრიული კვანძის ფიზიოლოგია**

სინუსური კვანძის ძირითადი ფუნქცია არის მოქმედების პოტენციალის ინიცირება, რომელმაც უნდა მოიცვას გული და გამოიწვიოს შეკუმშვა მოქმედების პოტენციალი არის მემბრანული პოტენციალის ცვლილება უჯრედის მემბრანის ზედაპირზე, რაც გამოწვეულია იონების მოძრაობით არაპეისმეიკერული უჯრედებისთვის მოქმედების პოტენციალის დამთავრების შემდეგ დგება „შესვენების“ ფაზა ანუ მოსვენების პოტენციალი, რომელიც მთავრდება მაშინ, როცა უჯრედს აღწევს ახალი მოქმედების პოტენციალი



პეისმეიკერულ უჯრედებს არ აქვთ მოსვენების პოტენციალი. მოქმედების პოტენციალის შემდეგ მემბრანა მაშინვე იწყებს დეპოლარიზაციას ავტომატურად – ეს ცნობილია, როგორც პეის-მეიკერული პოტენციალი

გულის გამტარი სისტემის სხვა უჯრედებს ასევე შეუძლიათ მოქმედების პოტენციალის ინიცირება, თუმცა უფრო ნელი რითმით

### სისხლმომარაგება

● სინუსური კვანძის სისხლმომარაგება ხდება სინუსური კვანძის არტერიით

● უმრავლეს შემთხვევაში ეს არტერია არის ერთი, თუმცა არის შემთხვევები, როცა სინუსურ კვანძს ამარაგებს 2 ან 3 არტერია

● ის გამოეყოფა მარჯვენა კორონარულ არტერიას, თუმცა ზოგ შემთხვევაში არის შემომხვევი არტერიის ტოტი, რომელიც მარცხენა კორონარულ არტერიას გამოეყოფა

● ამ ანატომიურ თავისებურებებს არ აქვს მნიშვნელოვანი კლინიკური ღირებულება

### ინერვაცია

გულის რითმი სიმპათიკური (A) და პარასიმპათიკური (V) ნერვების აქტივობაზეა დამოკიდებული

სიმპათიკური ნერვების დაბოლოებები გამოათავისუფლებენ ნეიროტრანსმიტერ ნორადრენალინს, რომელიც უკავშირდება ბეტა-1 ადრენორეცეპტორებს (სინოატრიული კვანძის უჯრედების მემბრანაზე) და ბიოქიმიურ რეაქციათა კასკადის შედეგად ვლინდება დადებითი ქრონოტროპული ეფექტი პარასიმპათიკური ნერვების დაბოლოებები გამოათავისუფლებენ ნეიროტრანსმიტერ აცეტილქოლინს და 2 მუსკარინული რეცეპტორის აქტივაციის გზით აღწევს უარყოფით ქრონოტროპულ ეფექტს

### სინუსური ბრადიკარდიის შეფასება

**გამოვრცხლოთ ყველაზე ცუდი:** შევაფასოთ ჰემოდინამიკა ვეძებთ ბლოკადის ნიშნები გავითვალისწინოთ სინუსის კვანძის სისუსტე: არარეგულარურ ტაქიკარდიას მოსდევს სინუსის კვანძის შენელებული მუშაობა, სტრესსა და ფიზიკურ დატვირთვაზე გულის რითმი არ გახშირდება

### რატომ?

რადგან სინუსური ბრადიკარდია ზოგადად არ არის პირველადი,

### ეტიოლოგია

ფიზიოლოგიური ბრადიკარდია (ნაკლებად ხშირია)	კონსტიტუციური, სპორტსმენებსა და ფიზიკურად მომზადე პირებში, ძილის დროს, დიდი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ მოსვენებისას, თვალზღუდვებსა და კაროტიდულ სინუსზე ზეწოლის შემდეგ, სუნთქვის შეკავებისას, შემინებისას, ემოციებისას, ღებინებისას
ექსტრაკარდიული ვაგუსური ბრადიკარდია (ხშირია)	ვეგეტოსისხლმარღვოვანი დისტონია, დეპრესია, მელანქოლია, ქლასშიდა წნევის მომატება ტვინის შეშუპების დროს, მენინგიტი, ტვინის მოცულობითი წარმონაქმნი, ტვინში სისხლდენა, ლაბირინთის დაზიანება, მენიერის სინდრომი, ზემგრძობიარე კაროტიდული სინუსი, შოკის დასაწყისი, არტერიული წნევის უეცარი მომატება, ვაგო-ვაგალური რეფლექსები თირკმლის, კუჭის, ნაწლავების კოლიკის დროს, ნაწლავების გაუვალობა, ნეფრიტი, მიქსედემა, ჰიპოპტიტიტარიზმი
ტოქსიკური და მედიკამენტოზური ბრადიკარდია	ფუტკარი, ოპიატები, ქინინინი, ლიდოკაინი, პროკაინამიდი, აცეტილქოლინი, რეზერპინი, გუანეტიდინი, ბეტა-ბლოკერები, ტრანკვილიზატორები, პილოკარპინი, ურემია, სოკოთი მოწამვლა, ჰიპერკალიემია, სიცივთლე
ინფექციები	ჰეპატიტი, გრიპი, მუცლის ტიფი, ხანდახან დიფტერიის, ქოლერის დროს, აგრეთვე რეკონვალესცენციის პერიოდი
მიოკარდიუმის დაავადებების დროს	კორონარული ათეროსკლეროზი და ათეროსკლეროზული მიოკარდიოსკლეროზი, სინოაურიკულური კვანძის იშემიურ-დეგენერაციული დაზიანება, მიოკარდიუმის ინფარქტი, დიფტერიული მიოკარდიტი, რევმოკარდიტი, კარდიომიოპათია

უნდა ვეძიოთ სხვა გამომწვევი მიზეზები

ჰიპოქსია, ბლოკადა, ჰიპოთერმია, ჰიპერკალემია/ჰიპოკალემია, ტრაფმა, ტოქსინები (ლითიუმი, დიგოქსინი, ბეტა-ბლოკერები, Ca-არხის ბლოკერები, კლონიდინი)

არ უნდა გამოგვრჩეს: ჰიპოგლიკემია, ჰიპოთირეოიდიზმი, მაღლურტრიცია, ანორექსია

### რატომ არის ბრადიკარდია საშიში

კვლევების მიხედვით დამტკიცებულია, რომ გულის რითმი და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ურთიერთდამოკიდებულია: რაც უფრო იშვიათია შეკუმშვა (ნორმის ფარგლებში), მით მეტია სიცოცხლის ხანგრძლივობა

მაგრამ როცა შეკუმშვების რაოდენობა ნაკლებია ნორმაზე, ამ დროს თავის ტვინი ვერ იღებს ფუნქციონირებისთვის საჭირო რაოდენობის ჟანგბადს, ჟანგ-

ბადოვან შიმშილს განიცდის ყველა ორგანო, მიოკარდიუმი იფიტება, გულის მოცულობა იზრდება (ჯერ ჰიპერტროფია, შემდეგ დილატაცია) იმის გამო, რომ მას სჭირდება მეტი სისხლის განდევნა ერთი შეკუმშვისას. არის რისკი გულის უეცარი გაჩერების ან გულის რუპტურის

### კლინიკური ღირებულება

სინუსური ბრადიკარდიის დროული დიაგნოსტიკა და გამომწვევი მიზეზების დადგენა ხელს შეუწყობს პაციენტის სწორად მართვას ენდოკრინული სისტემის შესაძლო დაზიანების გამორიცხვის მიზნით დროულად მოხდება ენდოკრინოლოგთან მიმართება

ნევროლოგიური შეფასება – ცენტრალური ნერვული სისტემის პათოლოგიის აღმოჩენა მისი არსებობისას

მოხდება სწორი რეკომენდაციების მიცემა სპორტით დაკავებული ბავშვებისთვის

შეფასდა 512 ბავშვი		ჯანმრთელი	26%
გოგონა	56%	სინუსური ტაქიკარდია	41%
ვაჟი	44%	სინუსური ბრადიკარდია	22%
		რიტმის სხვა დარღვევა	11%

ელექტროკარდიოგრამა 12 განხრაში		
სტანდარტული	გამოღებულ	გულმკერდის
I-II-III	AVR-AVL-AVF	V1,2,3,4,5,6



გველის მეთოდოლოგია  
იმპანოზმი

ცდომილი ნერვის ტონუსის მომატება

სიმპათიკური სისტემის ტონუსის დაქვეითება

სინუსური კვანძის უჯრედებზე პირდაპირი ზემოქმედება (ჰიპოქსემია, ინფექცია, ინტოქსიკაცია, ნეკროზი)

სინუსური ბრადიკარდია ყველაზე ხშირად ვეგეტატიური ინერვაციის დარღვევის შედეგია და იშვიათად სინუსური კვანძის უჯრედების დაზიანების შედეგი

იმპულსების გატარება წინაგულეებსა და ატრიოვენტრიკულურ კვანძში მიმდინარეობს ნორმალურად

წინაგულები და პარკუჭები აიგზნებიან და იკუმშებიან კოორდინირებულად

ჰემოდინამია

ჩვეულებრივ, არ გამოიხატება ჰემოდინამიკური დარღვევები (მსუბუქი ფორმა)

გამოხატული ბრადიკარდიის დროს გახანგრძლივებული დიასტოლის შედეგად საკნები ზედმეტად ივსება და დარტყმითი მოცულობაც იზრდება

ძლიერად გამოხატული ბრადიკარდიისას შეიძლება მოხდეს წუთმოცულობის შემცირება თანდათანობით, რაც გამოიწვევს ტვინის იშემიას და განვითარდება სინკოპე

სინუსური ბრადიკარდიის კლასიფიკაცია

- მსუბუქი
- საშუალო
- გამოხატული

დამატებით გამოყოფენ


• შედარებით ბრადიკარდია – ვითარდება სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად (სიცოცხე, სტრესი, ცხელება, ფორსირებული სუნთქვა)

• აბსოლუტური ბრადიკარდია – ვითარდება შინაგანი ან გარეგანი გამღიზიანებლებისგან დამოუკიდებლად


კლინიკური სურათი

სუბიექტური სიმპტომები: ჩვეულებრივ, არ არის. ხანდახან დეპრესია, პრეკორდიული ტკივილი, გულისცემის შეგრძნება, თავბრუსხვევა, გულის წასვლა, დისპნოე


ობიექტური სიმპტომები: რეგულარული რითმის შემცირება ასაკობრივ ნორმასთან შედარებით,



ატროპინის სინჯი: 1მგ შეყვანიდან 15-20წუთში



ფიზიკური დატვირთვის შემდეგ



დიფერენციული დიაგნოზი

ბრადიკარდიის დიაგნოზის დასა მარტივია, მაგრამ შემდეგ უნდა განისაზღვროს სინუსურია ის თუ არასინუსური და თუ სინუსურია, მიოკარდიუმის დაზიანების გამოხატულებაა თუ მისი წარმოშობა ვაგუსურია

დიფერენციული დიაგნოზისთვის საჭიროა იმის ცოდნა, რომ სინუსური ბრადიკარდიის დროს იმპულსების სისშირე იშვიათადაა 40ზე ნაკლები და თითქმის არასდროსაა 30-ზე ნაკლები; ატროპინით ცდის, ფიზიკური დატვირთვის, ემოციების და ორთოსტატიკული ცდის შემდეგ გულის შეკუმშვის სისშირე იმატებს; ხშირად ერწყმის სინუსურ არითმიას

თანდათანობით დაწყება, სისშირის ცვალებადობა (ვაგუსის გაღიზიანებისას რითმის შენელება, სიმპათიკური ნერვის გაღიზიანებისას (ფიზიკური დატვირთვისას, ატროპინით ცდა) – რითმის აჩქარება), გულის ტონები არ იცვლება, კისრის ვენების პულსაცია ემთხვევა გულის შეკუმშვების და პულსის სისშირეს

ადვილად დაღლა, მცირე ფიზიკურ დატვირთვაზეც კი, მაღის დაქვეითება, სიფერმკრთალე, ცუდი მოსწრება სკოლაში, მეხსიერების დაქვეითება, არასტაბილური არტერიული წნევა

დიაგნოსტიკა

- ელექტროკარდიოგრამა
- პოლტერის მონიტორინგი
- გულის ულტრაბგერითი გამოკვლევა
- გულმკერდის რენტგენოგრაფია
- სისხლის საერთო ანალიზი

ეკგ პრეტერითმები

სინუსური წარმოშობის P კბილი ყველა განხრაში

მუდმივი და ნორმალური P-R ინტერვალი – 0,12-0,22წმ

სისშირე – წუთში <60-ზე

QRS კომპლექსი – ცვლილებების გარეშე

რეგულარული ან ოდნავ არარეგულარული რითმი, ხანდახან ერწყმის სინუსურ არითმიას ყოველ კბილს მოჰყვება QRS კომპლექსი – კოორდინირებული შეკუმშვა





სინუსური ბრადიკარდიის დროს არ არის პულსის დეფიციტი, რაც შეიძლება იყოს ბიგემინური ექსტრასისტოლიის დროს

არ არის განსხვავება საუფლევებისა და სხივის არტერიის პულსაციას შორის, რომელიც არის სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის დროს

ერთდროულად პულსის გასინჯვა და გულის აუსკულტაცია ავლენს პულსის დეფიციტს, რაც მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია

ასევე დიფერენციული დიაგნოზისთვის მნიშვნელოვანია ეკგ მონაცემები

### მკურნალობა

მსუბუქი სინუსური ბრადიკარდია არ იწვევს ჰემოდინამიკის დარღვევებს და არ საჭიროებს თერაპიულ ჩარევას

საშუალო და გამოსატული სინუსური ბრადიკარდიის დროს იყენებენ მცენარეულ ანტიარითმიულ პრეპარატებს

გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს ძირითადი დაავადების მკურნალობას

### მედიკამენტური მკურნალობა

- აქვს ანტიქოლინერგული მოქმედება. ბლოკავს ცდომილი ნერვის მოქმედებას გულზე, რის შედეგადაც სისწირე იზრდება

- ატროპინის შეყვანის შემდგომ შესაძლებელია განვითარდეს ტაქიკარდია, თუმცა, ბავშვები გამოირჩევიან ატროპინ-ინდუცირებული ტაქიკარდიის მიმართ ტოლერანტობით

- ატროპინი გამოიყენება, თუ ბრადიკარდიის მიზეზია ვაგუსის ტონუსის მომატება, ქოლინერგული პრეპარატებით ინტოქსიკაცია (მაგ.

ორგანოფოსფატები) ან V ბლოკადა

### • IV/I

პირველი დოზა – 0.02მგ/კგ. მინიმუმ 0.1 მგ (მაქსიმალური ერთჯერადი დოზა ბავშვებში – 0.5 მგ და მოზარდებში – 1მგ)

დოზის გამეორება შეიძლება 5 წუთში (მაქსიმალური ტოტალური დოზა ბავშვებში – 1მგ და მოზარდებში 2 მგ)

ორგანოფოსფატებით მოწამვლის შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს დოზირების გაზრდა

### მედიკამენტური მკურნალობა


თუ ბრადიკარდია პერსისტირებს და იწვევს კარდიო-რესპირაციულ უკმარისობას – საჭიროა მედიკამენტური მკურნალობა და კარდიალური პეისინგი

### პერსისტენტული ბრადიკარდიის შემთხვევაში

- ეპინეფრინი
- ატროპინი პირველი ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადის და ვაგოტონიის დროს
- ტრანსკუტანეული პეისინგი
- ძირითადი დაავადების მკურნალობა

### ეპინეფრინის დოზირება და შეყვანის გზები

IV/ IO	0.01 მგ/კგ (1:10 000 – 0.1 მლ/კგ)
ენდოტრაქეული მილი	0.1 მგ/კგ (1:1 000 – 0.1 მლ/კგ)



ნიშნები	ნევროგენული ბრადიკარდია გული უანმრთელია	ბრადიკარდია მიოკარდიუმის დაზიანების გამო
სისწირე	ვითარდება ხშირად	შედარებით იშვიათია
ძირითადი დაავადება	პარასიმპათიკოტონია	კორონარული დაავადება
ასაკი	მეტწილად ახალგაზრდებში	მეტწილად ასაკოვნებში
ფიზიკური მონაცემები	არ არის	ტონების ცვლილებები, გულის მოცულობის გაზრდა
გულისცემის სიხშირის ცვლილებები	ძლიერადაა გამოხატული	უმნიშვნელოა, შედარებით სტაბილურია
ატროპინით ცდა და ფიზიკური დატვირთვა	ძლიერადაა გამოხატული	უარყოფითია ან მსუბუქად დადებითი
ეკგ	ბრადიკარდია და ვაგოტონიის სხვა ეკგ-ნიშნები	მიოკარდიუმის დაზიანების მაჩვენებლები, ძველი ინფარქტის ნიშნები და ა.შ.

დასკენის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვთა ასაკისთვის პირველადი არითმიები ნაკლებად არის დამახასიათებელი სინუსური ბრადიკარდია, როგორც დამოუკიდებელი დაავადება არ წარმოადგენს საფრთხეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. თუმცა მისი პროგრესირება, რა თქმა უნდა, საშიშია ამიტომ რითმის დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა უნდა იქნას შეფასებული, მოხდეს დაკვირვება დინამიკაში და მიეცეს რეკომენდაციები მკურნალობასთან დაკავშირებით

### ICD-10

**R00.1 – ბრადიკარდია, დაუზუსტებელი**



**ბავშვთა ლიტერატურა:**  
 Нарушения ритма сердца, Томов Л., 1979  
 ბრადიკარდიების დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში – პროტოკოლი, 2014 წ.  
 კლინიკური ლექციები – ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები, მ.მ.დ. პროფესორი, აკა-

დემიკოსი გიორგი ჩახუნაშვილი, მედიცინის დოქტორი ნინო ჯობაჯია, 2015  
 კარდიოლოგია – დ. ტვილიძე-ნი, თბილისი 2002  
 Keith A, Flack M. The form and nature of the muscular connections between the primary divisions of the vertebrate heart. J Anat Physiol 1907; 41:172–189

Primary cardiac arrhythmias in children, Sacchetti A, Moyer V, Baricella R, Cameron J, Moakes ME, Pediatr Emerg Care. 1999 Apr;15(2):95-8  
 Emergency diagnosis and management of pediatric arrhythmias, Carla R Hanash and Jane E Crosson, 2010 Jul-Sep; 3(3): 251–260  
 Sinus Bradycardia Medication, Mark W Livingston, MD, Nov 21, 2016

რეზიუმე

სინუსური ბრადიკარდიის კლინიკური ღირებულება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი  
 რეზიდენტი: **თათია თედორაძე**

ბავშვთა ასაკისთვის პირველადი არითმიები ნაკლებად არის დამახასიათებელი

სინუსური ბრადიკარდია, როგორც დამოუკიდებელი დაავადება არ წარმოადგენს საფრთხეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. თუმცა მისი პროგრესირება, რა თქმა უნდა, საშიშია

ამიტომ რითმის დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა უნდა იქნას შეფასებული, მოხდეს დაკვირვება დინამიკაში და მიეცეს რეკომენდაციები მკურნალობასთან დაკავშირებით.

SUMMARY

CLINICAL VALUE OF SINUS BRADYCARDIA

Tbilisi State Medical University  
 Resident: **TATIA TEDORADZE**

Primary arrhythmias are less common in pediatric age. Sinus bradycardia, as a standalone, is not a threat for health or life. However if it progresses it might be dangerous. That is why close surveillance is recommended.

სინუსური არითმიის კლინიკური ღირებულებები

მ. ნახუცრიშვილი  
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი  
 ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგიის  
 კურსი – რეზიდენტი


A person’s heart should beat with regular intervals, much like the second hand on a clock

დუზინიცია

სინუსური არითმია ეწოდება არასწორ სინუსურ რითმს, რომელიც ხასიათდება სინუსის კვანძში იმპულსების არარეგულარული გენერაციის გამო რითმის გახშირებისა და გაიშვიათების პერიოდებით

თემის აქტუალობა

- ბავშვთა ასაკის არითმიებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რითმის დარღვევაა
- ექიმები მზად უნდა იყვნენ ბავშვებში სხვადასხვა ტიპის არითმიის დიაგნოსტიკისა და მართვისთვის, უნდა შეაფასონ,



საჭიროა თუ არა შემდგომი დიაგნოსტიკური ტესტირება და კარდიოლოგიური მეთვალყურეობა

მიზანი

დავინახოთ სინუსური არითმიის კლინიკური ღირებულება, შეგვეძლოს მისი ამოცნობა და დიფერ-



ენცირება რითმებისგან, რომელიც ბევრად საყურადღებოა და გადაუღებელი ჩარევას საჭიროებს

### კვლევის მასალა და მეთოდოლოგია

- განვიხილოთ 500-მდე პაციენტის (0-17 წ.) ეკგ
- მათი 44% ვაჟი იყო, 56%-გოგონა
- განხილულ ელექტროკარდიოგრაფიათაგან 26% ასაკობრივი ნორმის ვარიანტს წარმოადგენდა, 41% სინუსური ტაქიკარდია/ტაქიარითმია იყო, 22% – სინუსური ბრადიკარდია/ბრადიარითმია, ხოლო 11% რითმის სხვა დარღვევა
- ყველა პაციენტის ეკგ დინამიკაში მოწმდებოდა

### სინუსური არითმიის სახეები

სინუსური არითმიის სახეები	
სუნთქვითი არითმია	✓ დამოკიდებულია სუნთქვის ფაზაზე-გულის შეკუმშვათა სიხშირე იზრდება ჩასუნთქვისას და მცირდება ამოსუნთქვისას ✓ სუნთქვის შეკავების დროს აითმია ქრება
არასუნთქვითი სინუსური არითმია	I. რეგულარული-გულის შეკუმშვების თანდათანობითი აჩქარება და თანდათანობით შენელება სუნთქვის ფაზის მიუხედავად II. არარეგულარული-გულის შეკუმშვების არათანდათანობითი აჩქარება და შენელება
ე.წ პარკუჭფაზოვანი სინუსური არითმია	✓ დამოკიდებულია პარკუჭების შეკუმშვაზე ✓ ყველაზე ხშირად აღინიშნება სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადისას

### ბანმარტეზები

- გულის რითმის სიხშირე სუნთქვის ფაზებთან დაკავშირებით თითქმის ყოველთვის იცვლება-ფიზიოლოგიური მოვლენა
- სინუსურ არითმიაზე საუბარია მაშინ, როდესაც ყველაზე დიდ და ყველაზე პატარა RR ინტერვალებს შორის სხვაობა უდრის ან აღემატება 0,16 წმ-ს
- ყველაზე ხშირად გვხვდება სუნთქვითი სინუსური არითმია
- სინუსური არითმია სინუსურ ბრადიკარდიასთან შედარებით ხშირია და სინუსურ ტაქიკარდიასთან შედარებით-იშვიათი

### მექანიზმი

სინუსური სუნთქვითი არითმია ხასიათდება სინოატრიულ კვანძში იმპულსების არათანაბარი და არარეგულარული წარმოქმნით, რაც თავის მხრივ შეიძლება დაკავშირებული იყოს

- ცდომილი ნერვის ტონუსის ცვლილებასთან (რეფლექსური)
- სუნთქვის დროს გულის სისხლსაგვსობის ცვლილებასთან (ჰუმორული)

სინუსის კვანძში იმპულსების არარეგულარულ გენერაცია განპირობებულია:

- ბეინბრიჯის რეფლექსით
- პრესორული რეფლექსით
- გერინგ-ბრეიერის რეფლექსით
- სუნთქვასთან დაკავშირებული ჰუმორული ცვლილებით და ქემორეცეპტორული რეფლექსით

### რეფლექსური მექანიზმი

#### ბეინბრიჯის რეფლექსი

- ჩასუნთქვის დროს გულისკენ მიმავალი სისხლის ნაკადი მატულობს, რაც იწვევს

- ამოსუნთქვისას უკურეაქცია და გულის რითმის შენელება აღინიშნება

### გერინგ-ბრეიერის რეფლექსი

- ჩასუნთქვის დროს ფილტვების გაჭიმვა იწვევს აფერენტული ნერვული ბოჭკოების გაღიზიანებას ცდომილი ნერვის აქტივაციის დაქვეითებას გულის რითმის გახშირებას
- ამოსუნთქვისას პირიქით, ცდომილი ნერვის სტიმულირება და გულის რითმის გაიშვიათება ხდება

### პრესორული რეფლექსი

- ჩასუნთქვის დროს სისტოლური მოცულობა და აორტული წნევა მატულობს, რაც იწვევს აორტის რკალსა და კაროტიდულ სინუსში პრესორული რეცეპტორების გაღიზიანებას ვაგუსურ ეფექტს, რომელიც გამოვლინდება ჩასუნთქვიდან 4-6 წამის შემდეგ

### მექანიზმი

- არასუნთქვითი არითმია შეიძლება ასევე იყოს ვეგეტატიური ნერვული სისტემის ტონუსის ცვლილების შედეგი, თუმცა სუნთქვის ფაზებისგან დამოუკიდებელი
- ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეულ როლს თამაშობს სინუსური კვანძის ორგანული ცვლილება
- ჰიპოქსია
- ანთება
- დეგენერაცია
- სკლეროზი

### ეტიოლოგია

- რესპირატორული არითმია არის ფიზიოლოგიური ფენომენი
- მას არ გააჩნია სპეციფიური კლინიკური და დიაგნოსტიკური მნიშვნელობა

მარჯვენა წინაგულში და ღრუვენების შესართავებთან წნევის აწევას ბარორეცეპტორების გაღიზიანებას სიმპათიკური ნერვის სტიმულაციას გულის რითმის გახშირებას

ვეგეტატიური დარღვევების დროს თანმხლები	არაგულისმიერი დაავადებები: ✓ ცხელება ✓ ინფექციური დაავადებები და მათი რეკოვალესცენციის პერიოდი ✓ ფილტვის ტუბერკულოზი ✓ ემფიზემა ✓ სიმსუქნე ✓ ჰიპერტენზია...
	გულისმიერი დაავადებები: ✓ რევმატული კარდიტი ✓ კარდიოსკლეროზი ✓ მიოკარდიოსკლეროზი ✓ მიოკარდიუმის ინფარქტი ✓ აორტის და მიტრალური სარქლის დეფექტები ✓ მედიკამენტოზური ეფექტი...

- ეს ხშირად გვხვდება: ყველა ასაკის ჯანმრთელ ადამიანში ყველაზე ხშირად მოზარდებში-პუბერტატულ ასაკში მოხუცებში

• რესპირატორული არითმია ჩვეულებრივ ქრება გულის ისეთი ორგანული დაზიანებებისას, როგორციაა მიოკარდიტი, გულის რევმატული დაზიანება, გულის თანდაყოლილი პათოლოგია, რასაც აქვს ძალიან დიდი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა

• როგორც წესი, სინუსი არითმია გულის დეკომპენსაციის განვითარების შემდეგ გაქრება ან მცირდება

• დეკომპენსაცია ნაკლებად მოქმედებს რესპირატორული არითმიაზე. რესპირატორული არითმია კომპენსაციის შემდეგ კიდევ უფრო გამოხატული ფორმით გამოჩნდება

• რესპირატორული სინუსური არითმია არ შეინიშნება ინტრანატალური სეპტალური დეფექტებისას და თუ ასეთი ხდება, ეს მიანიშნებს უმნიშვნელო შუნტზე

• სინუსური არითმიის და სინუსუსის ბრადიკარდიის გამოვლენა ჩვეულებრივ მიუთითებს ინტოქსიკაციას


• მორფინი და სხვა მსგავსი ჯგუფის პრეპარატები, ვაგუსის ტონუსს ზრდიან და შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სინუსური არითმია

**არასუნთქვითი სინუსური არითმია აღინიშნება**

- ახალგაზრდა ასაკის ჯანმრთელ პირებში
- რეკოვალესცენციის პერიოდში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების დროს
- ხშირად რეგისტრირდება ნეიროციკლუაციური დისტონიით დაავადებულებში

**უფრო ხშირად გამოვლინდება**

- მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტი, დიგიტალისი პრეპარატებით ინტოქსიკაცია, ათეროსკლეროზული მიოკარდიოსკლეროზი, რევმატიული კარდიტი, მიოკარდიოპათია
- მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის პირველ დღეებში ძალიან ხშირია გამოხატული სინუსური არითმია და სინუსური ბრადიკარდია
- უნდა აღინიშნოს, რომ სინუსის არითმიის გამოვლენა არც გამორიცხავს და არც ადასტურებს გულის ორგანულ დაზიანებას
- ჰემოდინამიკა ამ დროს არ იცვლება




**კლინიკური სურათი სუნთქვითი არითმია**

- სუბიექტური სიმპტომები არანაირი ჩივილი არ არის
- ობიექტური სიმპტომები გულისცემის სიხშირე დამოკიდებულია სუნთქვის ფაზებზე გულის ტონების ინტენსივობა არ იცვლება

- სრული სიმშვიდის ან ძილის მდგომარეობაში „ნარჩენი არითმია“
- კაროტიდებზე ზეწოლისას ან ვალსავას მანევრისას

**ხშირად თან ახლავს სინუსური ბრადიკარდია და სხვა ვაგოტონური სიმპტომები**

**სუნთქვითი სინუსური არითმია**



**არითმია ქრება სიმპათიური ნერვის გაღიზიანების შემდეგ**

- სუნთქვის შეჩერება
- ატროპინის ან ამილნიტრატის შემდეგ
- ფიზიკური ძალისხმევის შემდეგ
- ფსიქიკური დატვირთვის შემდეგ

**არითმია მკვეთრდება ვაგუსის ნერვის გაღიზიანების შემდეგ**

- ღრმა სუნთქვა

**კლინიკური სურათი**

- მეტალურ აქტივობასა და რესპირატორულ არითმიას შორის გარკვეული ურთიერთკავშირი არსებობს
- ფსიქიკური სტრესები, როგორც წესი, იწვევენ ინჰიბიტორულ ეფექტს ვაგუსის ცენტრებში
- ქერქის ინჰიბიტორული ეფექტის ნებისმიერი შესუსტება ზრდის ვაგუსის აქტივობას და, შესაბამისად, სუნთქვითი არითმია



კარგად არის გამოსატული ძილის დროს

### არასუნთქვითი არითმია

● სუბიექტური სიმპტომები როგორც წესი, არ არიან ზოგჯერ შეიმჩნევა დისკომფორტი გულის არეში

● ობიექტური სიმპტომები

არ გაქრება სუნთქვის შეჩერებისას

გულის ტონების სიძლიერე და ინტენსიურობა არ იცვლება

შესაძლებელია ფიზიკური და ტვირთის შემდეგ განვითარდეს ასტროპინი ყოველთვის არ ხსნის

### არასუნთქვითი სინუსური

არითმიის აპერიოდული ფორმა

● არ ვლინდება კბილისა და QRST კომპლექსის ფორმისა და ხანგრძლივობის ცვლილება

● არ ირღვევა მათი თანმიმდევრობა

● PQ(T) ინტერვალი მუდმივია (დამახასიათებელია სინუსური რითმისთვის ნორმალური გამტარებლობის დროს)

● ყველაზე დიდ და ყველაზე პატარა RR ინტერვალებს შორის სხვაობა უდრის ან აღემატება 0,16 წმ-ს

### დიფერენციული დიაგნოზი

არარესპირატორული სინუსური არითმის, განსაკუთრებით მისი აპერიოდული ფორმის დიფერენცირება უნდა მოხდეს შემდეგი რითმის დარღვევებისგან:

სწორი ექსტრასისტოლით განპირობებული ჭეშმარიტი არითმია

● მათგან განსხვავებით, სინუსური არითმიის დროს არ იცვლება ტონების ძალა და უღერადობა

● ზოგიერთ შემთხვევაში ელექტროკარდიოგრაფიულადაც კი ძნელია აპერიოდული რესპირატორული სინუსური არითმიის გარჩევა სინოაურიკულური ბლოკადისაგან და მოგვიანებითი წინაგულვანი ექსტრასისტოლისგან

სინოაურიკულური ბლოკადისას პაუზა ორი ან მეტი ნორმალური R-R ინტერვალის ტოლია

წინაგულვანი ექსტრასისტოლის დროს P კბილი დეფორმირებულია და მისი პოლარობა შეცვლილია


### მკურნალობა

● სინუსური არითმია სპეციფიურ მკურნალობას არ საჭიროებს

● მკვეთრად გამოხატული ვაგტონიისას საჭიროა ატროპინიზაცია

● არასუნთქვითი სინუსური არითმია, გულის დაავადების ან მედიკამენტის მოქმედების შედეგია და მოითხოვს შესაბამისი დაავადების მკურნალობას ან მედიკამენტების მიღების შეწყვეტას

### სინუსური არითმია მონიტორინგი



### ელექტროკარდიოგრაფიული კრტირებები

● წინაგულვლისა და პარკუჭების ერთნაირი, მაგრამ არარეგულარული რითმი

● სინუსური არითმიის დროს ელექტრული იმპულსის გატარება წინაგულვლაში, ატრიოვენტრიკულურ კვანძსა და პარკუჭებში დარღვეული არ არის

● წინაგულთა ფიბრილაცია

● წინაგულვანი და სინუსური ექსტრასისტოლა

● ატრიოვენტრიკულური ბლოკადა II ხარისხის

● სინოაურიკულური ბლოკადა, სინუსური კვანძის სინუსტე

● აპერიოდულმა სინუსურმა არითმიამ შეიძლება მოგვაგონოთ წინაგულვლის ფიბრილაციით ან

### და ბოლოს


მართალია, პედიატრიულ კონტიგენტში პირველადი არითმიები სწორი პათოლოგიას არ წარმოადგენს, მაგრამ მისი ყოველი შემთხვევა ყურადღებით უნდა შეფასდეს, რათა მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში რაციონალური გეგმა დაისახოს და თავიდან ავიცილოთ არასწორი მართვა და მისი შედეგები

### ICD10

R00 გულის რითმის დარღვევები

ბამოყენებული ლიტერატურა Sinus Arrhythmia-by Edward Burns, Last updated March 18, 2017

Emergency diagnosis and management of pediatric arrhythmias, Carla R Hanash and Jane E Crosson, 2010 Jul-Sep; 3(3): 251-260





What is a sinus arrhythmia?-By Tom Seymour, November 2017

ტაქიარითმიების დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში -პროტოკოლი, 2014 წ

კლინიკური ლექციები – ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები, მ.მ.დ. პროფესორი, აკადემიკოსი გიორგი ჩახუნაშვილი,

მედიცინის დოქტორი ნინო ჯობავა, 2015

კარდიოლოგია - დ.ტვილდიანი, თბილისი 2002

Celebi OO, Canbay A, Celebi S, et al. Inappropriate sinus tachycardia –□successful treatment with ivabradine. Kardiol Pol. 2010;68:935-93

Нарушения ритма сердца, Томов Л., 1979 г

Primary cardiac arrhythmias in children, Sacchetti A, Moyer V, Baricella R, Cameron J, Moakes ME, Pediatr Emerg Care. 1999 Apr;15(2):95-8

Keith A, Flack M. The form and nature of the muscular connections between the primary divisions of the vertebrate heart. J Anat Physio; 41:172-189

რეზიუმე

სინუსური არითმიის კლინიკური ღირებულებები

ე. ნახუტსრიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგიის კურსი – რეზიდენტი

პედიატრიულ კონტიგენტში პირველადი არითმიები ხშირ პათოლოგიას არ წარმოადგენს, მაგრამ სინუსური არითმია საკმაოდ ხშირი და მისი ყოველი შემთხვევა ყურადღებით უნდა შეფასდეს, რათა მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში რაციონალური გეგმა დაისახოს და თავიდან ავიცილოთ არასწორი მართვა და მისი შედეგები

SUMMARY

CLINICAL VALUES OF SINUS ARRHYTHMIA

E. NAKHUTSRISHVILI

Tbilisi state medical university resident of pediatric cardio-rheumatology

Primary arrhythmias in pediatric age do not frequently cause pathologies, however, they are met very often and each case should be evaluated closely to set a management strategy.

სინუსის კვანძის სისუბე

ე.ნახუტსრიშვილი (თსუ)

სინუსის კვანძის დაავადება, სინუსის კვანძის დისფუნქცია

● ნორმაში სინუსის კვანძი აკონტროლებს გულის მუშაობის რითმს – სტაბილურად წარმოქმნის რეგულარულ ელექტრულ იმპულსებს

● ამ შემთხვევაში, კვანძიდან წამოსული სიგნალი ანომალურია

● მიზეზი სავადასხვა დაავადებისა და მდგომარეობის დროს გულის ელექტრული სისტემის დაზიანება და დანაწიბურებაა

● რითმი შეიძლება იყოს სწრაფი, ნელი, ხანგრძლივი პაუზებით გაჯერებული ან მათი მონაცვლეობა

● იშვიათია, თუმცა შეიძლება განვითარდეს ახალშობილობის ასაკშიც. მისი განვითარების რისკი ასაკთან ერთად იზრდება

სინოატრიული ბლოკადა სინუსის კვანძის გაჩერება ბრადი-ტაქიკარდიის სინდრომი

ბრადი-ტაქიკარდიის სინდრომი

● პარკუჭზე და ბრადიკარდიის და ტაქიკარდიის მონაცვლეობა, რომელიც ვითარდება სინუსის კვანძის პათოლოგიური ფუნქციონირების შედეგად

● ბრადიკარდიის ტიპებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება სინუსური ბრადიკარდია, შედარებით იშვიათად – დროებითი ასისტოლია (სინუსური კვანძის უკმარისობა/გაჩერება)

● ტაქიკარდიის ტიპებიდან – წინაგულოვანი და კვანძოვანი ტაქიკარდია, წინაგულების თრთოლვა და ციმციმი, პოლიტოპური წინაგულოვანი ტაქიკარდია

● ზოგჯერ აღინიშნება პარკუჭოვანი ტაქიკარდია ან პარკუჭების ციმციმი

● ზოგ პაციენტთან ვლინდება ატრიოვენტრიკულური ბლოკადა (სხვადასხვა ხარისხით)

● ამ დროს მთავარი ფაქტორი არის სინუსური კვანძის პათოლოგიური ფუნქცია და პათოგენეტიკური კავშირი ბრადიკარდიული და ტაქიკარდიული რითმის დარღვევებს შორის

● ბრადიკარდია საშუალებას აძლევს რითმის წამყვანის უჯრედების ავტომატიზმის გამოვლენას და იწვევს რეპოლარიზაციის არაპროგრესიულობას(დისპერსიას), რაც თავის მხრივ ქმნის პირობას „რენორის“ მექანიზმის და ექტოპური ტაქიკარდიის აღმოცენებისთვის

● ექტოპური ტაქიკარდია უფრო მეტად თრგუნავს სინუსურ კვანძს და ამზადებს პოსტტაქიკარდიული ბრადიკარდიისთვის

ეტიოლოგია

● შედარებით ხშირი მიზეზი არის კორონარული დაავადება მიოკარდიუმის ინფარქტით ან მის გარეშე (შემთხვევათა 50%)

● მეორე ადგილზე იდოპათიური ფორმები (34%)

● უფრო იშვიათად – შექნილი ან თანდაყოლილი გულის უკმარისობა და კარდიომიოპათია



- კალციუმის არხის ბლოკერები, ბეტა ბლოკერები
- ასაკი
- გულის კუნთის დაზიანება


**კლინიკური სურათი**

- ბრადიკარდია
- სინკოპე (40-70%)
- უეცარი სისუსტე
- გულისწასვლა
- გულმკერდის არეში ტკივილის შეტევები
- გულისცემის შეგრძნება
- დაღლილობა
- სუნთქვის შემოკლება

შეიძლება ნებისმიერ ასაკში, ახალშობილებშიც კი, მაგრამ უფრო ხშირდება ასაკის მატებასთან ერთად


- პაციენტების უმრავლესობას აღენიშნება ხანგრძლივი, გამოხატული ბრადიკარდია მოსვენების პერიოდში, რომელიც იძლევა პათოლოგიურ რეაქციას ატროპინის შეყვანის, ვაგუსური ცდის, ფიზიკური დატვირთვის, ორთოსტატიკური ცდის შემდეგ
- კაროტიდულ სინუსზე ზეწოლის შემდეგ სინუსური კვანძის გაჩერება 3წამზე მეტი ხნით და გულისცემის გახშირების არარარსებობა ცდების შემდეგ მიუთითებს სინუსის კვანძის სისუსტეზე

მისი განსხვავება სინოაურიკულური ბლოკადის გან(იმპულსი ჩნდება, მაგრამ ვერ ტარდება წინაგულეში) მეტწილად შეუძლებელია, ელექტროკარდიოგრაფიულადაც კი




**What is happening in a Sinus Block and Sinus Arrest?**

**SA Block**




**Pause is multiple of R-R Intervals**

**Sinus Arrest**



**Pause NOT multiple of R-R Intervals**



**სინუსის კვანძის სისუსტე იშვიათად შეიძლება დაბავშვობიერებულ იყოს:**

- დიფტერიასთან (ზიანდება გულის კუნთი)
- ჰემოქრომატოზი (სისხლში ჭარბი რკინა)
- კუნთოვანი დისტროფია (კუნთები სუსტია და დაზიანებული)
- ამილოიდოზი (ამილოიდი დაგდება ქსოვილებსა და ორგანოებში)

**სინუსის კვანძის უკმარისობა**

სინუსის კვანძის გაჩერება, SINUS ARREST, Sinus-Lahmung, Sinus-Stillstand, Sinus-Pause, Sinus-Inertio

**SINUS ARREST**

გულის მოქმედების უეცარი გაჩერება – წინაგულების და პარაკუჭების შეკუმშვების შეჩერება იმის გამო, რომ სინუსურ კვანძს არ შეუძლია იმპულსის გენერირება

**ეტიოლოგია**

- შეიძლება განვითარდეს ჯანმრთელ ადამიანებში ვაგოტონიით ან ზედმეტად მგრძობიარე კაროტიდული სინუსის შემთხვევაში
- ზოგჯერ არის ძლიერად გამოხატული სუნთქვითი სინუსური არითმიის დროს და შეიძლება იყოს კორტიკო-ვისცერული და ვისცერო-ვისცერული გაღიზიანების რეფლექსური გამოვლინება (კაროტიდულ სინუსზე ზეწოლა)
- მედიკამენტოზი ინტოქსიკაცია(დიგიტალისი და ქინიდინი), აცეტლქოლინი, პიპოკალემია
- მწვავე მიოკარდიტი, მიოკარდიუმის ინფარქტი სინუსის კვანძს დაზიანებით, ათეროსკლეროზული მიოკარდიოსკლეროზი სინუსური კვანძის სკლეროზით, კარდიომიოპათია, კვანძის ოპერაციის დროს დაზიანება
- კლინიკურად მნიშვნელოვანია ექტოპიური ტაქიკარდიის კუპირების შემდეგ განვითარებული სინუსის კვანძის უკმარისობა
- ამ შემთხვევაში სინუსის კვანძი დათრგუნულია ექტოპიური იმპულსებით და უნდა გავიდეს გარკვეული დრო, რომ აღდგეს კვანძის ავტომატიზმის ფუნქცია
- ზოგჯერ ეს შეიძლება გახანგრძლივდეს, განსაკუთრებით გულის მნიშვნელოვანი დაზიანების დროს, და განვითარდეს ასისტოლია
- თუ რითმის წამყვანის ფუნქციას სხვა კერა არ გააგრძელებს, განვითარდება გულის გაჩერება



### კლინიკური სურათი

- სინოაურიკულური ბლოკადის მსგავსია
- გახანგრძლივებული პაუზები გულის ტონების გაქრობასთან ერთად
- პულსის გაქრობა
- საუღლე ვენის პულსაციის გაქრობა
- თავბრუსხვევა ან გულის წასვლა

### ეკგ

- ხანგრძლივი პაუზა – P კბილის და QRS კომპლექსის არსებობის გარეშე
- ბლოკადისგან განსხვავებით – ინტერვალები ცვალებადობს
- რითმის ჩანაცვლება:
  - წინაგულოვანი (რიტმი 60-80) – არ არის P კბილის ნორმალური ფორმა
  - კვანძოვანი (40-60) – არ არის
  - პარკუჭოვანი (20-40) – არ არის P, ფართო, ანომალური ფორმის QRS

### სინოატრიული ბლოკადა

Sinus block, sinoatrial exit block, sinus exit block

სინუსის კვანძში წარმოქმნილი იმპულსის კვანძიდან გავრცელების შეუძლებლობა

პეისმეიკერული უჯრედების დეპოლარიზაცია ხდება ნორმალურად, მაგრამ ზოგიერთი იმპულსი „იბლოკება“ სანამ დატოვებს კვანძს – წინაგულის შეკუმშვა ვეღარ ხდება – ეკგ-ზე არ არის P კბილი

### ეტიოლოგია

- სინუსის კვანძის სისუსტე
- მომატებული ვაგუსის ტონუსი (ათლეტებში)
- ვაგუსის სტიმულაცია (ტკივილი, ქირურგიული ჩარევა)
- მიოკარდიუმის ქვედა ინფარქტი
- მიოკარდიტი
- დიგოქსინი, ბეტა-ბლოკერები, კალციუმის არხის ბლოკერები, ამიოდარონი

### კლასიფიკაცია

- I ხარისხი – იმპულსის წარმოქმნასა და გადაცემას შორის დაგვიანება, ეკგ-ზე არ ჩანს
- II ხარისხი – ზოგიერთი იმპულსი საერთოდ არ აღწევს წინაგულს, დანარჩენები დაგვიანებით ან დაგვიანების გარეშე. ამ დროს ეკგ – პაუზები წინაგულოვანი კბილების და ზოგჯერ თანმდევი პარკუჭოვანი კბილების გაქრობითაც
- III ხარისხი – ყველა სინუსური იმპულსი დაბლოკილია და ვერცერთი აღწევს წინაგულს. კბილების სრული გაქრობა. შემთხვევათა უმეტე-

სობაში არ ვითარდება ფატალური ასისტოლია რითმის ჩამნაცვლებლების ხარჯზე

### სიმპტომები და მკურნალობა

- სინოატრიული ბლოკადა არ არის ისეთი სერიოზული პრობლემა, როგორც ატრიოვენტრიკულური ბლოკადა
- უმეტეს შემთხვევაში არ საჭიროებს მკურნალობას
- ზოგიერთ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს გულისწასვლა, მენტალური სტატუსის შეცვლა, გულმკერდის ტკივილი, ჰიპოპერფუზია, შოკის ნიშნები. შეიძლება განვითარდეს უფრო სერიოზული დისრიტიმიები
- სასწრაფო გადაუდებელი ჩარევა გულისხმობს ატროპინის სულფატის შეყვანას ან ტრანსკეტანეულ პეისინგს

### დიაგნოსტიკა და მკურნალობა

- ეკგ
- ჰოლტერ
- ხელოვნური პეისმეიკერი
- მოსალოდნელი ხანგრძლივობა – შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე არ განვითარდეს ეპიზოდი, მაგრამ ეს არ ნიშნავს განკურნებას. დროსთან ერთად მდგომარეობა რთულდება
- პრევენცია – მეტწილად არ ხდება. შეიძლება იმ დაავადებების პრევენცია, რომელთაც მიუყვართ ამ პრობლემამდე (იდიოპათური დეგენერაციული დაავადება, კარდიოვასკულური დაავადება, ინფარქტი, მაღალი წნევა, გულის სტრუქტურული დეფექტები)

### გართულებები

- წინაგულოვანი ფიბრილაცია
- გულის უკმარისობა
- ინსულტი
- გულის გაჩერება

### ბამოყენებული ლიტერატურა

Нарушения ритма сердца, Томов Л  
Sinoatrial Exit Block, Edward Burns, March 17, 2017  
Sinus Block and Sinus Arrest – <https://www.unm.edu/~lkravitz/EKG/sablockarrest.html>  
Mesirca, Pietro; Torrente, Angelo G; Mangoni, Matteo E. (2015). "Functional role of voltage gated Ca2+ channels in heart automaticity". *Frontiers in Physiology*. 6.  
Bledsoe, Porter, Cherry (2009). *Paramedic Care; Principles and Practice*. New Jersey: Brady. ISBN 978-0-13-513702-4.  
Schilling McCann, Judith (2009). *Cardiovascular Care Made Incredibly Easy*. Pennsylvania: Lippincott Williams and Wilkins. ISBN 978-0-7817-8824-3.

### რეზიუმე

## სინუსის კვანძის სისუსტე

ენახუტსრიშვილი (თსსუ)

შრომში განხილულია სინუსის კვანძის სისუსტის სხვადასხვა ფორმების გამოვლინება .რაც ბავშვთა ასაკში საკმაოდ ხშირია . ეკგ-ეს დახმარებით კი მისი პირველადი დიაგნოსტიკა თვალსაჩინოდაა გადმოცემული.

### SUMMARY

## SINUS NODE DYSFUNCTION

E. NAKHUTSRISHVILI (TSMU)

Variation of sinus node dysfunction are discussed in the paper together with diagnostic values in ecg.



ყურადღება ტრიალს

ბ. ჩახუნაშვილი (ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)

სკოლის ექიმს მოეთხოვება

ყურადღება

1. სკოლაში ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენაზე ზრუნვა კერძოდ,

- ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების დინამიკაზე
  - სასწავლო პროცესის ჰიგიენა-რეჟიმზე კონტროლი (გაკვეთილების რაოდენობა-ხანგრძლივობა, დასვენებები, ჰაერის განიავება და ა.შ.)
  - კვების ჰიგიენა.
  - დეზინფექციაზე, დერატიზაციაზე, დეზინექციაზე.
  - სანიტარულ-ტექნიკური ნორმების დაცვა (ვათბობა, განათება, წყლით მომარაგება, კანალიზაცია, ვენტილაცია).
  - სკოლის აღჭურვილობით ჰიგიენური ნორმების დაცვა (მერხი, ლაბორატორიული მოწყობილობები, სპორტ დარბაზის აღჭურვილობა და ა.შ.)
  - სკოლის სახელმძღვანელოების ჰიგიენური ნორმების დაცვა.
  - შენობათა ადგილმდებარეობის ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლებისკენ.
  - და სხვა ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლაში.
2. სპორტული ტრაფიმების პროფილაქტიკაზე ზრუნვა.
3. სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებულ ბავშვთა და მოზარდთა ეფექტური საექიმო კონტროლის წარმოება.
4. ყოველგვარი I-დი სამედიცინო დახმარების გაწევა.
5. ბავშვთა და მოზარდთა დაავადებების პროფილაქტიკა.
6. უეცარი სიკვდილის თავიდან აცილება (Q-T ინტერვალის გახანგრძლივება, ინფექციურ და ვირუსულ დაავადებათა შემდგომი არითმიის გამოვლენა და ა.შ.)
7. სკოლაში ეპიდრეჟიმზე კონტროლი

ექიმს მოეთხოვება

- 1. ზოგადი ექიმის სტატუსით გათვალისწინებული მოვალეობები;
- 2. დამატებით „ფიზიოთერაპევტის“ ფუნქციები.

მოდელი



საქართველოში დაახლოებით 2165 ზოგად საგანმანათლებლო სკოლაა

I ეტაპი – დაწყებულია – 100 სკოლაში – აუცილებელია გაგრძელება)

- საექიმო კაბინეტის მოწყობა – 1 წელი
- ზოგადი პროფილის ექიმების დანიშვნა – 1 წელი
- სკოლის ექიმების გადამზადება – 1 წელი

II ეტაპი – სკოლის ექიმების დანიშვნების ინტენსიური გაგრძელება – 1 წელი

- სკოლის ექიმების გადამზადების დაწყება და დამატებით – 1 წელი


სკოლის ექიმების ფიზიოთერაპიის კუთხით გადამზადების გაგრძელება – 1 წელი

III ეტაპი – სკოლათა კომპლექსის დასრულება – 1 წელი




ამდენად, სკოლებში ამ ეტაპზე /შემდგომში კი ბაბა-ბალებში/

საექიმო საქმიანობის ამოქმედება, სახელმწიფოში განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს კიდევ მეტად სრულყოფილსა და სამაგალითოს გახდის



როგორია სტატისტიკა






ამდენად,  
 ყურადღება ტრიადას!!!

ბრტყელი ტერფი  
 ხერხემლის მდგომარეობის ცვლილებანი და სის-  
 ტოლური შუილილი ანუ, ყურადღება ტრიადას !!!  
 შემაერთებელი ქსოვილის დისპლაზიას !!!

ყურადღება ტერფს !!!



ყურადღება ხერხემალს !!!



**THE TRUTH ABOUT SCOLIOSIS FUSION SURGERY**


2-3% of the U.S. population has scoliosis. 7 MILLION people have scoliosis.

80% of scoliosis patients undergo scoliosis surgery.

5-10% of scoliosis patients undergo scoliosis surgery.

38,000 scoliosis fusion surgeries are performed each year.




COMPLICATIONS OF SPINAL FUSION SURGERY



# ბავშვთა კარდიოლოგია

ყურადღება ბულ-სისხლძარღვთა სისტემას !!!  
 სისტოლური შუილი

PMV  
 PMV კოდი – I 34.1  
 MVP



ამაზე,  
 დაწვრილებით  
 მხოლოდ  
 ჩემს ლექციებში

კლინიკური ლექციების ბეგა

**ბავშვთა კარდიო-რევემატოლოგიის საფუძვლები**

შესავალი

- 1 სისხლის მიმოქცევა (დედა-პლაცენტა-ნაყოფი)  
 Cardiac Problems in Perinatology and Paediatrics;
- 2 ინსპექცია პერკუსია აუსკულტაცია (ფ-კ-გ) და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები
- 3 ეკ-გ-ის კლინიკური ღირებულებანი ბავშვთა და მოზარდთა ასაკში-პედიატრიასა და მ/კარდიო-რევემატოლოგიაში

**წასაკითხია აგრეთვე**

- (4) ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები: ექო გრაფია, კაპილაროსკოპია, კარდიონტერვალოგრაფია, Re-გრაფია და სხვ.
- (5) Cor Rev გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები
- (6) შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები
- (7) სიმპტომების და სინდრომების (ცხელბა ათოლაგია მიაღია გამონაყარი და ა.შ.) კლინიკური ღირებულებანი ბავშვთა და მოზარდთა ასაკში



რეზიუმე

ყურადღება ტრიადას

ბ. ჩახუნაშვილი (ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)

შრომში განხილულია ტრიადა-ბრტყელი ტერფი, ხერხემლის მდგომარეობის ცვლილებანი და სისტოლური შუღი, რომელთა დიაგნოსტიკა დღეს-დღეობით სასურველია სკოლის ექიმების დახმარებით ნაადრევ ეტაპზე მოხდეს, რაც პრევენციული პედაგოგიის ერთერთი საფეხური იქნება.

SUMMARY

ATTENTION TO A TRIAD

G. CHAKHUNASHVILI (Pediatric Cardiology Association)

This paper discusses a triad of flat feet, vertebral anomalies and systolic murmur, which should be paid a lot of attention at primary schools to detect occurring illnesses in the beginning.

რევმატოლოგია Rheumatology

სკლეროლერმია და მისი თანამედროვე მართვა

ბ. ჩახუნაშვილი, ნ.ჯობავა, ბ. ჩახუნაშვილი, დ.ჩახუნაშვილი (საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)

ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგია ერთ-ერთი ურთულესი დარგია მედიცინაში. ბავშვთა რევმატოლოგიაში დაავადებათა დიაგნოსტიკა მოითხოვს დიფერენციალური დიაგნოზის გატარებას განსაკუთრებული სიფაქიზით. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ საკუთარი კლინიკური გამოცდილებიდან, რომელიც ეყრდნობა 3 ათეულ წელზე მეტს, ყურადღება შეგვეჩვენებინა სკლეროლერმიაზე, რომელიც სამწუხაროდ არცთუ ისე იშვიათია საქართველოში. გაანალიზებულია 20-ზე მეტი შემთხვევა.

და მინც რა დაავადებაა სკლეროლერმია?

პრობლემას. იქმნება სიტუაცია, როცა ყოველი „ვიწრო“ სპეციალისტი ერთსა და იმავე ადამიანს სრულიად დაუსაბუთებლად უსვამს „თავის“ დიაგნოზს. ამის შედეგად გროვდება სინდრომების მთელი კომპლექსი, რომელთაგან თითოეულის კუპირება არ იძლევა არსებით ეფექტს. ჩვენი შეხედულებით, ამ კლასის მდგომარეობების ტიპურ წარმომადგენლად მიგვაჩნია ქრონიკული დაღლილობის სინდრომი – „ათასი დასახელების დაავადება“. ჯანდაცვის არც პირველ, არც მეორე სტრატეგიას არ შეუძლია წარმატების მიღწევა, ისევე როგორც კლინიკური მედიცინის არაეფექტურ ძალისხმევას.



## პირითადი ტამბატი

მედიცინა, როგორც თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მეთოდების კომპლექსი მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, დაავადებათა პროფილაქტიკისა და დაავადებულთა მკურნალობისათვის, რაც წარმოადგენს იმ სოციალური ინსტიტუტის საფუძველს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ჯანდაცვას. ის, რომ ჯანდაცვა იარაღდება მედიცინის მდიდარი ტექნიკური არსენალით, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს არსებული მოკლევადიანი ხასიათის ამოცანის გადაწყვეტას, რაც ჯანდაცვის წინაშე დგას, არამედ უნდა ითვალისწინებდეს ამ სოციალური ინსტიტუტის ხელმძღვანელის ინტელექტსა და განათლების დონეს, მხედველობის სივრცეს, ანალიზსა და სინთეზის უნარს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისას. ჯანდაცვაში ყველაზე თვალსაჩინო და ორთოდოქსალური გზა მედიცინის მიღწევების გამოყენებისა მიჩნეულია სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების სრულყოფა. ეს გზა იარაღი ჯანდაცვის განვითარების მთელმასშტაბში, რომლის უფლებამოსილება ეჭვს არ იწვევდა. ძირითადისა მშუალეები, რომელიც გამოიყოფოდა ჯანდაცვის ბიუჯეტიდან მიმართული იყო სწორედ ავადმყოფთა სამკურნალოდ. მაგრამ, ამ გზამ, როგორც აღმოჩნდა, ზოგადი ფაქტორების კომპლექსში ითამაშა უმნიშვნელო როლი, რადგან რადიკალურად ვერ გააუმჯობესა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ადამიანთა საზოგადოებას თავისი განვითარების კრიტიკულ პერიოდებში, როცა შეუძლებელი იყო სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ნებისმიერი სრულყოფა, შეეცვალა არასახარბიელო სიტუაცია ჯანდაცვის სისტემაში, რიგ შემთხვევაში, წარმოშობდა ჯანსაღ აზროვნებას, რაც მკვეთრად ცვლიდა ჯანდაცვის სისტემის ეპოქალურ სტრატეგიას. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ნ.სემაშკომ, რომელიც გასული საუკუნის ოციან წლებში ქმნიდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურას, რომლის საფუძველშიც იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართული იყო ინფექციური დაავადებების ეპიდემიების საბრძოლველად. ამ სტრატეგიამ ტერრისის გამოთქმით მიიღო პირველი „ეპიდსაინააღმდეგო რევოლუციის“ სახელწოდება, რაც დასავლეთის ჯანდაცვის თეორიტიკოსების მხრიდან აღინიშნა მდლადი შეფასებით.

XX საუკუნის მომდევნო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ჯანდაცვის სისტემამ შეიცვალა თავისი სტრატეგიული მიდგომა, რადგან ინფექციური ბუნების დაავადებებმა ადგილი დაუთმო პათოლოგიებს, რომელშიც ჭარბობდა არაინფექციური ქრონიკული დაავადებები. ამ პროცესმა მოიცვა საუკუნის მეორე ნახევარში შეიძინა ეპიდემიური გავრცელების ხასიათი, რაც ევოლუციური მიდგომით შეძლება ჩაითვალოს კანონზომიერი მოვლენად. პათოლოგიების მიმდინარეობის ხასიათის ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია მედიცინის განვითარების ისტორიულ მონაცემებზე, გვიჩვენებს, რომ სოციალური პირობების ცვლილებებთან ერთად ცვლებოდა ადამიანის დაავადებებიც. ამაზე კარგად მიანიშნებს. დავიდოვსკის სიტყვები: „ ადამიანის ცხოვრების პირობები და წესიარისდაავადებების წარმოშობის ფუნდამენტური წინაპირობა“. ქრონიკული არაინფექციური დაავადებების პირობებში ჯანდაცვის სარსებულის სტრატეგია აღმოჩნდა არაეფექტური და წარმოშვა აუცილებლობა ახალი სტრატეგიის შესაქმნელად. შესაბამისად, დღემდე არსებული მეთოდური მიდგომე-

ბიმიმართულია ქრონიკული პათოლოგიის წარმოშობის თავიდან ასაცილებლად და ცნობილია მეორე ეპიდსაინააღმდეგო რევოლუციის“ სახელწოდებით.

მეორე ეპიდსაინააღმდეგო რევოლუციის ძირითად მეთოდურ ხერხად გამოიყენება პრაქტიკულად ჯანმრთელი მოსახლეობის რისკის ჯგუფის გამოვლენა. ე.ი. ტარდება „სკრინინგი“ (სიტყვასიტყვით – გაცხრილვა), რაც შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებით მიმართულია დაავადებების განვითარების რისკ-ფაქტორების ასაცილებლად. ამ სტრატეგიის რეალიზაცია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მრავალ სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საკრძობლად შემცირდა ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები. მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები შემცირდა – 30-50 პროცენტით. ამ პროცესში გამოვლენილი იქნა ცალკეული ფაქტორების როლიც: მკურნალობის ქირურგიული მეთოდები (გულის გადაწერვა, აორტოკორონარული შუნტირება და ა.შ.) შემცირდა 3 %-ით, თერაპიული მეთოდებით – 11 %-ით, ხოლო დანარჩენი – 86%, იმ ჩვენებზე დამოკიდებული, რომელსაც იცავს ადამიანი თავისი ცხოვრების გზაზე (ეს იქნება ხარისხიანი საკვების მიღება, უარის თქმა მანვე ჩვევებზე, მოძრაობის აქტიურობა და ა.შ.). ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მილიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის იმედო, რაშიც იგულისხმება რისკ-ფაქტორების აღმოფხვრა, აღმოჩნდა ილუზორული წარმოდგენა, თუმცა, რიგ შემთხვევებში ამდვილად აღინიშნა მისი გარკვეული შესაძლებლობა – არ ვითარდებოდა დაავადება. პროფილაქტიკური პროგრამების რეალიზაციისას უმნიშვნელოდ კლებულობდა ზოგადი ავადობის მაჩვენებლები, ზოგჯერ კი, კიდევაც აღინიშნებოდა მატებაც. დადგენილი იქნა, რომ ერთი – „მოსალოდნელი“ – დაავადების წარმოშობის პრევენციული პროგრამა მასზე დაიწყო სიკვდილიანობის სტატისტიკურმაჩვენებელს, რამაც მიიღო „სიკვდილიანობის გადატუმბვის“ სახელწოდება. ეს კი დასტურებს იმას, რომ მასიური დაავადებების მიზეზები არის მეტად ზოგადი მოვლენა, ხოლო ენდოგენური რისკ-ფაქტორები, ისევე, როგორც თვით დაავადებები, წარმოადგენს ორგანიზმში არსებული რაღაც ღრმა ცვლილებების გამოვლენას, რაც არ ექვემდებარება მეორე ეპიდსაინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

ვითვალისწინებთ რა ი. დავიდოვსკის ლოგიკას, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი რეალობის გამოჩენა და მისი არსებობა დაკავშირებულია სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, კლიმატური ტემპების დაჩქარებასთან და სამყაროში მიმდინარე ცვლილებებთან, იმ კანონზომიერებებთან, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს (ან შესაძლებელია უკვე მიყვანილიცაა) ახალი პრობლემების ფორმირებასთან, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. თუ მოკლედ ჩამოვთვლით ბიოლოგიური ბუნების ომო შაპინსის-ის სახეობის იმ ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა უკანასკნელ ათწლეულებში, მაშინ შესაძლებელია გაბედულად დავთვით, რომ ჩვენი თანამედროვე ადამიანი არსებითად განსხვავდება ჩვენი წინაპრებისაგან. თანამედროვე ადამიანის ორგანიზმში მთლიანობაში დაქვეითებულია ორგანოებისა და სისტემების ბიოენერგეტიკული რეზერვები, ორგანიზმის რეაქტიულობა და რეზისტენტობა, თვითრეგულაციისა და რეპროდუქციის (შემცირებულია სასქესო უჯრედების რაოდენობა და მისი ხარისხიანობა)



ფუნქციური შესაძლებლობები და ა.შ. ორგანიზმში მიმდინარე მრავალი სხვა ფუნქციური გადახრებიარის ის დამახასიათებელი თვისებები, რითაც განსხვავდება ჩვენი თანამედროვეებისაკუთარი წინაპრებისაგან. თუზოგადიოლოგიური პოზიციიდან განვიხილავთ ზემოთაღნიშნულ ცვლილებებს, მაშინ შესაძლებელია მივიღოთ იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ადამიანს დაქვეითებული აქვს ცოცხალი სისტემის თვითორგანიზაციის მექანიზმების ამოქმედების უნარიანობა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ჯანდაცვის სისტემაში აუცილებელი ხდება ახალი სტრატეგიის ფორმირება, რომელსაც უნდა გააჩნდეს უნარი ცოცხალი სისტემისა და პიროვნების თვითორგანიზაციის მექანიზმების ამოქმედების პროცესშიაღდგინოს დაკარგული ჰარმონია. ამ სტრატეგიის ძირითად ნაწილს კი წარმოადგენს ვალეოლოგია – ინდივიდის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების თეორია და პრაქტიკა. ვსაუბრობთ რა ვალეოლოგიის თეორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებზე, შეხსენების მიზნით საჭიროა მისი განხილვა, როგორც ინდივიდუალური ჯანმრთელობა და დამოუკიდებელი მედიკო-სოციალური კატეგორია, რომლის არსი შეიძლება იყოს განხილული, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი პირდაპირი მაჩვენებლებით. ამასთანავე, ჯანმრთელობა დაავადებასთან შედარებით განიხილული უნდა იქნეს, როგორც მეტად ფართო კატეგორია. დაავადებისწინა მდგომარეობა და დაავადება – ჯანმრთელობის კერძო შემთხვევებია, როცა ადამიანის ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული ბიოენერგეტიკული რეზერვები დაქვეითებულია ან აღინიშნება მნიშვნელოვანი ორგანიზმული დეფექტები. ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებობს გარდამავალი მდგომარეობა, რომლის სტრუქტურული ორგანიზაციის ღრეგამოკვლეულია ვალეოლოგიაში, უპირატესად ის ატარებს ორგანიზმულ ხასიათს, ხოლო მიდგომით – ხოლისტიკურს (ერთიანს). ვსაუბრობთ რა ინდივიდუალური ჯანმრთელობის მართვის შესაძლებლობაზე, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ, რომ ამ პროცესის ეფექტურობა ბევრად განისაზღვრება ობიექტის მართვის სრულყოფილი ანალიზის შედეგით.

ჯანმრთელობის შეფასება ჯანდაცვაში მიღებული ხერხებით – პათოლოგიური პროცესის გამორიცხვის მეთოდით ან ნორმოლოგიის საფუძველზე – არ იძლევა საშუალებას სრულფასოვანი მართვის პროცესის ფორმირებისათვის. ბიოსისტემის ენერგოპოტენციალის დიაგნოსტიკური მოდელის გამოყენებამ საშუალება მისცა მეცნიერებს აღწერა დიაგნოსტიკის მთელი რიგი ახალი ფენომენები. მნიშვნელოვანმა ფენომენმა – ჯანმრთელობის „უსაფრთხო დონემ“ – პირველად მოგვცა შესაძლებლობა მკაცრ სამეცნიერო საფუძველზე დაგვესვა ქრონიკული არაინფექციური დაავადებების პირველადი პროფილაქტიკის პრობლემის გადაწყვეტის საკითხები, რადგან ნებისმიერი გაჯანსაღების ღონისძიებების მიზანი – ისეთი დონის ჯანმრთელობის მიღწევაა, რომლის დროსაც არ წარმოიშობა რისკის ენდოგენური ფაქტორები და არც პათოლოგია ვითარდება.

დღეს, კაცობრიობა დგას „მესამე ეპიდსაწინააღმდეგო რევოლუციის“ ზღვარზე, რომლის არსი – ინდივიდის ჯანმრთელობის მართვა, ცოცხალი სისტემის თვითორგანიზაციის მექანიზმების განმტკიცება და ჰარმონიზაციაა. ახალი სტრატეგიის საფუძველი – ვალეოლოგიაა, მისი თეორიული და პრაქტიკული მიღწევები. იმის გამო, რომ ჯანდაცვა უუნაროა დახმარება გაუწიოს ყველა გაჭირვებულ ადამიანს სამედიცინო

მეცნიერების თანამედროვე მიღწევების დონეზე (ფინანსირების მუდმივი დეფიციტის პირობებში), დასავლეთში შეიქმნა ახალი სამეცნიერო დისციპლინა – კლინიკური ეკონომიკა. ის წყვეტს პრობლემას – მედიცინის რომელ მიმართულებას ესაჭიროება მიზნობრივი დაფინანსება, რათა მიღწეული იქნეს სასურველი ეფექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. საჭიროა გვეკონდეს იმედი, რომ საქართველოს ახლო მომავალში ვალეოლოგია (მეცნიერება ჯანმრთელობაზე მოგვევლინება, როგორც XXI საუკუნის აღიარებულ დარგად, რომელიც წარმატებით განახორციელებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მართვის პროცესს.

დღეს, უნდა გვახსოვდეს, რომ მედიცინა განიცდის დიდი რევოლუციის მოახლოებას, რომელმაც არსებითად უნდა შეცვალოს ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურა, რაც ნიშნავს რეაქციისაგან (დაავადებისაგან) გადასვლას პრევენციაში.

### დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე მედიცინა ძირითადადში ეყრდნობა ბრძოლას უკვე არსებული დაავადების კლინიკური გამოვლინებების პროცესში, თუმცა ყოველთვის ღრმად ვერ წვდება მათი გამოვლენის მიზეზებს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პათოლოგიის განვითარების მექანიზმები ბოლომდე რჩება გაურკვეველი. ამიტომ ორგანიზმის ასეთი „რემონტი“ არ იძლევა გრძელვადიან ეფექტს და წარმოადგენს დროებით ღონისძიებას. მომავლის მედიცინაში არსებული პრობლემები ისე უნდა აეწყოს და გადანაწილდეს, რომ აცილებული იქნეს დაავადებების წარმოშობისა და განვითარების წინაპირობები.

უმაღლესი სამედიცინო განათლება ჯერ კიდევ დაულაგებელი ჯანდაცვის სისტემით ვერ მოიცნის დადებით შედეგს მოსახლეობის ჯანმრთელობის ეფექტურ დაცვაში. საჭიროა გამოინახოს ალტერნატიული გზა, რათა ნაწილობრივად მაინც გადაიჭრას მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები. ასეთ დარგად შეიძლება დაგვასახელოთ ვალეოლოგია. ვალეოლოგია, როგორც მეცნიერება ეფუძნება თანამედროვე მედიცინის ნორმებსა და პროფილაქტიკის კრიტერიუმებს, ხალხური და აღმოსავლური მედიცინის კოლექტიურ გამოცდილებას. ის გამაჯანსაღებელი მედიცინის განვითარების დღევანდელი ეტაპია. ვალეოლოგია მეცნიერული ცოდნის მომუშავე და ინტეგრირებული დარგია მედიცინას, ფიზიოლოგიას, ფსიქოლოგიას, ფიზიკური აღზრდის თეორიას, სოციოლოგიასა და პედაგოგიკას შორის, რაც მომავლისკენ არის მიმართული და ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის ევოლუციურ განვითარებას.

### ლიტერატურა:

1. ი. დოლიძე, განხუნაშვილი – ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, სოციალური. ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 52– 54;
2. ი. დოლიძე, განხუნაშვილი.– დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 64-66;
3. ი. დოლიძე, ქვეყნის ჯანდაცვის კრახიდან ვალეოლოგიამდე, იმედი +, 2014, 7, 25-27;
4. ი. დოლიძე, სამედიცინო და პედაგოგიური ვალეოლოგიისადმი სისტემური მიდგომის თავისებურებანი,



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2014, 13, 70-75;

5. ი. დოლიძე, სანოლოგიის როლი თანამედროვე მედიცინაში, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2014, 1, 24-30;

6. გ. ჩახუნაშვილი, ინტეგრალური მეცნიერება, როგორც XXI საუკუნის აუცილებლობა (ვალეოლოგია, სანოლოგია), სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, 17-12-11, 27-31;

7. ი. დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი, ადამიანის ჯანმრთელობა მედიცინის, პიკიუნისა და სანოლოგიის მეცნიერულ-პრაქტიკული პოზიციებიდან, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, 17- 12-11, 37-41;

8. გ. ჩახუნაშვილი, ი.დოლიძე, ვალეოლოგია, როგორც სამი კარდინალური მიმართულების – სასწავლო, სამეცნიერო და პედაგოგიურ დისციპლინათა ინტეგრირებული მეცნიერება, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, 9, 42-46;

9. ი. დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი, მოზარდების ჯანმრთელობის მართვაში პედაგოგიური ვალეოლოგიისა და სანოლოგიის კრიტერიუმების მნიშვნელობა, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, 9, 46-49;

10. ი.დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი – ვალეოლოგია, როგორც „ჯანმრთელობის ზოგადი თეორია და პრაქტიკა“ // ბავშვთა კარდიოლოგია, 2016, № 10, 34-37;

11. ი.დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი – სანოლოგიისა და გავანსაღების მექანიზმების რეგულაციის პრინციპები // ბავშვთა კარდიოლოგია, 2016 10, 38-41;

12. გ.ჩახუნაშვილი, ი.დოლიძე -ადამიანის ჯანმრთელობა ახალშობილობიდან იწყება // ბავშვთა კარდიოლოგია, 2016, № 10, 41-44;

13. ი.დოლიძე – ჯანდაცვის რეორგანიზაცია ჯანმრთელობის კრიტერიუმებით – XXI საუკუნის მედიცინის ძირითადი მოთხოვნა // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2016, № 18-13-12, 35-40;

14. გ.ჩახუნაშვილი, ი.დოლიძე, ნ.ჯობავა, კ.ჩახუნაშვილი, დ.ჩახუნაშვილი – სოციალური პედიატრია, როგორც ვალეოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2016, № 18-13-12, 24-27;

15. გ.ჩახუნაშვილი, ი.დოლიძე, გონგაძე ნ., ფავლენიშვილი ი.-ჯანდაცვის, ფარმაციის, ბიომედიცინისა და სპორტის ინდუსტრია // საქართველო 2050, საქართველოს განვითარების სტრატეგია, 2015, თბილისი, (პროექტის ხელმძღვანელი ო.ქუცნაშვილი), 123-133;

16. თ. მიქიაშვილი, ი.დოლიძე – ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში, 2016, თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, 221 გვ.

17. ი. დოლიძე -ადამიანის ჯანმრთელობის დინამიკის სისტემური ანალიზი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2017, 19-14-13, 34-37;

18. გ.ჩახუნაშვილი, ი.დოლიძე – ანთროპოკოსმიურ მედიცინაში ვალეოლოგიური მიდგომის მსოფლმხედველობა // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2017, 19-14-13, 42-46;

19. ი.დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი – ნორმის ფენომენი პრაქტიკულ მედიცინაში // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2017, 19-14-13, 47-51;

20. ი.დოლიძე – ვალეოლოგია და ჯანდაცვის ახალი პარადიგმა // მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2017, №3 (11), 38-44.

რეზიუმე

ეპოქალური გამოწვევები მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში

იბორ დოლიძე, ბიორბი ჩახუნაშვილი

უმაღლესი სამედიცინო განათლება ჯერ კიდევ დაუვლავებელი ჯანდაცვის სისტემით ვერ მოიტანს დადებით შედეგს მოსახლეობის ჯანმრთელობის ეფექტურ დაცვაში. საჭიროა გამოინახოს ალტერნატიული გზა, რათა ნაწილობრივად მაინც გადაიტაროს მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები. ასეთ დარგად შეიძლება დავასახელოთ ვალეოლოგია.

ვალეოლოგია, როგორც მეცნიერება ეფუძნება თანამედროვე მედიცინის ნორმებსა და პროფილაქტიკურ კრიტერიუმებს, ხალხური და აღმოსავლური მედიცინის კოლექტიურ გამოცდილებას. ის გამაჯანსაღებელი მედიცინის განვითარების დღევანდელი ეტაპია. ვალეოლოგია მეცნიერული ცოდნის მომიჯნავე და ინტეგრირებული დარგია მედიცინის, ფიზიოლოგიის, ფიზიკური აღზრდის თეორიის, სოციოლოგიისა და პედაგოგიკის მიმართულებათა შორის, რაც არის მიმართული მომავლისკენ და ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის ევოლუციურ გამვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, ჯანმრთეობა, ვალეოლოგია, სანოლოგია, ეპოქალური გამოწვევები.

SUMMARY

ЭПОХАЛЬНЫЕ ВЫЗОВЫ В СОХРАНЕНИИ ЗДОРОВЬЯ НАСЕЛЕНИЯ

ДОЛИДЗЕ ИГОРЬ, ЧАХУНАШВИЛИ ГЕОРГИЙ (ТВИЛИСИ)

Противоэпидемические революции (первое – направленное против инфекционных заболеваний и второе – для ликвидации хронических неинфекционных заболеваний) не принесли желаемого эффекта. Сегодня, проблема индивидуального здоровья человека находится на этапе третьей противоэпидемической революции (управление здоровьем индивида). Здесь же необходимо отметить, что высшее медицинское образование еще в несовершенной системе здравоохранения не принесет положительного результата в эффективной защите здоровья населения. Надо искать альтернативную путь частичного решения проблемных задач здоровья населения. Такую отрасль можно назвать валеологией. Валеология, как наука опирается на достижениях норм современной медицины и средств профилактического направления, основанных на базе коллективного опыта Народной и Восточной медицины. Сегодня оно находится на этапе научно-практического развития и является отраслью оздоровительной медицины. Валеология – это комплекс наук, или междисциплинарное направление на стыке медицины, физиологии, психологии, теорий физического воспитания, социологии и педагогики с целью сохранения здоровья человека в условиях влияния на него меняющихся условий внешней и внутренней среды.

Ключевые слова: здравоохранение, здравоведение, валеология, санология, парадигма.



SUMMARY

EPOCHAL CHALLENGES IN MAINTAINING THE HEALTH OF THE POPULATION

IGOR DOLIDZE, GEORGE CHAKHUNASHVILI(TBILISI)

Anti-epidemic revolutions: The first, which was aimed at infectious diseases and the second – to prevent the emergence of chronic non-infectious diseases , the desired result did not yield. Today we are at the stage of the third antiepidemic revolution (individual ealth management). It should be noted here that the higher medical education is still inadequate health care system.

Higher medical education vith still not well arranged public health system, will not bring positive result in protecting public health. It is necessary to look for an alternative way to solve problematic issues of public health. Valeologyis a sphere, that studies this Kind of topics.

Valeology, as a sphere of science is based on medical norms and prophylactic criterions, folk and eastern (oriental) medicine ,s collective experience. It is new phase for developing sanitation medicine. Valeology mixes science studies and sphereslike physiology, theory of physical education, sociology and pedagogic directions. Valeology is directed to future and helps to evolutionary develop human health.

Key words: health care, health management, valeology, sinology,.

პრეპარატ „აპიკორი“-ს გამოყენების შესაძლებლობანი თანამედროვე კარდიოლოგიაში

ბ. ჩახუნაშვილი მმდ „აკადემიკოსი

აპიკორი წარმოადგენს პარასამკურნალო საშუალებას, რომლის შემადგენლობაში შედის: ყვავილის მტვერი, ფუტკრის რქე და ყურძნის ჭაჭის მშრალი ექსტრაქტი. აპიკორი მდიდარია ვიტამინებით, მინერალებით, ამინომჟავებით და შეიცავს ანტიოქსიდანტებისა და ფლავონოიდების საოცარ კომპლექსს.

ვიტამინები, მინერალები და ამინომჟავები მონაწილეობენ ორგანიზმის შენების, განვითარებისა და სიცოცხლისათვის აუცილებელ ყველა პროცესში. ვიტამინებიდან აღსანიშნავია A, B ჯგუფი, C, PP, D3, E ფოლის მჟავა. მინერალებიდან: K, Mg, Ca, Fe, Se, P, I, C2 და სხვ. ამინომჟავებიდან:

ვალინი, ლეიცინი, ლიზინი, გლუტამინის მჟავა, ცისტინი, თიროზინი და ა.შ.

ქართული ფუტკარი თავისი ფრენის რადიუსით, ანატომიური და ფიზიოლოგიური თვისებებით უნიკალურია მსოფლიოში და მისი პროდუქტებიც მრავალფეროვანი და მდიდარია ორგანიზმის შენების, ზრდის, განვითარების და საერთოდ სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებებით. ასევე გამოირჩევა სამკურნალო თვისებების მატარებელი კომპონენტთა სიუხვით ყურძენი (იგი შეიცავს 800-მდე სასარგებლო ნივთიერებას, რომელთაგან 300-მდე სამკურნალო თვისებების მატარებელია (რეზვერატროლი). აპიკორში ფუტკრის პროდუქტების ანტიოქსიდანტური მოქმედება გაძლიერებულია ყურძნის ჭაჭის მშრალი ექსტრაქტით, რომელიც შეიცავს ისეთ ფლავონოიდებს, რომლებიც ბევრად აძლიერებენ მის მოქმედებას ამ მხრივ. ფლავონოიდები ეს არის პოლიფენოლური ნაერთების ჯგუფი, რომლებსაც შეიცავს ბევრი მცენარე. საკვებიდან დიდი რაოდენობით ფლავონოიდებს შეიცავს ხახვი, კომბოსტო, ციტრუსების ნაყოფი, ახლად დაყენებული ჩაი, ყავა. ასევე წითელი ღვინო, სადაც მისი კონსერვაცია ხდება ალკოჰოლის საშუალებით, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით როგორც აღვნიშნეთ არის ყურძენში. ფლავონოიდებს აქვთ უნარი ცოცხალი

ორგანიზმები დაიცვან ინფრაციული სხივების, ვირუსული, ბაქტერიული, სოკოვანი ინფექციებისაგან. მათ ახასიათებს გამოხატული ანტიოქსიდანტური, ანტიპოლიპიდემური და ანტისიმსივნური აქტივობა. ისინი ბევრად უფრო ძლიერი ანტიოქსიდანტებია, ვიდრე C და E ვიტამინები. ამავე დროს ისინი ხელს უწყობენ ზემოაღნიშნული დაუანგული ვიტამინების აღდგენას, ხოლო ტოკოფეროლთან აქვთ სინერგიული მოქმედების უნარი – ისინი აძლიერებენ ერთმანეთის მოქმედებას. ფლავონოიდები წარმოადგენენ ვიტამინ E-ს პროლონგატორს იმისი მოქმედებით იგი გადადის არააქტიური ფორმიდან აქტიურში.

ყურძნის ჭაჭის მშრალი ექსტრაქტი შეიცავს ფლავონოიდების გარდა ფენოლმჟავების, კატეჩინების, ტრიტერპენოვან, ოქსიმჟავებს, ფიტოსტერინებს, თავისუფალ ცხიმოვან მჟავებს. ისინი ფლობენ გეროპროტექტორული მოქმედების უნარს, იცავენ მიოკარდიუმს, სისხლძარღვებს, ნერვულ ქსოვილს ორგანიზმის ცხოველყოფილობის პროცესში წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებისგან. თავისუფალი რადიკალები აზიანებენ უჯრედის ბირთვს, რაც განაპირობებს უჯრედის დაღუპვას, რაც შემდგომში იწვევს ორგანოების დაზიანებას. დაავადების დროს ასევე მატულობს ორგანიზმში თავისუფალი რადიკალების რაოდენობა. მათი ორგანიზმში რაოდენობრივი ზრდის ხელისშემწეობი ფაქტორებია: ინფრაციული სხივები, დიდი ფიზიკური დატვირთვა, ემოციური ძვრები, გამონაბოლქვი აირების მაღალი კონცენტრაცია ატმოსფეროში, თამბაქოს მოწევა, ანთებითი პროცესები ორგანიზმში და სხვა. დამტკიცებულია, რომ თავისუფალი რადიკალები უშვებენ ჯაჭვურ რეაქციას 100-ზე მეტი დავალების განვითარებაში და პათოგენებში ფლავონოიდები კი იჭერენ ორგანიზმში ამ თავისუფალ რადიკალებს, ანეიტრალავენ მათ მავნე ზემოქმედებას და გამოჰყოფენ გარეთ. უკანასკნელ ხანებში მეტი ყურადღება ეთმობა თავისუფალი რადიკალები



ბის როლს კანცეროგენეზში, ამდენად კიდევ უფრო იზრდება მათი განვითარების მნიშვნელობა. რაც შეეხება ათეროსკლეროზულ პროცესებს, რომლის მანიფესტირება ხდება გულის იშემიური დაავადების: სტენოკარდიების, ინფარქტების, ინსულტების და ა.შ. სახით, მის განვითარებაში ერთ-ერთ ძირითად როლს ასრულებს, ლიპიდური ცვლის დარღვევა, დაბალი სიმკვრივის, ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების მატება, რომლებიც დაუანგულები სახით ადვილად აღწევენ სისხლძარღვის კედელში, მის სუბენდოთელალოურ შრეში, რითაც განპირობებულია მათი მაღალი ათეროგენულობა. ანტიოქსიდანტები უერთდებიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებს. არ აძლევს მათ დაუანგვის საშუალებას, მიემართებიან ლვიდისკენ და ნაღველთან ერთად გამოიყოფიან ნაწლავში და შემდეგ გარეთ.

აპიკორი ამავე დროს წარმოადგენს ენერჯის წყაროს გულისთვის, ტვინისთვის, კუნთებისთვის, ცენტრალური ნერვული სისტემისთვის, აძლიერებს იმუნურ სისტემას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, უნარჩუნებს სისხლძარღვის კედელს პლასტიურობას, რადგანაც შეიცავს რუტინს. აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარების პროცესს. იგი გამოიყენეს არტერიული ჰიპერტენზიის, გულის იშემიური დაავადების, სხვადასხვა პათოლოგიური პროცესებით განპირობებული მიოკარდიოლოგიის და კარდიომიოპათიების მკურნალობაში: იგი ფართოდ მოქმედებს ყველა ორგანოზე და აუმჯობესებს იმუნურ სტატუსს. განსაკუთრებულია მისი მნიშვნელობა ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში. იგი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევის მომავალი დედისა და ნაყოფის ორგანიზმში, ამარაგებს მათ ჟანგბადითა და ყველა იმ აუცილებელი ნივთიერებით, რომლებიც ასე ესაჭიროება ორგანიზმს ამ პერიოდში. შეიცავს ამინომჟავა არგინინს, რომელიც წარმოადგენს აზოტის დონორს და მის ბუნებრივ გადამტანს ორგანიზმში. არგინინი ამარაგებს

აზოტით ფერმენტთა სისტემას, რომლებიც წარმოქმნიან აზოტის ჟანგს. აზოტის ჟანგი კი წარმოადგენს არტერიული სისხლძარღვთა ქსელის ბიორეაქტივაციის მედიატორს, რომელზეც დამოკიდებულია დიასტოლური წნევა არგინინის ნაკლებობის შემთხვევაში ორგანიზმში არასაკმარისი აზოტის ჟანგის სინთეზი და შესაბამისად დიასტოლური წნევა მატულობს.

პრეპარატმა „აპიკორმა“ გაიარა პრეკლინიკური და კლინიკური კვლევები და 2007 წელს დარეგისტრირდა, როგორც პარასამკურნალო საშუალება (2007 წლამდე რეგისტრირებული იყო როგორც ბიოლოგიურად აქტიური დანამატი). ჩვენ 2007 წლის შემდეგაც ვაწარმოებთ და ვაგარძელებთ კლინიკურ დაკვირვებას ასობით პაციენტზე. დაკვირვება ეხებოდა, როგორც ათეროსკლეროზის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს. ლიპიდურ ცვლას, ასევე სხვადასხვა პროცესებით გამოწვეულ მიოკარდიოლოგიის პრობლემებსა და კარდიომიოპათიებს. პაციენტები, რომლებიც ბაზისურ მკურნალობასთან ერთად იღებდნენ აპიკორს 2x2 დღე – 3ჯერ დღეში 3 თვის მანძილზე აღენიშნებოდათ ბევრად უფრო დადებითი დინამიკა. იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებიც არ ღებულობდნენ პრეპარატ „აპიკორ“-ს. რაც შეეხება ათეროსკლეროზის, ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს ლიპიდურ ცვლას. ის პაციენტები, რომლებიც დიეტოთერაპიასთან ერთად ღებულობდნენ „აპიკორ“-ს კქონდათ ბევრად უფრო გაუმჯობესებული მაჩვენებლები ლიპიდურ ცვლაში (დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდები) მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდები, საერთო ქოლესტერინი და ა.შ.)

აქედან გამომდინარე, „აპიკორი“ უნდა იყოს ჩართული კარდიოლოგიური პრობლემების მქონე პაციენტების დანიშნულებაში ბაზისურ მკურნალობასთან ერთად, როგორც უსაფრთხო, გვერდითი მოვლენების არმქონე და დადებითი შედეგების მომტანი საშუალება.

რეზიუმე

პრეპარატ „აპიკორი“-ს გამოყენების შესაძლებლობანი თანამედროვე კარდიოლოგიაში

კ. ჩახუნაშვილი მმდ,აკადემიკოსი

აპიკორი წარმოადგენს პარასამკურნალო საშუალებას, რომლის შემადგენლობაში შედის: ყვავილის მტვერი, ფუტკრის რძე და ყურძნის ჭაჭის მშრალი ექსტრაქტი. აპიკორი მდიდარია ვიტამინებით, მინერალებით, ამინომჟავებით და შეიცავს ანტიოქსიდანტებისა და ფლავონოიდების საოცარ კომპლექსს.

„აპიკორი“ უნდა იყოს ჩართული კარდიოლოგიური პრობლემების მქონე პაციენტების დანიშნულებაში ბაზისურ მკურნალობასთან ერთად, როგორც უსაფრთხო, გვერდითი მოვლენების არმქონე და დადებითი შედეგების მომტანი საშუალება.

SUMMARY

PROSPECTS OF USING 'APICOR' IN MODERN CARDIOLOGY

K. CHAKHUNASHVILI MD, PhD, SD, Academishen

Apicor is a paramedical preparation that includes: bee pollen, royal jelly and grape skin extract. Apicor is rich in vitamins, minerals, amino acids, antioxidants and flavinoids.

Apicor can be included in prescription as a supplement for people who have cardiologic problems, since it does not have side effects and has a positive effect on an outcome.



# იოდის დეფიციტი ორსულობის დროს და მისი გავლენა ახალშობილზე

იპ. იაკობიძე, ლ. ჰიჭინაძე – რეზიდენტები (თბილისი)

### იოდის როლი ადამიანის ორგანიზმში

იოდი სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტი, რომელიც მრავალმხრივ ზემოქმედებს ორგანიზმის ზრდაზე, განვითარებაზე და ნივთიერებათა ცვლაზე.

ორგანიზმში იოდი მონაწილეობს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების სინთეზში.

### მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით იოდის დღიური ნორმებია:


- 90 მკგ (მიკროგრამი) – ბავშვები დაბადებიდან 5 წლამდე
- 120 მკგ – ბავშვები 5 დან 12 წლამდე
- 150 მკგ – მოზარდები (12 დან) და ზრდასრულები
- 250 მკგ – ფეხმძიმე და მეძუძური დედები

### მეჩანიზმი

- ადამიანის ორგანიზმში იოდი არ წარმოიქმნება, ორგანიზმს ის უმთავრესად ცხოველური და მცენარეული საკვებით მიეწოდება.
- თევზი (კამბალა, ქაშაყი, სკუმბრია, ვირთევზა) და ზღვის პროდუქტები, თევზის ქონი;
- რძის პროდუქტები;
- ბურღულეული (წიწიბურას, ფეტვი)
- ზღვის კომბოსტო;
- თაფლი, ლიმონი, ნიგოზი;
- იოდიზირებული მარილი.

### იოდის დეფიციტი

თუ ორგანიზმმა საკმარისი რაოდენობის იოდი ვერ მიიღო, ვითარდება იოდდეფიციტური მდგომარეობა, რომელიც სხვადასხვა დაავადებას აძლევს დასაბამს. იოდის ნაკლებობისას ფარისებრი ჯირკვალი ვერ წარმოქმნის საჭირო ოდენობის ჰორმონებს და კომპენსატორულად დიდდება – ყალიბდება ჩიყვი. ჩიყვის ჩამოყალიბებას იოდდეფიციტის პირობებში 6-12 თვე სჭირდება.




### იოდდეფიციტი

იოდდეფიციტის, შესაბამისად თირეოიდული ჰორმონების უკმარისობის დროს თავს იჩენს ბრადიკარდია, კუნთოვანი ტონუსის დაქვეითება, ზოგადი სისუსტე. ჰიპოთირეოზი (ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობა) ხშირად ხელს უწყობს ყაბზობას, იმუნიტეტისა და

შრომისუნარიანობის დაქვეითებას, ანემიას. საზოგადოდ, რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა სწორედ იოდდეფიციტს უკავშირდება.

### ყველაზე გავრცელებული სიმპტომებია

- უმადობა
- სწრაფი დაღლა, ცუდი განწყობა
- თმისცვენა, კანის სიმშრალე, კბილების დაშლა
- სმენის დაქვეითება, მეხსიერების გაუარესება, ხშირი თავის ტკივილები
- დაქვეითებული იმუნიტეტი, ხშირი გაციებები და ინფექციური დაავადებები
- ტკივილი გულის არეში, ქოშინი.



### იოდდეფიციტი და ორსულება

ფიზიოლოგიური ორსულობის მიმდინარეობის დროს, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია ძლიერდება და თირეოიდული ჰორმონების წარმოქმნა იმატებს. ამ დროს ორგანიზმი ჩვეულებრივზე ერთნახევარჯერ მეტ – 300 მკგ-მდე იოდს ითხოვს.

ელემენტის უკმარისობა განსაკუთრებით გამოხატულია ორსულობის პირველ ნახევარში, როდესაც ნაყოფის ფარისებრი ჯირკვალი ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს. ორსულობის მე-14-16 კვირიდან ნაყოფის ფარისებრი ჯირკვალი ამოქმედდება, ხოლო მშობიარობის დრო-ისთვის მისი ჰიპოფიზ-ფარისებრი ჯირკვლის სისტემა მთლიანად ჩამოყალიბებულია

- ფერტილური ასაკის ქალბატონებისთვის იოდის დეფიციტი და მასთან
- დაკავშირებული ჰიპოთირეოზი შეიძლება გახდეს უშვილობის მიზეზი
- ორსულობის შემთხვევაში – სპონტანური აბორტის, ნაადრევი მშობიარობის, ბავშვის
- თანდაყოლილი ანომალიებისა და მკვდრადშობადობის მიზეზიც კი.
- მშობიარეობში იზრდება გართულებათა რისკი, არც მკვდრადშობადობაა გამორიცხული
- ძუძუს წოვების პერიოდში იოდდეფიციტმა შესაძლოა ლაქტაციის შემცირება ან შეწყვეტა გამოიწვიოს.
- მოსალოდნელია ანემია, პლაცენტის უკმარისობა, ჰიპერტენზია, გესტოზი, ეკლამფსია, ახალშობილი კი შეიძლება თანდაყოლილი მანკით ან ჰიპოთირეოზით დაიბადოს



### იოდის მნიშვნელობა ნაყოფის ორბანიზმისთვის

მუცლადყოფნის პერიოდში ჰორმონები პრაქტიკულად ყველა ორგანოსა და სისტემის ჩამოყალიბებასა თუ მომწიფებას აკონტროლებს.

- ისინი გავლენას ახდენს:
  - ფილტვის ქსოვილის,
  - ძვალსახსროვანი სისტემის
  - ჩონჩხისა და ხრტილოვანი ქსოვილის ზრდაზე
  - ცილის სინთეზზე,
  - უჯრედების ზრდაზე

• ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები აჩქარებს ძვლებში მინერალების (უმთავრესად – კალციუმისა და ფოსფორის) ჩალაგებას, ზრდის მოთხოვნილებას ფერმენტებსა და ვიტამინებს.

• ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების გავლენით ორსულობის პირველ ტრიმესტრში ყალიბდება ნაყოფის თავის ტვინის ქერქი და ნერვული სისტემის სხვა ფუნქციური ცენტრები.

• ორსულობის მეორე ტრიმესტრში ნაყოფის ფარისებრი ჯირკვალი იწყებს მუშაობას და შესაბამისად მომავალი ბავშვის ორგანიზმში მეტნაკლებად დამოუკიდებელია დედის ფარისებრი ჯირკვლისგან.


• მეორე და მესამე ტრიმესტრში თირეოიდული ჰორმონები უზრუნველყოფენ სინაფსოგენეზს და მიელინიზაციას (ნერვულ უჯრედებს შორის კონტაქტი და ნერვული ბოჭკოების დაფარვა ცხიმოვანი გარსით, რაც აუცილებელია იმპულსების გადასაცემად).

• დაბადების შემდეგ გრძელდება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების გავლენა ტვინის განვითარებაზე, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვის ინტელექტს.

• კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვებს რომლებიც დაიბადნენ ჰიპოთირეოზის მქონე დედებისგან, სხვებთან შედარებით ხშირად აქვთ მოძრაობითი დარღვევები, ყრუ-მუნჯობა, ცუდად სწავლობენ, მიდრეკილნი არიან სხვადასხვა ქცევითი დარღვევებისაკენ.

• იოდის დეფიციტის პირობებში ბავშვის ინტელექტის მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია 10-15 ბალით.

• ორსულობის პირველ ტრიმესტრში იოდის და თირეოიდული ჰორმონების დეფიციტით გამოწვეული განვითარების დარღვევები აღარ გამოსწორდება შემდგომი მკურნალობით.



## ბავშვთა კარდიოლოგია

### იოდდეფიციტი

#### იოდის დეფიციტი ბავშვებში

ტასმანიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა მასშტაბური კვლევა ჩაატარეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იოდდეფიციტი ბავშვის ინტელექტზე მოქმედებს.

კვლევის შედეგების თანახმად, იმ ბავშვებს, რომელთა დედებსაც ორსულობის დროს იოდდეფიციტი ჰქონდათ, უფრო უჭირთ ახალი უნარების ათვისება, სწავლა და მართლწერაშიც პრობლემები აქვთ.

თუმცადა ისიც აღსანიშნავია, რომ ამავე ნივთიერების დაბალი დონე თურმე არ ახდენს გავლენას მათემატიკურ უნარებზე.

ბავშვებს, რომელთა დედებს ჰქონდათ მძიმე იოდის დეფიციტი ორსულობის დროს შესაძლოა განუვითარდეთ:

- გონებრივი განვითარების სხვადასხვა ხარისხის შეფერხება, მათ შორის, ყველაზე შორს წასული ფორმა - კრეტინიზმი,
- პრობლემები ზრდასთან, სმენასა და საუბართან დაკავშირებით.

*კრეტინიზმი, რომელიც იოდის დეფიციტის უმძიმეს გამოვლინებას წარმოადგენს დღეისათვის სამედიცინო იშვიათობაა, თუმცა იოდის მსუბუქი ან საშუალო დეფიციტი კვლავაც ახდენს უარყოფით გავლენას როგორც ორსული ქალის, ასევე ბავშვის ჯანმრთელობაზე.*

#### კრეტინიზმი და იოდდეფიციტის შორის კავშირი

- სიტყვა „კრეტინი“ პირველად 1754 წელს დიდროს ენციკლოპედიაში იქნა განმარტებული: „ჭკუასუსტი, ყრუ და მახინჯი, საქამრემდე ჩამოკიდებული ჩიყვით“.
- ევროპაში ჩიყვსა და კრეტინიზმს შორის კავშირს პირველად 1215 წელს გაუსვეს ხაზი.
- უძველეს წყაროდ მიჩნეულ წიგნში დახატულიც კია ადამიანი ჩიყვით და ე.წ. კრეტინის სკიპტით.
- 1526 წელს პარაცელსმა ჩიყვის თანამდგევი კრეტინიზმი აღწერა.
- ჯერ კიდევ 5000 წლის წინანდელ ჩინურ, ინდურ, ბერძნულ, რომაულ ნაშრომებში მოიპოვება ცნობები მოსახლეობის ფართო ფენებში ენდემური ჩიყვისა და კრეტინიზმის გავრცელების შესახებ.

### იოდდეფიციტი

უკანასკნელ პერიოდში გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებულმა ობსერვაციულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 8-10 წლის ბავშვებს, რომელთა დედებს ორსულობის დროს ჰქონდათ იოდის მსუბუქი დეფიციტი, უფრო დაბალი ინტელექტის კოეფიციენტი ე.წ. IQ (10-12 ერთეულით) და კითხვის შეზღუდული უნარ-ჩვევები აღმოაჩნდათ, ვიდრე იმ ბავშვებს, რომელთა დედებს იოდის საკმარისი რაოდენობა – მათზე ორსულობის დროს.

*ამ კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ორსულ ქალებში იოდის მსუბუქმა დეფიციტმა შეიძლება მძიმე გავლენა მოახდინოს ბავშვის შემდგომი ინტელექტუალური და გონებრივი განვითარების პროცესზე.*

### ნორმა

ნორმაში თშ უნდა იყოს 0,4-4,0 μIU/L, თუმცა რამდენადაც ორსულობის პერიოდში მოთხოვნილება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებზე იზრდება, TSH-ს სხვადასხვა ნორმები აქვს ტრიმესტრების მიხედვით. პირველ ტრიმესტრში ქორიონული გონადოტროპინის გავლენით მცირდება TSH დონე და შესაძლოა TSH



ნორმის ქვედა ზღვრამდეც კი დაქვეითდეს, რაც სრულიად ფიზიოლოგიური და გარდამავალი ხასიათის ცვლილებას წარმოადგენს.

ამერიკის თირეოიდოლოგთა ასოციაციის მიხედვით, პირველ ტრიმესტრში TSH მაჩვენებელი უნდა იყოს 0,1 -2,5  $\mu\text{IU/L}$ -მდე, მეორე ტრიმესტრში – 0,2-3  $\mu\text{IU/L}$ , ხოლო მესამე ტრიმესტრში 0,3-დან 3  $\mu\text{IU/L}$  არ უნდა აღემატებოდეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ნებისმიერმა ქალმა, როგორც მთელი ორსულობის, ისე მექუჭურობის პერიოდში, დღე-ღამეში 200-250 მკგ იოდი უნდა მიიღოს.

### საქართველო იოდის დეფიციტის რეპირინაჟი!

საქართველო იმ გეოგრაფიულ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც გარემოში ბუნებრივად არსებობს იოდის დეფიციტი. რასაკვირველია, ყველა რეგიონი ერთნაირად იოდდეფიციტური არ არის, მაგრამ საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, იოდის ნაკლებობა აშკარაა. საქართველოში შარდით დღე-ღამეში ლიტრზე 40-დან 80 მკგ-მდე იოდი გამოიყოფა. ეს ნორმაზე გაცილებით ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი დღე-ღამეში იმის ნახევარ იოდსაც კი არ იღებს, რასაც უნდა იღებდეს, ამიტომ, თუ სპეციალურ დახმარებას არ გაუწევთ, საქართველოს მთელი მოსახლეობა იოდის დეფიციტის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ იოდის მასობრივი პროფილაქტიკა იოდიანი მარილით

იოდი ცოტა ნიადაგში და შესაბამისად, ამ ნიადაგზე გახარებული მცენარეები და ის ცხოველები, რომლებიც ასეთ მიწაზე ამოსული ბალახით იკვებებიან, ადამიანისთვის იოდის წყაროდ ვერ გამოდგებიან. ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანი იოდს უმთავრესად, საკვების მეშვეობით იღებს.

### პრევენცია

შეიძლება ითქვას რომ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მეურნალობას ორსულობის დროს აქვს სოციალური მნიშვნელობა. რეგიონის პოპულაციის ინტელექტის მაჩვენებლის შემცირება გავლენას ახდენს მის ეკონომიკასა და კულტურაზე

### რეკომენდირებულია:

- ორსულობამდე ფარისებური ჯირკვლის პორმონების განსაზღვრა სისხლში და ჰიპოთირეოზის შემთხვევაში მისი გამოსწორება.
- ორსულობის დროს აუცილებელია იოდდეფიციტის პროფილაქტიკა.

### პრევენცია

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მოსახლეობაში იოდის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით გამოიყენება იოდიზირებული მარილი.

თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თერაპიული დამუშავება იოდის რაოდენობას ამცირებს, ამდენად დუდილისა და შუქვის პერიოდში კერძებს იოდიზირებული მარილი არ უნდა დავუმატოთ. მარილის მოყრა უნდა მოხდეს მზა კერძზე.


ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს იოდიზირებული მარილი არ წარმოადგენს იოდის საკმარის წყაროს, ამიტომ აუცილებელია ორსულმა და მექუჭურმა დე-

დებმა მიიღონ იოდის დანამატები კონრეტული დოზით ექიმის რეკომენდაციითა და მეთვალყურეობის ქვეშ.

ლაქტაციის პერიოდში ახალშობილისთვის იოდის ერთადერთ და საუკეთესო წყაროს წარმოადგენს დედის რძე.

ცნობილია ბევრი ქიმიკატი, რომელიც თრგუნავს იოდის ათვისებას ფარისებრი ჯირკვლის მიერ და ასევე მის გადასვლას დედის რძეში ერთ-ერთი მათგანია თიოციანატი (SCN-), რომელიც შედის თამბაქოს შემადგელობაში და შეუძლია დაარღვიოს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია და გამოიწვიოს იოდ-დეფიციტური ჰიპოთირეოზი.

ამდენად, მკაცრად რეკომენდებულია ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში სიგარეტის მოწვევაზე უარის თქმა, ხოლო მათ, ვინც ამ რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს, აუცილებელია, მიიღონ იოდის უფრო მაღალი დოზა, რომ არ განვითარდეს იოდის დეფიციტი. ახალშობილები, რომლებიც იმყოფებიან ხელოვნურ კვებაზე, აუცილებელია, მიიღონ იოდის დანამატები, იოდ დეფიციტური ჰიპოთირეოზის პრევენციის მიზნით.



### პროფილაქტიკა

ნაყოფის ნერვული სისტემის ფორმირება ორსულობის მე-3-4 კვირას იწყება – იმ დროს, როდესაც ქალმა შესაძლოა არც კი იცოდეს, რომ ორსულად არის. ამიტომ იოდდეფიციტის პროფილაქტიკა სასურველია დავიწყოთ დაორსულებამდე, მისი დაგეგმვისას. იოდის მიღება უნდა გაგრძელდეს მთელი ორსულობის განმავლობაში და ძუძუთი კვების დროს.

დიეტით იოდის დეფიციტის კომპენსირება პრაქტიკულად შეუძლებელია. საკვები პროდუქტების უმეტესობა ძალიან ცოტა იოდს შეიცავს. თანაც დიეტა ვერ უზრუნველყოფს ორგანიზმში იოდის თანაბარ გადაწვინებას. არსებობს მრავალი პრეპარატი, რომლებსაც ორსულთა ვიტამინურ-მინერალური უკმარისობის პროფილაქტიკისთვის იყენებენ, მაგრამ იოდის დეფიციტის პროფილაქტიკისთვის უმჯობესია გამოყენებული იქნეს მდიკამენტები იოდის დოზირებული შემცველობით – ისინი საშუალებას გვაძლევს, ზუსტად ვაკონტროლოთ ორსულის ორგანიზმში იოდის ოდენობა.

### ბასსოფით !!!

● იოდის პრეპარატებით თვითმკურნალობა და თვითპროფილაქტიკა კატეგორიულად იკრძალება. ამ პრეპარატების არასწორმა მიღებამ შესაძლოა ვერაფერი უშველოს იოდდეფიციტის პრობლემას, მეტიც – ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის მიზეზად იქცეს.

● იოდის პრეპარატების მიღებამდე უნდა დაახუსტოთ, როგორ მუშაობს ფარისებრი ჯირკვალი.



● იოდშემცველი საშუალებების მიღება უკუნაჩვენებია ფარისებრი ჯირკვლის მომატებული აქტივობისას.

● თუ ფარისებრი ჯირკვლის დაავადება გაქვთ, ეს აუცილებლად უნდა აცნობოთ მეანსა და პედიატრს.

● მშობიარობის შემდეგ 6-9 თვის განმავლობაში, ყოველ 2-3 თვეში ერთხელ, უნდა გაიზომოთ სისხლში თირეოიდული (ფარისებრი ჯირკვლის) ჰორმონების შემცველობა.

### კვლევი ცნობები

● ძველ წინეთში თურმე ჩიყვის სამკურნალოდ ცხოველთა ფარისებრი ჯირკვალს იყენებდნენ. ჩინეთის იმპერატორის კანსის განკარგულებით, ჩიყვის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას ყოველწლიურად 5

გირვანქა მშრალი ზღვის კომბოსტო უნდა მიეღო. ცნობილია, რომ იულიუს კეისარმა ლაშქრობების დროს გალესს კისერზე „ბორცვი“ შეამჩნია. ჩიყვი თურმე დედოფალ კლეოპატრასაც კი ჰქონდა.

● იოდი სამკურნალოდ პირველად 1820 წელს გამოიყენეს, მოგვიანებით, 1896 წელს, იოდი ფარისებრი ჯირკვალში აღმოაჩინეს, რამაც ჩიყვის იოდით მკურნალობის პოზიცია გაამყარა.

● ჩიყვის პროფილაქტიკისთვის იოდიანი მარილის გამოყენების საკითხი პირველად შვეიცარიაში დაისვა – ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის თითქმის მთელი ნახევარი მძიმე ენდემურ კერას წარმოადგენდა.

● იოდიანი მარილის მასობრივი მოხმარება მთელ მსოფლიოში 1925 წლიდან დაიწყო, რამაც მკვეთრად შეამცირა ჩიყვისა და კრეტინიზმის შემთხვევები.

### რეზიუმე

## იოდის დეფიციტი ორსულობის დროს და მისი გავლენა ახალშობილზე

ი. ა. იაკობიძე, ლ. ჰიჩინაძე – რეზიდენტები (თბილისი)

შრომაში განხილულია ორსულობის დროს იოდეფიციტის გავლენა ახალშობილებზე, რომლისაც დღეისათვის აქტუალობა არ დაუკარგავს

### SUMMARY

## IODINE DEFICIENCY DURING PREGNANCY AND HER INFLUENCE OF NEWBORN

IA IAKOBIDZE, L. CHICHINADZE \_ Residents (Tbilisi)

The work deals with the effect of iodine on newborns during pregnancy, which has not been sensitive to the present

# აკიკულოს იმუნოკორექციული ეფექტი მწვავე რუსპირატორული ვირუსული ინფექციების დროს ბავშვებში

ბ. ჩახუნაშვილი; ნ. თოფურაძე; ნ. ჯობაძე; ნ. ბაღრაშვილი; ბ. ჩახუნაშვილი, დ. ტაბუცაძე  
სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი, თსსუ პედიატრიული კლინიკა, ირ.ციციშვილის სახ.პედ. კლინიკა, თსსუ აფილირებული კლინიკა „ბაზი“

ბავშვთა ასაკში, ზემო სასუნთქი გზების მწვავე რესპირატორულ დაავადებებს 70-80% შემთხვევაში ვირუსები იწვევენ, რომლებიც ზოგჯერ ასოცირებული არიან მიკროორგანიზმებთან (1,4,10). მწვავე რესპირატორულ ვირუსულ ინფექციებში (მრვი) იწვევენ სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის სტრუქტურულ ცვლილებებს, დაცვის ადაპტაციური მექანიზმების დაქვეითებას, ხოლო ბაქტერიული ინფექციის თანდართვა ამძიმებს რა დაავადების მიმდინარეობას ზრდის სხვადასხვა გართულებების (ოტიტი, სინუსიტი, ტრაქეობრონქიტი, პნემონია და სხვა) და სომატური დაავადებების (მიოკარდიტი, გლომერულონეფრიტი) განვითარების რისკს(2,3,6). მრვი-ის განხარგრძლივებული მიმდინარეობისა და გართულებების სისშირის პათოლოგიურ საფუძველს ორგანიზმის იმუნო-

ლოგიური რეაქტიულობის დაქვეითება წარმოადგენს. ეს ცვლილებები არასპეციფიურია და შეიძლება იმუნური სისტემის ყველა რგოლს ეხებოდეს(7,11). ამასთან დაკავშირებით მრვი-ის მკურნალობასა და რეაბილიტაციაში აუცილებელია ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ორგანიზმის ნორმალურ ცხოველქმედებას, ფიზიოლოგიური დაცვითი მექანიზმების აღდგენას და ჯანმრთელობის შენარჩუნებას. ამ საშუალებებს პირველ რიგში მიეკუთვნება რაციონალური კვება, დღის რაციონალური რეჟიმი, პოლივიტამინური პრეპარატები და იმუნომოკორექციული საშუალებები. მიუხედავად სამკურნალო პრეპარატების სიუხვისა, მრვი-ის მკურნალობა ძირითადად სიმპტომურია, რაც ვერ ამცირებს მძიმე, გართულებული ფორმებისა და

ლეტალობის სისშირეს. ამასთან დაკავშირებით მრვი-ის მკურნალობის ერთ-ერთი მიმართულებაა ორგანიზმის ფიზიოლოგიური დაცვითი მექანიზმების აღდგენა. მეტაბოლური და ცილოვანი ცვლის კორექციისა და იმუნომოდულაციის მიზნით სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ანტიოქსიდანტი აკიპულმო. იგი არმოადგენს ორი ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით მდიდარი პროდუქტის ქართული ფუტკრის ნაწარმისა(ყვავილის მტვერი, ფუტკრის რძე) და წიწვოვანის ექსტრაქტის ნაზავს, რომელიც მდიდარია ორგანიზმის შენების, განვითარებისა და სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებებით: ცილებით (შეიცავს ამინომჟავებს 22 სახეობას, მათგან 8 შეუცვლელს), ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, გლიკოზიდებით, ვიტამინებით



იმუნოლოგიური მაჩვენებლების დინამიკა მრვი-ს დროს ბავშვებში აპიკულმითი მკურნალობის ფონზე.

იმუნოლოგიური მაჩვენებლები	საკონტროლო ჯგუფი n=20	მკურნალობამდე (n=60)	I ჯგუფი (ბაზის. თერაპია) n=32	II ჯგუფი (ბაზის.+აპიკულმითი) n=28
CD3 %	56+-2,5	40,4+-0,5	45,4+-0,5	51+-2,5
CD4 %	34,5+-1,4	25,5+-0,4	27,5+-0,4	30,5+-1,4
CD8 %	23+-2,7	15,3+-0,5	19,3+-0,5	22+-2,7
B ლიმფოციტები%	11,2+-0,9	7,3+-0,3	8,3+-0,3	11,0+-0,9
IgG მგ%	790+-11,5	580+-8,1	650+-8,1	730+-11,5
IgA მგ%	75+-2,4	55+-1,6	62+-1,6	72+-2,4
IgM მგ%	90+-1,8	69,5	78+-1,5	85+-1,8
P<			0,05	0,001

(A,B,C,D,PPE,K, ფოლის მუავა), ფოსფორტერინებით, სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ბიოფლავინოიდებით, მიკრო და მაკროელემენტებით (Fe,Zn,Cu,F), ქლოროფილით. ამავდროს წიწვის ექსტრაქტი შესანიშნავი იმუნომოდულატორია.

ქართული ფუტკარი განსაკუთრებული გრძელი ხორთუმისა და ფრენის დიდი რადიუსის

გამო უნიკალურია და მისი შექმნილი პროდუქტი ასევე მაღალდირეგულაციანია.

შრომის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა იმუნური ჰომეოსტაზი და მისი კორექცია აპიკულმითი მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების დროს ბავშვებში მასალა და მეთოდები: ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 2000-1018 წწ-ში (თსსუ პედიატრიული კლინიკა, ირ.ციციშვილის სახ.პედ.კლინიკა, თსსუ აფილირებული კლინიკა „ბაზი“) ჰოსპიტალიზებული და ამბულატორიული პაციენტები- 1-დან 5 წლამდე ასაკის მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციით(მწვავე რინიტი, მწვავე რინოფარინგიტი, მწვავე კატარული ჰაიმორიტი) დაავადებული 60 ბავშვი. მათგან მსუბუქი მიმდინარეობა აღენიშნებოდა პაციენტთა 67%, საშუალო სიმძიმის 38%. გართულებები აღინიშნებოდა მწვავე ბრონქიტის, პნევმონის და ოტიტის სახით. ავადმყოფთა განაწილება დიაგნოზების მიხედვით მოცემულია ცხრილში №1. საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენდა იმავე ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი 20 ბავშვი. ავადმყოფები დაიყო ორ ჯგუფად: I ჯგუფი 32 პაციენტი, სადაც მკურნალობა ტარდებოდა სიმპტომური საშუალებებით. II ჯგუფი 28 ავადმყოფი, სადაც მრვი-ის ბაზისური მკურნალობის კომპლექსში ჩართული იყო აპიკულმითი შედეგი სქემით: 1-დან 3წლამდე 1ტაბლეტი 2-ჯერ დღეში; 3-დან 5წლამდე 1 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი შეადგენდა 20 დღეს.

მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ ტარდებოდა იმუნური სტატუსის შეფასება: პერიფერიული სისხლის T-ლიმფოციტები და მისი

სუბპოპულაციების პროცენტული რაოდენობა შეისწავლებოდა CD3, CD4, CD8 მონოკლონური ანტისხეულებით, - ლიმფოციტების პროცენტული რაოდენობა - კომპლემენტური როზეტების წარმოქმნის მეთოდით(8). სისხლის შრატში G<sub>A</sub>, M იმუნოლოგიები - მანჩინის რადიალური იმუნოდიფუზიის მეთოდით(9). კლინიკურ ეფექტურობას აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმებით: გამოჯანმრთელება-დაავადების ყველა სიმპტომის გაქრობა, გაუმჯობესება - სიმპტომების მნიშვნელოვანი შემცირება და ეფექტის არ არსებობა - სიმპტომების შენარჩუნება ანდა მათი მომატება. მკურნალობის ეფექტურობა ასევე ფასდებოდა მისი გავლენით დაავადების მიმდინარეობის სიმძიმესა და ხანგრძლივობაზე. ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის სტიუდენტის კოეფიციენტით (ტ>1,96; პ<0,05) ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის X<sup>2</sup> კრიტერიუმით ( ეარსონ). (X<sup>2</sup>>3,84, პ<0,05), მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 11-5 -ის გამოყენებით. (5)

**ბამოკვლევის შედეგები:**

გამოკვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მრვი-ის მკურნალობაში აპიკულმით ჩართვამ მოახდინა იმუნომოდულაციური ზემოქმედება, რაც გამოიხატა

T-ლიმფოციტების(CD3) და T-ჰელპერების(ნ 4) პროცენტული რაოდენობის მომატებითა და T-სუპრესორების (CD8) შემცირებით იმ

**ცხრილი №1.**

**ავადმყოფთა განაწილება დიაგნოზების მიხედვით**

დიაგნოზი	I ჯგუფი(ბაზის. თერაპია) n=32	II ჯგუფი(ბაზის.+აპიკულმითი) n=28	სულ
მწვავე რინიტი	11	10	
მწვავე რინოფარინგიტი	17	15	
მწვავე კატარული ჰაიმორიტი	4	3	

პაციენტებში, რომელთაც CD3 ი CD4 ლიმფოციტების რაოდენობა დაქვეითებული ჰქონდათ. კომპლექსური მკურნალობის გავლენით ლიმფოციტების პროცენტული რაოდენობა არ იცვლებოდა იმ ბავშვებში, რომელთაც ეს მაჩვენებლები ნორმაში ჰქონდათ.

ჰუმორული იმუნიტეტის მხრივ, კომპლექსური მკურნალობის ფონზე, აღინიშნა B-ლიმფოციტების პროცენტული რაოდენობისა და სისხლის შრატში სამივე კლასის იმუნოგლობულინების კონცენტრაციის მომატება. იმუნოლოგიური მაჩვენებლების დინამიკა აპიკულმითი მკურნალობის ფონზე მოცემულია ცხრილში №2

როგორც ცხრილიდან ჩანს, იმუნური მაჩვენებლების დადებითი დინამიკა უფრო მნიშვნელოვნად გამოხატული იყო ავადმყოფთა იმ ჯგუფში, სადაც მკურნალობის კომპლექსში ჩართული იყო აპიკულმითი.

ზოგადად მკურნალობის ეფექტურობა I და II ჯგუფში მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: ავადმყოფთა I ჯგუფში გამოჯანმრთელება აღენიშნებოდა 32 ბავშვიდან 17-ს, მდგომარეობის გაუმჯობესება 5-ს, ეფექტის არ არსებობა(გართულებები) 10 პაციენტს. II ჯგუფში 28 ბავშვიდან 20 გამოჯანმრთელდა, 4-ს აღენიშნა მდგომარეობის გაუმჯობესება და მხოლოდ 4-ს ეფექტის არარსებობა (გართულებები).

ამასთან ერთად მიუხედავად იმისა რომ ზოგადად კლინიკური ეფექტურობა ორივე ჯგუფში იყო მსგავსი, ჯგუფებს შორის განსხვავება იყო მნიშვნელოვანი დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობის, დაავადების შედარებით მსუბუქი მიმდინარეობისა და გართულებების სიხშირის შემცირების მიხედვით. კერძოდ, ავადმყოფთა იმ ჯგუფში სადაც კომპლექსურ მკურნალობაში ჩართული იყო აპიკულმითი მწვავე ბრონქიტით, პნევმონ-





ცხრილი №3.

აპიპულმითი მკურნალობის კლინიკური ეფექტურობა

№	მაჩვენებელი	I ჯგუფი (ბაზის. თერაპია) n=32	II ჯგუფი (ბაზის.+აპიპულმო) n=28
1	მრვი-ს გართულების გარეშე (მოვლენის სისწორე%)	55,5+0,6	85,5+6,5 P<0,05
2	გართულებული მრვი-ს მიმდინარეობის ხანგრძლივობა (დღეები)	7,6+0,7	5,2+0,6 P<0,05
3	მრვი-ს სუბუქი მიმდინარეობა	41+0,4	62+0,3 P<0,05
4	მრვი-ს საშუალო სიმძიმის მიმდინარეობა	49+0,5	38+0,3 P<0,05
5	მრვი-ს გართულებების სისწორე (%)	46,5+2,2	15,6+2,1 P<0,05
6	მკურნალობის საშ. ხანგრძლივობა გართულებული მიმდინარეობის დროს (დღეები)	18,5+1,9	13,2+2,3 P<0,05

ნით და ოტიტი გართულებების სისწორე ამ ჯგუფში 4-ჯერ ნაკლები იყო ბაზისურ თერაპიაზე მეფე ჯგუფთან შედარებით (ცხრილი№3) აპიპულმო ასევე საშუალოდ 3-4 დღით ამცირებდა დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობას, მრვი-ის როგორც გართულებული, ისე გართულებული ფორმების დროს.

მორული იმუნიტეტის დაქვეითებული მაჩვენებლების აღდგენას.

2. მრვი-ის დროს მკურნალობის კომპლექსში აპიპულმოს ჩართვა ხელს უწყობს დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობისა და გართულებების სისწორის შემცირებას.

ლიტერატურა:

1. Бут Г. /Часто болеющие дети - актуальная проблема педиатрии. Киев 2012/
2. .Гордієнко.Ю., /Медичні та етичні аспекти пренатальної діагностики

врожденної патології педіатрії, акушерства та гінекології АМН України, м.Київ#2 | 2012/

3. Ершова, И. Б./Проблемы острых респираторных вирусных заболеваний в педиатрии” Ж. „Здоровье Украины,, 2015г.

4. Караулов А.В. „Иммунотерапия респираторных заболеваний М. 2014 с.19.

5. Реброва О.Ю./ Статистический анализ медицинских данных.-Москва: Медиа Сфера. \_ 2018. – 312с/

6. Чернушенко Е.Ф../ `местный иммунитет при заболеваниях легких” Реф журн. Клиническ. Иммуно. И аллерг. 2009г. Ст.28/

7. Чихрадзе М.В./“Клинико-иммунологическая характеристика больных с хроническим бронхитом в динамике иммунореабилитации.” Автореферат 1999г./

8. Woanco A. PatricR. /Wussenrweig Exp. Med. 1970 132-702-720/

9. Mancini I et.al. / Ymmunochemys-tri 1965 235/

10. Januway Ch/Immunobiology: the immune system in health and disease” 4th ed/ currentBiology ltd 2009. 740p.

11. Watelet J. B./Wound Healing of nasal and paranasal mucosa. Amer. J. hri-nol.2018.vol16 N2 p77-84/

დასკვნები:

1. მრვი-ის დროს მკურნალობის კომპლექსში აპიპულმოს ჩართვა განაპირობებს უჯრედული და ჰუ-

რეზიუმე

აპიპულმოს იმუნოკორექციული ეფექტი მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების დროს ბავშვებში

ბ. ჩახუნაშვილი; ნ. თოპურიძე; ნ. ჯობავა; ნ. ბადრიანი; კ. ჩახუნაშვილი, დ. ტაბიტაძე  
სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი, თსსუ პედიატრიული კლინიკა, ირ.ციციშვილის  
სახ.პედ.კლინიკა, თსსუ აფილირებული კლინიკა”ბაზი”

ბავშვთა ასაკში, ზემო სასუნთქი გზების მწვავე რესპირატორულ დაავადებებს 70-80% შემთხვევაში ვირუსები იწვევენ, რომლებიც ზოგჯერ ასოცირებული არიან მიკროორგანიზმებთან. მწვავე რესპირატორულ ვირუსულ ინფექციები(მრვი) იწვევენ სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის სტრუქტურულ ცვლილებებს, დაცვის ადაპტაციური მექანიზმების დაქვეითებას, ხოლო ბაქტერიული ინფექციის თანდართვა ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას ზრდის სხვადასხვა გართულებების(ოტიტი, სინუსიტი, ტრაქეობრონ-ქიტი, პნევმონია და სხვა) და სომატური დაავადებების(მიოკარდიტი, გლომერულონეფ-რიტი) განვითარების რისკს

მრვი-ის დროს მკურნალობის კომპლექსში აპიპულმოს ჩართვა ხელს უწყობს დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობისა და გართულებების სისწორის შემცირებას

SUMMARY

DYNAMICS OF CHANGES IN THE IMMUNE SYSTEM DURING ACUTE VIRAL RESPIRATORY INFECTIONS IN CHILDREN TREATED WITH APIPULMO

G. CHAKHUNASHVILI; N. TOPURIDZE; N. JOBAVA; N. BADRIASHVILI; K. CHAKHUNASHVILI; D. TABITSADZE  
(Social Pediatrics Protection Fund, TSMU Pediatric Clinic, Ir.Chiscishvili’s Ped. CL., TSMU Affiliated Clinic “Basi”)

The purpose of the research was to study dynamics of the changes in parameters of immune system in children with acute viral respiratory infections treated with apipulmo. We enrolled 60 children aged 1 to 5 years with acute viral respiratory infection. The patients were divided into two groups: First group with 32 patients undergoing symptomatic treatment and Second group with 28 patients getting Apipulmo with other basic treatment. The patients were under the treatment during 20 days. The test for immunological status was conducted before end after the treatment session.

Conclusions: 1. Apipulmo combined with basic treatment significantly improves cellular as well as hummoral Immune status of the patients with acute viral respiratory infections. 2. Adding Apipulmo in basic treatment contributes to reduction of duration and complications of acute viral respiratory infections.



# სხვადასხვა Different

## ჰ ი პ ო ქ ს ი ა

### მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვან სპეციალისტთა პრაქტიკული რეკომენდაციები მაღალ და საშუალო მთიან რაიონებში სპორტსმენთა მომზადებაში

ბ. გობოძე

ასპროფესორი, საქ. დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე

თანამედროვე სპორტული მოღვაწეობა მოითხოვს დიდი წარმატებების მისაღწევად საჭირო ისეთი ახალი ხერხებისა და საშუალებების ძიებას, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება სპორტსმენთა შრომისუნარიანობის მომატება და აღდგენითი პროცესების დაჩქარება.

მთიან რეგიონებში შეჯიბრებებისათვის სპორტსმენთა მომზადების პრობლემამ სპორტული სამყაროს მუშაკთა ყურადღება XIX ოლიმპიური თამაშების შემდგომ მიიპყრო (ქმეხიკო, ზღვის დონიდან 2240 მ). სწორედ ამის შემდგომ გაიზარდა ყურადღება ისეთი ვარჯიშების მიმართ, როგორცაა ბუნებრივი და ხელოვნური ჰიპოქსია. ასეთი ვარჯიშები განიხილება, როგორც წარმატებული მეთოდები მაღალ და საშუალო მთიან რაიონებში შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად, რაც ფუნქციონალური რეზერვების მობილიზაციის და ახალ, უფრო მაღალ ადაპტაციურდონზე გადასვლის საშუალებას იძლევა.

1960 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, აფრიკელი სპორტსმენების გამოსვლა, ამის ნათელი მაგალითი გახდა: თუნდაც, ბიკილას გამოსვლა, რომელმაც წარმატებით იასპარეზა და მოუგო იმ დროისთვის მასზე უფრო გამოცდილ და ტიტულოვან სპორტსმენებს (ბიკილა მაღალ-მთიან რაიონში ცხოვრობდა). თავიდან ეს წარმატება განიხილებოდა, როგორც უბრალო შემთხვევითობა, მაგრამ იმავე აბიკილამ 1964 წელს მართონული დისტანციაც მოიგო.

მოგეხსენებათ, რომ მთიანი რეგიონები იყოფა სხვადასხვა დონეებად: „მაღალმთიანი“, „საშუალომთიანი“, „დაბალმთიანი“ და სხვა. თუმცა, ზოგი ავტორი თვლის, რომ მაღალმთიანი ზღვის დონიდან 1000-12000 მეტრია, სხვები მაღალმთიან რაიონად 2000-2500 მეტრს მიიხევენ.

არა ერთხელ ჩატარებულმა კვლევებმა, გამოავლინეს სპორტულ სფეროში მოღვაწე ადამიანთა ადაპტაციის პრობლემები. მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპორტსმენთა ფიზიოლოგიურ რეაქციათა ანალიზებზე დაყრდნობით, სპეციალისტებმა შემოგვთავაზეს შემდგომი სახის საკვალიფიკაციო ვარჯიშები, ზღვის დონეების მიხედვით:

დაბალმთიანი 800-1000მ. – ვარჯიშები მოსვენებულ და საშუალო ინტენსიობის დატვირთვებზე; ჟანგბადის დავალიანება ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე არ შეინიშნება;

საშუალომთიანი 1000-2500მ.-მდე – აქ აღინიშნება ცვლილებები საშუალო ინტენსიობის ვარჯიშებზეც

კი; მოსვენებულ მდგომარეობაში ცვლილებები არ შეიმჩნევა;

მაღალმთიანი 2500 მ. და მეტი – ამ დროს მოსვენებულ მდგომარეობაშიც კი შეიმჩნევა ფიზიოლოგიური ცვლილებები, რაც იმის მტკიცებულებაა, რომ ჟანგბადის დავალიანება დიდია.

ძირითადი ადაპტაციური რეაქციები, მთიან რაიონებში მომზადებისას შემდგენურად გამოიხატება: იზრდება გულიცემა, იმატებს კემოგლობინის შემადგენლობა სისხლში, 2,3-ჯერ იზრდება ერთროციტების რაოდენობა, იმატებს მიოგლობინის რაოდენობა (რომელიც ამსუბუქებს ჟანგბადის მოხმარებას), იზრდება მიოკონდრიუმის სიდიდე და რაოდენობა, იზრდება დამუხანგავი ფერმენტების რაოდენობა (კოლბი 2003წ.)

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სპორტული ცენტრები საშუალო და მაღალ მთიან რაიონებში: ადის აბება – ეთიოპია – 2200-2400მ.

ლას-პასი – ბოლივია – 3660მ.

ტოლუკი – მექსიკა – 1300-3200მ.

მეხიკო – მექსიკა – 2250მ.

პროვი – აშშ. – 1400მ.

კოლორადო – სპრინგსი – აშშ – 2194მ

ფლასტაფე აშშ. – 1800-2400მ.

ბოგოტა – კოლუმბია – 2500მ.

კიტო – ეკვადორი – 2220მ.

ნარომორო – კენია – 1850-2150 მ.

ბელმეკენი – ბულგარეთი – 1900მ.

დაბალმთიანი რაიონი: 800-1000მ. ზღ. დონიდან – ამ სიმაღლეზე საშუალო დატვირთვისას რაიმე ცვლილება არ არის შესამჩნევი.

საშუალო მთიანი: 1000-2500 ზღ. დონიდან – ამ სიმაღლეზე პატარა დატვირთვის დროსაც კი ხდება ფუნქციონალური ცვლილება და ჟანგბადის დავალიანება.

მაღალი მთიანი: 2500 და ზევით – ამ დროს მოსვენებით მდგომარეობაშიც კი გამოიხატება ფუნქციონალური ცვლილება და ჟანგბადის დავალიანება.

ატმოსფერული წნევა – ჰაერის შემადგენლობა: გაზები, რომლებიც არსებობენ ჰაერში (აზოტი, არგონი, დიოქსიდი, ნაშირმჟავა), აგრეთვე სიმაღლის ცვლასთან ერთად ატმოსფეროს სიმკვრივე მცირდება, მცირდება წყლის ორთქლის (ნესტის) კონცენტრაცია, რაც ხელს უწყობს მზის რადიაციის მომატებას მინიმუმ 10%-ით. ყოველ 1000 მეტრზე მოდის უფრო და უფრო



მეტი ცვლილება ულტრა-ფიალურ რადიაციისგან, რომლის ინტენსიობაც იზრდება 3-4%-ით ყოველ 100 მეტრზე.

სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება და იცვლება ელექტროობის შემცველობაც ატმოსფეროში და მცირდება უარყოფითი იონიზაციაც.

რაც შეეხება ორთქლს, ის მაღალ მთიან რაიონში მცირდება და 2000 მეტრის სიმაღლეზე ორჯერ მცირეა, ვიდრე ზღვის დონეზე.

ადამიანის სიმაღლის ადაპტაცია – ჰიპოქსია – ადამიანის ადაპტაცია სიმაღლის ჰიპოქსია წარმოადგენს რთულ ინტეგრაციულ პროცესს-რეაქციას.

უფრო მნიშვნელოვანი და შესამჩნევია გულ-სისხლძარღვთა ორგანოებზე. მთიან რაიონებში ძირითადი ადაპტაციური რეაქციები შემდეგია: იზრდება ფილტვების ვენტილაცია, გულისცემა, იზრდება ჰემოგლობინის, ერითროციტების შემადგენლობა სისხლში, მცირდება ჟანგბადის მოხმარება.

ატმოსფერული ჰაერის სიმკვრივე, იწვევს არტერიული წნევის დაბლა დაწევას. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ყოველი 300 მეტრის მომატებისას, გარემოს ტემპერატურა იცვლება 2მ-ით, ხოლო ულტრაიისფერი სხივები 1000 მეტრზე 35%-ით (ვილიამსი 1983წ). რაც შეეხებათ იმ ადამიანებს, რომლებიც მთიან რეგიონებში არადაპტირებული არიან, მათთვის პულსაცია დასვენების და დატვირთვის დროსაც ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მოხვდრისას მატულობს.

კომპლექსური რეაქციები თანაბარი დატვირთვის დროს უფრო გამოჩნდება, ის შეიძლება შემოწმდეს ლაქტატის კონცენტრაციით კუნთებში. ცვლილებები 1500 მეტრზე იწვევს ლაქტატის კონცენტრაციას 30 % -ით, ხოლო 3000-3500 მეტრზე ის შეადგენს 170-240%.

პირველი სტადია მწვავე ადაპტაცია – ერთ-ერთი პირველი დამახასიათებელი გემოლინამიკური ცვლილებები სიმაღლისა, არის გულის ცემის აჩქარება და არტერიული წნევის ცვალებადობა. გულის ცემა 2000-2500 მეტრზე პირველი დღეებიდანვე იმატებს 4-6 დარტყმით, 3000-4000 მეტრზე 8-10 დარტყმით, ხოლო რამდენიმე დღის მერე ყველაფერი თავის ადგილზე დგება. მიუხედავად იმისა, რომ ჰემოგლობინი მომატებადია, მთაში ორგანიზმის აერობული სიმძლავრე მაინც იკლებს.

მთაში მოხვედრისას ერთ-ერთი ყველაზე მწვავე რეაქცია ადამიანის ორგანიზმისთვის 1. არის ერითროციტებისა და ჰემოგლობინის მომატება; 2. აქტიურდება ადრენალური სისტემები – ეს არის სპეციფიკური კომპონენტი ადაპტაციის დროს, რომელიც სისხლის მოძრაობის აპარატის მოქმედებასა და სუნთქვაში დიდ როლს ასრულებს; და 3. მწვავე ჰიპოქსია, ზღუდავს რესინთეზს, რომელიც იწვევს ისეთი ფუნქციების დეპრესიას, რაც გამოიხატება მოძრაობით და ინტელექტუალურ თვისებებში, ასევე იწვევს სხვადასხვა ორგანოების შესუსტებას.

პირველ სტადიაზე – სისხლში ლაქტაცია იზრდება, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ ლაქტაციისა და გლიკოგენის ინტენსიობა და ლაქტაციის წარმოშობა დგება თავის ადგილზე, სამაგიეროდ იზრდება ენერგომომარაგების მეტაბოლური პროცესები.

მეორე სტადიაზე – ვითარდება ადაპტაცია, იზრდება ჟანგბადის მოცულობა სისხლში, იმატებს ფილტვების ვენტილაციური მოცულობა, ძლიერდება სისხლის მიმოქცევა.

მესამე სტადიაზე – იზრდება სუნთქვა და ჟანგბადის მოცულობა ფილტვებში; იზრდება გულის მასის

სიდიდე, კორონალური გზა, მოლიანად გულის სიძლიერე და ენერგომომარაგება.

სპორტსმენები, რომლებიც ადაპტირებულები არიან ჰიპოქსიულ პირობებს, კარგად იტანენ ჰიპოქსიის ხელოვნურ სენსებს და შესწევთ უნარი შეინარჩუნონ რეაქციის დონე 30-40 დღით, დაბლობში დაბრუნების შემდეგაც. დღეში ერთჯერადად მთაში ყოფნისას, ან ვარჯიშის შემდეგ, ერითროციტები თავის დონეს 9-12 დღეში უბრუნდება, ხოლო თუ ჰიპოქსიური ვარჯიშები ტარდება ხშირად და რეგულარულად, მისი ეფექტი შეინიშნება 40 დღის შემდეგაც.

ჰიპოქსიური ვარჯიშები იყოფა ორ ნაწილად: ბუნებრივი-მთაში, ხელოვნური-ბაროკამერაში.

საყურადღებოა, რომ ჰიპოქსიური ვარჯიშები ეფექტურ საშუალებას წარმოადგენენ აკლიმატიზაციის პროცესების დასაჩქარებლად.

როდესაც საშეჯიბრო სერიებია და უნდა შევინარჩუნოთ ვარჯიშებიდან მიღებული შედეგები, აუცილებელია მიკროციკლებში ჩაერთოთ ხელოვნური ჰიპოქსიური ანაერობული, ან აერობული მეთოდებით ვარჯიშები.

ბაროკამერების შემდგომ, ჰიპოქსიური ნარეგების კოქტილები გამოიყენება სხვადასხვა სახის ნიღბებშიც, მას ეფექტურად იყენებენ აგრეთვე სასუნთქად ე.წ. (ტრუბკები), მაგრამ ვერავითარი ხელოვნური მეთოდი ვერ შეცვლის ბუნებრივად მთაში შესრულებულ მეთოდებს.

მთაში ვარჯიშებსა და სტარტებს შორის, შეიძლება ჩაერთოთ 3-6 დღიანი მომატებული ინტენსიობის ხელოვნური ჰიპოქსიის ვარჯიშების მოკლე მიკროციკლებიც, რომლის გამოყენების მეთოდიც შემდეგნაირია: 5 წუთი გაზის ნაერთის შესუნთქვა, 10-12% შემადგენლობის ჟანგბადის შესუნთქვა და 5 წუთი ჩვეულებრივი ჰაერის შესუნთქვა. ეს მთოლი გრძელდება 30-60 წუთის განმავლობაში (კოლჩინსკი 1993).

მსოფლიოს ბევრი წამყვანი სპეციალისტების აზრმა და მათმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მთის სიმაღლეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მრავალი სპორტის სახეობათა წარმომადგენლები სავარჯიშოდ 1700-2200 მეტრს ირჩევენ; აგრეთვე ყურადღების ქვეშაა სიმაღლეები 2500-3000მ. ხშირად ეფექტურად სიმაღლეებად 1000-1500 მეტრი ითვლება (ფრიდმანი 2008წ.)

არსებობს მოსაზრებაც, რომ 1000-1500 მეტრი სიმაღლე ეფექტურია როგორც სპორტსმენების მომზადებისთვის, ისე ადღენისთვის, მათ უფრო მაღალ ეტაპზე გადასაყვანად და მოსამზადებლად.

როგორც აღვნიშნეთ, 2500-3000 მეტრზე მომზადება ხელს უწყობს ენერგომომარაგების სისტემების განვითარებას, მაგრამ მან შეიძლება ხელი შეგვიშალოს ტექნიკის განვითარებასა და ფსიქოლოგიურ მომზადებაში. ბოლო წლებში უფრო დიდი ყურადღება ეთმობა მომზადებულობას ზღვის დონიდან 1000-1250 მეტრზე, ხოლო ცხოვრებას 2000-3000 მეტრზე.

ცხოვრება ხელოვნური ჰიპოქსიის პირობებში და ვარჯიშები ზღვის დონეზე – ბოლო წლებში განმავლობაში სპეციალურ ლიტერატურებში პროპაგანდას უწევენ ჰიპოქსიული ვარჯიშების პირობებს 2000-3000 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო ვარჯიშობებს ჩვეულებრივ პირობებში. საუბარია იმაზე, რომ შენობაში, სადაც ისინი იმყოფებიან, ატმოსფერული წნევა ისეთივეა, როგორც იმავე სიმაღლეზე მთის პირობებში.

მიიჩნევა, რომ ამ საკითხში პირველები ამერიკელები იყვნენ, რომლებმაც 1990 წელს შექმნეს ხელოვნური პირობები და მას შემდეგ იყენებდნენ მას. სინამდვილეში კი პირველები გერმანიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სპეციალისტები იყვნენ, რომლებიც 1990 წლიდან



აწყობდნენ 500მ2-ის ზომის ოთახს და მასში წნევას სწვე-  
დნენ იმ დონემდე, როგორც 4000 მეტრ სიმაღლეზეა.

ჰიპოქსიული ვარჯიშების ეფექტურობის სქემა – ჰი-  
პოქსიის ვადა გრძელდება 12-15-დან 28 დღემდე; უანგბა-  
დის ჩასუნთქვის მომენტში ატმოსფერული წნევა უნდა  
ედრებოდეს 2500-3000 მეტრის დონის წნევას. ჰიპოქსი-  
ულ პირობებში ყოფნის ყოველდღიური ლიმიტი 14-18 სა-  
ათია. ოპტიმალური ვარჯიშები კი, რომლებიც ჩვეულებ-  
რივ პირობებში ტარდება – 1-2 ვარჯიში დღეში, 2,4 სა-  
ათის განმავლობაში. ეს მეთოდი და მისი გადამტეხუ-  
ლი ხანგრძლივობა ზიანს აყენებს სპორტსმენის ფსიქი-  
კას, რასაც გერმანელი სპეციალისტებიც ეთანხმებიან.

სწრაფი აკლიმატიზაცია მთის პირობებში – სპორ-  
ტსმენთა გადასვლას მთაში მკვეთრი რაქციები აქვს,  
ეს მოქმედებს მათ შრომისუნარიანობაზე. აკლიმატი-  
ზაციის პერიოდი მთაში დიდი დიაპაზონით მერყეობს –  
3-5 დღემდე, 10-12 საათით; აქტიური დატვირთვა 10-12  
დღე, 35-45 საათით.

ეფექტური აკლიმატიზაციისათვის დიდი მნიშვნე-  
ლობა აქვს იმას, თუ როგორ მდგომარეობაშია თავად  
სპორტსმენი, ის აუცილებლად უნდა იყოს წინასწარ  
დასვენებული. თუ მთაში სპორტსმენის მომზადება  
იწყება არა დასვენების შემდეგ, არამედ აღდგენითი  
პროცესების დროს, ჰიპოქსიული ადაპტაციის პროცე-  
სი შენელებული ტემპით წავა. ამიტომ მთაში გადას-  
ვლის წინ რეკომენდირებულია მოვაწყოთ 3-5 დღი-  
ანი აღდგენითი პროცესები.

რაც შეეხება მთაში მაღალი ინტენსიობის ვარჯი-  
შების შესრულებას, რეკომენდირებულია შემცირებუ-  
ლი 20-40%-იანი დოზირებით, ხოლო აღდგენითი ინ-  
ტენსიობის ვარჯიშები და პაუზები ვარჯიშების შო-  
რის უნდა გაგზარდოს 1,3-1,5ჯერ.

მთაში მომზადების ციკლის ხანგრძლივობის ოპ-  
ტიმალური სტრატეგია:

მთაში რეკომენდირებული ვარჯიშის ხანგრძლივო-  
ბა 3-4 კვირაა; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სპე-  
ციალისტები ამტკიცებენ, რომ სწორად ეს ხანგრძლი-  
ვობა არის ოპტიმალური აერობული-ანაერობული მომ-  
ზადებულობისთვის.

მაგრამ პრაქტიკაში, მოსამზადებლად 5-6 კვირაც გა-  
მოიყენება:

1. პირველი მიკროციკლი 3-4 დღიანი, 60-70% აერო-  
ბული ხასიათის დატვირთვა;
2. მეორე მიკროციკლი 6-7 დღე, 80-90%-იანი მძიმე  
დატვირთვა, აერობული და შერეული აერობული-ანა-  
ერობული ხასიათის;
3. მესამე მიკროციკლი 7-8 დღე, სამუშაოს სიდიდე  
90-100%, აერობული ხასიათის II-III ზონა, შერეული IV-  
V ზონა ანაერობული, გლუკოგენური VI ზონა.

მთაში ვარჯიშის შემდეგ, შეჯიბრებისთვის უშუა-  
ლო მომზადება:

ძირითადი შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად საჭი-  
როა 3-4 კვირიანი მეზოციკლის ჩართვა მთაში, დატ-  
ვირთვა მაღალია და ვიწყებთ აკლიმატიზაციის გაფ-  
ლის შემდეგ 2-3 დღეში, დატვირთვა იზრდება 75-80%-  
დან-100%-მდე. ძირითადი პრიორიტეტი ეთმობა ძალის,  
მოქნილობის და გამძლეობის განვითარებას.

პრაქტიკაში გავრცელებულია შეხედულებები, რომ  
მთაში ყოფნის ბოლო დღის, საწვრთნო შეკრებასა და  
ძირითად სტარტს შორის, მიღებული დღეების რა-  
ოდენობაა 20-28 (ვაიცკხოვსკი 2000წ.)

1. სტარტერებისთვის 12-14-16-18 დღე;
2. საშუალო დისტანციებზე გამომსვლელთათვის  
20-28 დღე.

ხოლო იმ სპორტსმენებს, რომლებიც კარგად არი-  
ან ადაპტირებულნი არიან არაერთხელ ნამყოფები, შე-  
უძლიათ ზემოთ აღნიშნული დღეები შეამცირონ 2-3  
დღით.

ჰიპოქსიულ პირობებში სპორტსმენთა მომზადების  
საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული  
რესპუბლიკის სპორტსმენთა (სპეციალისტთა) გამოც-  
დილება:

მათ მიერ შემოთავაზებული იქნა ამერიკელი და  
ავსტრალიელი სპეციალისტებისგან განსხვავებუ-  
ლი, ახალი გზები: არა 2-4 კვირიანი დატვირთვების  
შეჩერება, არამედ ენერგომომზარაგების დამოუკიდებ-  
ელი სისტემების შემუშავება, რომელთა სტრუქტურა-  
შიც გამოიყოფა ორი ნაწილი: 1. ერთი ან ორი მეზო-  
ციკლი, რომელთა ხანგრძლივობა 3-6 კვირაა; ამ მი-  
ზეხით აღიშნული მონაკვეთის ამოცანაა სპორტსმე-  
ნების ორგანიზმის ადაპტაციური ნახტომის სტიმუ-  
ლირება; 2. მეორე ნაწილის ამოცანაა 3-4 კვირიანი  
პერიოდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური აღდგენის-  
თვის (სპეციალურ მოსამზადებელი), რომელიც მკაც-  
რად სპეციფიური ხასიათისაა და ჰგავს საკონტრო-  
ლო მეზოციკლს.

მთაში მომზადების შემდეგ ბრუნდებიან დაბლობ-  
ში, რის შემდეგაც იგეგმება წინა საშეჯიბრო მეზო-  
ციკლი, რომლის ძირითადი დავალებაა მთაში ძალი-  
ან დიდი დატვირთვის შემდეგ ორგანიზმის აღდგენა;  
სამუშაოთა სიდიდე მკვეთრად მცირდება 40-60%-მდე.

მომზადების კიდევ ერთი ვარიანტი:

მეზოციკლის თანმიმდევრობა პირველ დღეებში იზ-  
რდება, მაგალითად პირველ სამ დღეში ყოველდღიური  
დატვირთვა არ აღემატებოდა 4 საათს, ხოლო გაცურ-  
ვის სიდიდე 8-10 კმ-ს; მომდევნო დღეებში ხანგრძლი-  
ვობა 5-6 საათია, გასაცური კი 14-18 კმ. ეს დატვირ-  
თვა გრძელდება 7-8 დღის განმავლობაში, შემდეგ კი  
მცირდება 3-4 საათით, ხოლო გასაცური მანძილი მხო-  
ლოდ 6-10 კმ-მდე. ამით მთავრდებოდა 1 საბაზო მე-  
ზოციკლი.

მაგალითად: მოცურავეებისთვის მთიან რაიონში  
მოხვედრის პირველ დღეებშივე, საჭიროა ჩაუტაროთ  
ნაკლები სიმძლავრის დატვირთვები, რათა სპორტსმე-  
ნები ჰიპოქსიის პირობებში ადვილად ადაპტირდნენ.

ადაპტირების პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდე-  
ბულია იმაზე, თუ რამდენჯერ არის სპორტსმენი ნამ-  
ყოფი მთაში. იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი რეგუ-  
ლარლად დადის და წლის განმავლობაში რამდენჯერ-  
მე არის მთაში ნამყოფი, მისთვის ადაპტაციის პერი-  
ოდი 2-3 დღეა; ხოლო იმისთვის, ვინც პირველად სტუმ-  
რობს მთას, ადაპტაციის პერიოდი 4-6 დღეა. ადაპტა-  
ციის პირველი დღეების დატვირთვამ უნდა მიიღოს  
საერთო და სპეციალური მოსამზადებელი ხასიათი.

მთაში ყოფნის მომდევნო 5-6 დღის განმავლობაში,  
დატვირთვა იზრდება და აღწევს მაქსიმალური მაჩ-  
ვენებლების 80-90 %-ს – სპრინტერებისთვის დატვირ-  
თვა შეიძლება აღემატებოდეს 7000 მეტრს, საშუალო  
დისტანციებისთვის 8000 მეტრს, სტარტერებისთვის  
9000 მეტრს.

პროგრამის 11-17 დღე ითვალისწინებს საკონტრო-  
ლო ხასიათის შეჯიბრებებში მონაწილეობას, შემდეგ  
კი აქტიურ დასვენებას. შესაბამისად ამისა, მთიან რა-  
იონში მოსამზადებლად გამოყოფენ სამ მიკროციკლს:  
პირველის ხანგრძლივობაა – 12 დღე, მეორეს ხანგრ-  
ძლივობაა – 13-18 დღე, მესამეს ხანგრძლივობაა – 19-  
21, ხოლო დასვენება ორი დღით. სხვადასხვა ციკლუ-  
რი სპორტის სახეობებში მრავალწლიანმა გამოცდი-



ლებამ გეინვენა, რომ სტარტებამდე მთიანი რაიონებიდან დაბლობში ჩამოსასვლელად, საუკეთესოდ მომზადებულობისათვის ყველაზე ოპტიმალური დღეების რაოდენობა 19-23 დღეა.

საშუალო მთიან რაიონში 21 დღიანი პერიოდის მომზადების შემდეგ, 3 კვირიანი წინა საშეჯიბრო მეზოციკლის გასაველელად, სპორტსმენები გადადიან დაბლობში, რომელიმე ერთ კონკრეტულ სპორტულ ბაზაზე.

### ღსკპნა

ჰიპოქსია არის ერთ-ერთი საშუალება სპორტსმენებში ფუნქციონალური საშუალებების ასამაღლებ-

ლად. ის ხელს უწყობს ადაპტაციური პროცესების ოპტიმიზაციას, სწრაფად აღდგენას, შრომის უნარიანობის ამადლებას, იზრდება გარე სუნთქვა და ჟანგბადის მოცულობა ფილტვებში, იზრდება გულის მასის სიდიდე, კორდინალური გზა, მთლიანად გულის სიძლიერე და ენერგომომარაგება.

### ბამოყენებული ლიტერატურა:

ლ.პ. მატევეი, ვ. ნაღატონოვი – ოლიმპიულ სპორტსმენთა მომზადების სისტემა უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელთა სასწავლო სახელმძღვანელო – 2004 წ. მოსკოვი.

## რეზიუმე

### ჰიპოქსია

## მსოფლიოს სხვადასხვა ჰემიზონის წარმომადგენელთა პრაქტიკული რეკომენდაციები მაღალ და საშუალო მთიან რაიონებში სპორტსმენთა მომზადებაში

*ბ. გოგოდზე, ასპროფესორი, საქ. დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე*

თანამედროვე სპორტული მოღვაწეობა მოითხოვს დიდი წარმატებების მისაღწევად საჭირო ისეთი ახალი ხერხებისა და საშუალებების ძიებას, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება სპორტსმენთა შრომისუნარიანობის მომატება და აღდგენითი პროცესების დაჩქარება.

ჰიპოქსია არის ერთ-ერთი საშუალება სპორტსმენებში ფუნქციონალური საშუალებების ასამაღლებლად. ის ხელს უწყობს ადაპტაციური პროცესების ოპტიმიზაციას, სწრაფად აღდგენას, შრომის უნარიანობის ამადლებას, იზრდება გარე სუნთქვა და ჟანგბადის მოცულობა ფილტვებში, იზრდება გულის მასის სიდიდე, კორდინალური გზა, მთლიანად გულის სიძლიერე და ენერგომომარაგება.

### SUMMARY

### HYPOXIA

## RECOMMENDATIONS OF TRAINING IN HIGH ALTITUDE REGIONS WARRANTED BY LEADING SPECIALISTS

*G. GOGODZE, Associate Professor*

Modern sports requires to find new ways of increasing stamina and replenishment process to achieve success.

Hypoxia is one the methods of increasing functional properties. It promotes adaptive processes, increases replenishment rate, increases stamina, lung volume and volume of consumed oxygen, heart also increases in size as well as it's functional efficacy.

# ზოგიერთი რეკომენდაციები სწორ ბუნებრივ კვებასა და პირად ჰიპოქსიაში

*ბ. გოგოდზე, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტი*

ჰიპოქსია უმრავლესობას ესმის როგორც პირის დაბანა, კბილების ჯაგრისით ხეხვა, სუფთა ტანსაცმლის ხმარება, ოთახის დასუფთავება, გამზერება და სხვა ამისთანა, მაგრამ საწუხაროდ ეს ელემენტარული ჰიპოქსია და მეტი არაფერი. ჩვენთან მოსულ დამწყებს, ჩვენ ვასწავლით ჰიპოქსიას, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: პირად ჰიპოქსიას ყოფენ ორ ნაწილად: გარეგან და შინაგან ჰიპოქსიად – (ასევე ზოგად და პირად) გარეგან ჰიპოქსიაში შედის სხეულის გარეგანი სისუფთავე, რაც მიიღწევა ყოველ დღით პირის დაბანვით, კბილების ჯაგრისით გამოხეხვით და დამცველი საშუალებებით, შემდეგ ტანის მასაჟი სველი (ცივი) ხელებით, შემდეგ ტანის გაშრობა და მასაჟი მასაჟორით ან კიდევ მშრალი ხელით, ძილის რეჟიმი და სხვა.

შინაგან ჰიპოქსიას კი მიეკუთვნება სწორი ბუნებრივი კვება. კვება ჰიპოქსიის ძირითადი ნაწილია. კვების დანიშნულებაა ორგანიზმის მომარაგება მისთვის სა-

ჭირო ნივთიერებებით, ეს იქნება ძირითადში: ვიტამინები, ცხიმები, მინერალური მარილები, ცილები, წყალი. სწორი ბუნებრივი კვება აღწევს ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების ცოცხალ და ორგანიზმისთვის საჭირო მდგომარეობაში მიწოდებას. მაგალითად, თუ ჩვენ მივიღებთ უმ ბოსტნეულს, მაშინ ყველაფერი წესრიგშია, მივიღებთ ცოცხალ და ჯანმრთელ საკვებს, რასაც ორგანიზმის ჯანმრთელი უჯრედები ადვილად ითვისებენ, ხოლო მოხარშული ბოსტნეულის მიღებისას ორგანიზმის ჯანმრთელი უჯრედები ვერ იღებენ საჭირო საზრდოს, იმდენად რამდენადაც მოხარშული ბოსტნეული და ხილი აღარ შეიცავს თითქმის ნახევარზე მეტ სასარგებლო ნივთიერებებს. ცნობილია, რომ ენზიმების (ფერმენტების) უმრავლესობა 47 გრადუს ტემპერატურაზე წყვეტენ მოქმედებას, ხოლო 54 გრადუსზე კი იშლება, ხოლო ბოსტნეულს ვხარშავთ 100 გრადუს ტემპერატურაზე. ამიტომაც, რომ მოხარ-



შული ბოსტნეულით იკვებებიან ორგანიზმის პარაზიტი უჯრედები, ხოლო ჯანმრთელები კი შიმშილობენ. საბოლოო ჯამში ეს პარაზიტი უჯრედები ძლიერდებიან და ავიწროვებენ ჯანმრთელებს, რაც ორგანიზმში იწვევს დისკომფორტს, ხოლო ჩვენ ამას ავადმყოფობას ვუწოდებთ. ახლა უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სისტემატური მოხარშული საჭმლით კვება იწვევს არა მარტო ფიზიკურ ტრამპებს, არამედ ამწიფებს ორგანიზმს ფსიქიკური ტრამპებისთვისაც და ხშირად არასწორი კვების ბრალია ფსიქიკური ტრამპების გამოქვადვება. არასწორი კვება, წარმოშობს ფიზიკურ დაავადებებს და ასე მივიღივართ შემდეგ ნერვულ-ფსიქიკურ დარღვევებამდე: 1. გონებრივი მუშაობის პროდუქტიულობის დაქვეითებამდე; 2. გაღიზიანებამდე და მოთენთილობამდე; 3. უძილობამდე ან პირიქით, პათოლოგიურ ძილამდე.

ასე და ამგვარად, ნერვული მოშლილობანი, არც ისე იშვიათად, წარმოადგენენ ერთ-ერთ პირველ ნიშანს არასწორი, არაბუნებრივი კვებისას. ჰიპოკრატე, როგორც წესი იწყებდა მკურნალობას შემდეგნაირად: ჯერ აშიმშილებდა პაციენტს, შემდეგ ბალახების ნაყენით და ოყნებით ასუფთავებდა პაციენტის კუჭ-ნაწლავს. ამის შემდეგ იწყებოდა თვითმკურნალობა, რომელიც ბაზირებული იყო უხეშად დაფქვილი ხორბლის და უმი ხილბოსტნეულის ხმარებაზე. რაც შეეხება ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს, არ კრძალავდა, მაგრამ მიღება წარმოებდა ძალზედ მცირე რაოდენობით, სამკურნალო კვებასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცეოდა ავადმყოფს, მის "მოძრავად" ყოფნას. ზოგიერთი ავადმყოფისთვის მოძრაობა წინა პლანზე იყო წამოწეული და მას სათანადო კვებაც ჭარბად ენიჭებოდა, ზოგს კი ნაკლები მოძრაობითი ვარჯიშები ენიჭებოდა, კვებაც შესაფერისად ნაკლები იყო. ჰიპოკრატეს მკურნალობის სისტემა დღესაც არ ჰკარგავს მნიშვნელობას.

ა) უხეშად დაფქვილი ჭვავის გამოყენება.

ბ) შეზღუდული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მიღება.

გ) კვებისა და მოძრაობის შეხამება ერთმანეთთან.

თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დიეტის დროს არავითარი ვიტამინის ნაკლებობა არ აღინიშნება, ორგანიზმში არსებობს მაგალითად წყალში ძნელად ხსნადი ვიტამინები, რომლის უკმარისობაც მოკლე დროის განმავლობაშიც კი ხელს უწყობს ნერვულ მოშლილობებს. ნაწილობრივ ეს ხდება იმიტომ, რომ ვენი ორგანიზმში ხანგრძლივი დროის განმავლობაში უძღურია მოაგროვოს მარაგის სახით წყალში ხსნადი ვიტამინები. ნერვული სისტემის მოშლილობანი ხშირად გვხვდება მეზღვაურებში, რომელნიც ხანგრძლივი დროით იმყოფებიან ზღვაში. 2 კვირის განმავლობაში, მათ ეწყებათ პირველი გამოვლინებები ნერვულ მოშლილობაში. შრომის უნარიანობის დაქვეითება, ნევროზები, უძილობა, დეპრესია, ზოგ შემთხვევაში ჰალუცინაციებიც და ა.შ. ზოგჯერ ეს მოვლენები სიკვდილითაც კი მთავრდება. ანალოგიური შემთხვევა გვაქვს ვიტამინი B1-ის ნაკლებობისას, რომელიც იწვევს ავადმყოფობას "ბერიბერი"-ს (ბორკილები) სახელწოდებით.

ბუნებრივია, რომ ყველა ნერვული და ფსიქიკური დაავადებანი მხოლოდ არასწორი კვების ბრალი არ არის. მაგრამ იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ მიდრეკილება ნერვული დაავადებებისკენ, არასწორი კვება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ხელშემწყობ ფაქტორებს. მრავალი მკვლევარის აზრით, დაავადება "ბერი-ბერი" მართალია არა მკვეთრად გამოქვადვებულ ფორმებში, მაგრამ მაინც გვხვდება ცივილიზებულ ქვეყნებში. ამის მიზეზი კი ყოფილა პირველ

რივში – გადამუშავებული საკვები პროდუქტების გამოყენება და განსაკუთრებით მარცვლეულის კანისაგან განთავისუფლების გამო.

აუბერტის გამოანგარიშებით თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში ყოველდღიური კვება ხასიათდება ჩ და ჯგუფის ვიტამინების უკმარისობის რისკით. თავისი გამოანგარიშებიანი აუბერტმა აწარმოა საფრანგეთის მონაცემების მიხედვით. სხვა ავტორები, სხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითზე იგივე ანალოგიურ შედეგს იღებენ.

დადგენილია, რომ ავადმყოფობას იწვევს ძირითადად ორი პროდუქტის მასიური ხმარება, კანგაცლილი მარცვლეული და შაქარი. პური, რომელიც გამოცხობილია უხეში ფქვილით, მასში მინერალური მარილების და ვიტამინების მინერალური დანაკარგია. ხოლო თეთრ პური კი სულ სხვა სურათი გვეხატება. აქ იკარგება 70% ვიტამინი B1, 67% – B5 და 87% B12, 50 % მინერალი მარილები და ასეთი მიკროელემენტები, როგორიცაა მაგნიუმი და მანგანუმი. მაგნიუმის ნაკლებობა იწვევს ასევე ნერვული სისტემის დარღვევებს, გულის არითმიას, გამოფიტვას და გუნებაგანწყობის დაქვეითებას.

რაინირებული მარცვლეული და თეთრი შაქარი ხშირი ხმარების პროდუქტებია და გამოირჩევიან მაღალი კალორიულობით, მაგრამ არ შეიცავენ ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, ფერმენტებს, ამიტომ ჩვენ ვცდილობთ მათ არ ხმარებას საკვებ რაციონში – არასწორი კვება იწვევს ქრონიკულ ვიტამინოვან ნაკლებობას, შიმშილს. ამ დროს არასწორია ვიტამინების აბების სახით გამოყენება, ვინაიდან ზუსტად არავინ იცის თუ რომელი ვიტამინი და რა რაოდენობით გვაკლია. ამიტომ უფრო სწორ და ნორმალურია კვების გამოსწორება.

ნერვული სისტემის „კარგი საკვები“ – ლუდის საფუარი, იგი შეიცავს თითქმის ყველა ჯგუფის ვიტამინს. 20 გ. ლუდის საფუარი და 20 გ. წყალმცენარეული შეიცავენ 110 კალორიას. ასეთივე რაოდენობით კალორიას შეიცავს შაქრის 7 პატარა ნატეხი, მაგრამ რა მნიშველოვანი განსხვავებაა მათ შორის. თეთრი შაქარი შეიცავს "შიშველ" – კალორიებს, ხოლო საფუარი და წყალმცენარეები დამატებით შეიცავენ ისეთ სასარგებლო ნივთიერებებს, როგორიცაა ვიტამინები, მინერალური მარილები და სხვა. ე.ი. დღიურ ნორმას თითქმის ყველა აუცილებელი ნივთიერებისა. როგორც ვხედავთ, სწორ კვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონია ჯანმრთეობისთვის. ე.ი. საკვებად ცოცხალი, ორგანული ნივთიერებებით მდიდარი პროდუქტების გამოყენებას, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა, თუ არ გვეცოდინება საკვები პროდუქტების შეხამება – შეთავსება ერთმანეთთან.

ამერიკელმა ექიმმა ჰოვარდ ჰეიმ შეიმუშავა დადლის საწინააღმდეგო დიეტა, რომელიც ამერიკელი ხალხის ძირითადი სენის – ქრონიკული დადლილობის საწინააღმდეგოა მიმართული. დადლილობა კი, ქრონიკულად არასწორი კვების შედეგია, ასევე როგორც (მისი მითითებით) მოთენთილობა, მუშაობის უნარების დაქვეითება, დეპრესია და მრავალი სომატური დაავადებები.

ჰ. ჰეის აზრით ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია ძირითადად შემდეგი მიზეზების გამო:

ა) ზედმეტი ცილების მიღებით, რომელიც წარმოქმნის „მძიმე დავალიანებას ჩვენი ფსიქიკური ფუნქციებისას.

ბ) ისეთი დენატურალური პროდუქტების ზედმეტი მიღებით, როგორიცაა თეთრი შაქარი, თეთრი პური, რაფინირებული და სახამებლიანი შაქრის ფორმები.

გ) იმ შეცდომებით, რომელიც მოგვდის სხვადასხვა პროდუქტების კომბინაციებში.



“ორგანიზმის ქიმიზმის” უგულვებელყოფით პირველი ორი პუნქტი აწმყო დროში დამტკიცებულია იმ მკვლევარების უმეტესობით, რომელნიც მუშაობენ სწორი კვების საკითხებთან დაკავშირებით. მესამე პუნქტი ეხება სპეციფიურ მხარეს, ასე ვთქვათ განცალკევებულ დახარისხებულ კვებას, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ კვების დროს არ დაიშვას ცილოვანი ნივთიერებებისა და ნახშირწყლების ერთმანეთში არევა, ან რაც შეიძლება ნაკლებად იქნას ეს დაშვებული. თავის დროზე ჰეი ცდილობდა დამტკიცებინა, რომ საკვების არასწორი არევა ერთმანეთში შესაძლებელია იწვევდეს “პათოლოგიურ დადღას”. ამ პირობების დასამტკიცებლად მან ჩაატარა შემდეგი ცდა: შეარჩია 18 მამაკაცი, 28 და 55 წლამდე ასაკის და უფლება მისცა საკვებადგამოყენებინათ მათთვის ნაწიველი პროდუქტები, მაგრამ მათ რაციონში მეცნიერმა შეიტანა კორექტივები. ის პროდუქტები, რომელთა ცილების მატარებელი იყვნენ (კვერცხი, ხორცი, თევზი), მან განაცალკევა – ნახშირწყლების მატარებელი პროდუქტებისგან (პური, კარტოფილი, მარცვლეული). ამ პროდუქტებს ის აძლევდა არა ერთდროულად, არამედ სხვადასხვა დროს. აქედან წარმოიშვა დიეტის სახელწოდება – “განცალკევებული” კვება. კონტროლისათვის, ჰეი აწარმოებდა უბრალო ცდებს მუშაობის უნარიანობაზე. პირველი კვირის ბოლოს, კონტროლმა გვიჩვენა, რომ მუშაობის უნარიანობა გაიზარდა 50%-ით, ხოლო მე-4 კვირის ბოლოს 165%-ით. ცდის ჩატარების შედეგად აღინიშნა, რომ განცალკევებულ კვებას მიყვარებთ ისეთი მოშლილობის გაქრობამდე, როგორცაა ინიციატივის დაქვეითება, შრომის უნარიანობის დაქვეითება და აგზნებადობა, ცდის წარმატებამ ბოლო 50 წლის მანძილზე ჰპოვა გამოყენება ამერიკაში, ხოლო მის მერე, რაც დოქტორმა ლუდვიგ ვალბმა გააფართოვა განცალკევებული კვებით მკურნალობა, ის უკვე 30 წლის განმავლობაში გამოიყენება ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში. ასეთი კვების დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამდაგვარი კვება არის სრულფასოვანი კვება. სხვადასხვა კომბინაციების ზეგავლენით, ჰეის თანახმად, ორგანიზმი “გამომიშვავებს” და “იმარაგებს” მეტი რაოდენობის ენერჯიას.

### განცალკევებული კვების პრაქტიკა

განცალკევებული კვების დროს ყურადღება უნდა მიექცეს სამ ფაქტორს: 1. კვების რა პროდუქტებს უნდა მოვერიდოთ და რომელი გამოვიყენოთ. 2. როგორ მივადწიოთ დღის განმავლობაში ორგანიზმში ტუტე არის წარმოქმნას, რომელიც ორგანიზმს სჭარდება. 3. განცალკევებული კვების პრინციპების დაცვას. ამიტომ საჭიროა ცოდნა, თუ როგორ შევარჩიოთ მენიუ.

### საკვები ნივთიერებების არჩევა

1. უნდა ვერიდოთ შემდეგ პროდუქტებს:
  - ა) დენატურირებული პროდუქტები – (თეთრი პური, მაკარონი, რაფინირებული ბრინჯი, ტკბილეული) ე.ი. ყველა იმ პროდუქტს რაც კავშირშია თეთრ შაქართან.
  - ბ) მსუქანი ხორცი და ცხიმისანი ძეხვი.
  - გ) მკვრივი ცხიმები
  - დ) მაიონეზი და სოუსები
 ასევე უნდა ვერიდოთ ზოგიერთ მცნარეულ პროცედურებსაც, რომელიც შეიცავენ ჭარბი რაოდენობით ცილებს და ნახშირწყლებს.
2. რეკომენდირებულია ყველა სხვა სახის პროდუქტი, განსაკუთრებით ხილი და ბოსტნეული, ასევე უხეში ფხვნილიდან გამომცხვარი პური. დასაშვებია

ხორცისა და თევზის გამოყენება, მხოლოდ 24 საათში 100 გ-ზე მეტი არ შეიძლება. რძის პროდუქტებისა და კვერცხის გამოყენებისას, არ შეიძლება ცილის დღიური ნორმის გადაჭარბება ე.ი. თუ ხორცს მივიღებთ, მაშინ რძე უნდა შევამციროთ ან სულ არ უნდა დავლიოთ. (უმჯობესია რძე სულ არ მივიღოთ).

ცხიმების სახით შეიძლება გამოვიყენოთ მზესუმზირის ზეთი, გოგრის ზეთი, ზეთუნის ზეთი და სხვა. დღეში 30-60 გ. საკმარისია – ასე თვლიდა ჰეი. იმისთვის, რომ არ განადგურდეს უჯერი რიგის სრულფასოვანი ცხიმოვანი მჟავები, ეს ზეთები უკეთესია გამოვიყენოთ სალათებში. ხორცი და ბოსტნეული სასურველია დამზადდეს საკუთარ წვენში. ხილისა და ბოსტნეულის უმეტესი ნაწილი კი უნდა გამოვიყენოთ უმი სახით, რადგანაც უმი საკვები ბუნებრივია და ამავე დროს მოხარშულთან შედარებით გაცილებით სასარგებლოა.

### ღლიჯრი რაციონის მიხედვით ტუტე არის სიჭარბე ორგანიზმის ტუტეანობა

ჰეი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთო კვებას, ტუტეანობის სიჭარბეს. ტუტეანობის წარმომქმნელები არიან ის საკვები პროდუქტები, რომლებშიც ჭარბობენ შემდეგი მინერალები: ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი და მაგნიუმი. სიმჟავიანობის წარმომქმნელებში კი ჭარბობენ: ფოსფორი, ქლორი და გოგირდი. განსაკუთრებით ძლიერ ტუტე წარმომქმნელ პროდუქტებს მიეკუთვნება ბოსტნეული და ხილი. სიტყვა ტუტე “წარმომქმნელი” ან “სიმჟავე წარმომქმნელი” იხმარება ტუტის ან სიმჟავის სიჭარბის განსაზღვრისთვის, რომელიც დარჩა ორგანიზმში ამა თუ იმ საკვები პროდუქტის გადამშავების შედეგად.

პრაქტიკული დასკვნა – ვისაც სურს რომ ორგანიზმში ტუტეანობა, მუდმივი და ნორმალური ჰქონდეს, მათ უნდა დაამატონ ხორცი, თევზი, კვერცხი და მარცვლეული, საკმარისი რაოდენობის ხილი და ბოსტნეული; და არაა რეკომენდირებული ჭარბი რაოდენობის ხორცი, თევზი და კვერცხი, რადგანაც ისინი სიმჟავიანობას სწევენ მაღლა. ჰ. ჰეიმ შემოგვთავაზა თავისი პროპორცია დღის რაციონისა: ხორცი, თევზი, მარცვლეული 20%, ხილი, ბოსტნეული 80% საკვების საერთო რაოდენობიდან.

საერთოდ, მთლიანი უარყოფა მარცვლეულისა არ შეიძლება. კარგ პროპორციად ითვლება ასევე 30%-70%.

მაგალითად საქონლის ხორცი მჟავიანობის წარმომშობია 12 %-ით, ხოლო სტაფილო კი 12%-ით ტუტეანობის წარმომშობია. ერთი შეხედვით 100გ. ხორცი და 100 გ. სტაფილომ თითქოს უნდა გაანეიტრალოს ერთმეორე, მაგრამ 100გ. ხორცი – 100 გ. სტაფილო წარმოადგენენ ტუტეწარმომშობ ნარევეს.

### განცალკევებული კვების პრინციპი

ის მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა პროდუქტები არ უნდა მივიღოთ ერთდროულად (ე.ი. პირველ ჭამაზე): საკვების ქაოსური არევა წარმოადგენს საჭმლის მომწელებელი აპარატის ქრონიკული გადატვირთვის მიზეზს და ამავე დროს ართულებს ცალკეული პროდუქტების გადამშავების პროცესს. მაგალითად, ძვირფასი საკვები პროდუქტია ქათმის კვერცხი. ასევე კარგი საკვები პროდუქტებია ჭვავი და ხორბალიც, მაგრამ თუ მათ მივიღებთ ერთდროულად, მაშინ გვექნება არა ჯანმრთელი შერევა საკვები პროდუქტებისა.

რადგანაც ცალ-ცალკე ეს პროდუქტები სხვადასხვანაირად მოქმედებენ მომწელებელ პროცესებზე, ხოლო ერთად მიღების დროს, ძალაუფლებურად ერთად იმ-



ყოფებიან მომწველებელ სისტემასი ამ დროს მცირდება კვებითი ეფექტი ორივე პროდუქტისა, ცალცალკე აღებულის შემთხვევასთან შედარებით. ამ ორი პროდუქტის ერთდროულად გამოყენებისას, ორგანიზმს სჭირდება გაცილებით მეტი ენერჯია მათი ერთდროული გადაამუშავებისთვის. ხოლო თუ კვერცხსა და პურს შევჭამთ სხვადასხვა დროს, მაშინ გადაამუშავება მიმდინარეობს უფრო რაციონალურად. განცალკევებულ კვებაში ძირითად როლს თამაშობენ საჭმლის მონელებაში მონაწილე ფერმენტები (ენზიმები).

არის ისეთი პროდუქტებიც, რომელთა მონელება ხდება მთლიანად მუკვე არეაში. აგრეთვე არის პროდუქტები, რომლებიც გადაამუშავდებიან (იშლებიან) ტუტე არეაში – მუკვეიანობა და ტუტეიანობა იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგო არეები, რომ არ შეუძლიათ ერთდროულად იარსებონ კუჭში, მაშინ ხდება მათი ნეიტრალიზაცია (ქიმიური ნეიტრალიზაციის რეაქციისას მიღება წყალში უხსნადი მარილი და წყალი). ზემოთ მოყვანილი მაგალითის დროს კვერცხის და პურის მონელება ამიტომაც ძნელი, ვინაიდან კვერცხს მუკვე არე ესაჭიროება მონელებისთვის, ხოლო პურს ტუტე. რა თქმა უნდა ბოლომდე ნეიტრალიზაცია იშვიათად ხდება, მაგრამ ვინაიდან კუჭში ბუნებრივად მუკვე არეა, ამიტომ ტუტეიანობა მისი მცირეა და პური მონელების მაგიერ (იხრწნება) ლპება, ხოლო კვერცხი დაიშლება ამინომუკვეამდე, მაგრამ არა ბოლომდე. ნარჩენი ნგახრწნილი პური და წამლავს ორგანიზმს.

ძირითადი საიდუმლოება განცალკევებული კვებისა მდგომარეობს იმაში, რომ ვიცოდეთ, თუ რომელი-საკვები ელემენტები შეიძლება მივიღოთ ერთად და რომელი არა (ე.ი. ერთ ჭამაზე), არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში მუკვე და ტუტეჭარბი საკვები პროდუქტები.

არსებობს მესამე ჯგუფი პროდუქტებისა – ნეიტრალური. ისინი მოითხოვენ მონელებისთვის როგორც მუკვე არე, ისე ტუტე არე და შეიძლება შვურიოთ ყველა კომბინაციის პროდუქტებთან. ეს ჯგუფი წარმოადგენს დღის მენიუს უმეტეს ნაწილს. ეს პროდუქტებია თითქმის ყველა სახის ბოსტნეული, ყველა ცხიმები და ზეთები, ასევე ცხიმოვანი ყველის სხვადასხვა სახეები.

**ნეიტრალურ პროდუქტებს მიკუთვნება:**

1. ყველა ფოთლოვანი ბოსტნეული და საღებავი;
2. თითქმის ყველა ბოსტნეული, რომელიც ამონა-ყარს იძლევა;
3. ყველა სახის თაღვამი და ბოლოკი;
4. ყველა სახის ხახვი;
5. მწვანელი და ყველა სახის კომბოსტო, მწვანე კომბოსტოს გარდა;
6. მწვანე ლობიო, მწვანე სოია და სხვა მსგავსი მცენარეები;
7. ბოსტნეულის საყოფი (წითელი წიწაკა, პამიდო-რი და სხვა);
8. სოკო;
9. კაკალი;
10. ლუდის საფუარი, წყალმცენარეები, უელატინი;
11. ყველა ცხოველური და მცენარეული ზეთი, ცი-მები;
12. ხაჭო და ყველი ცხიმოვნებით 60%-ზე მეტი.

არსებობს უფრო სრულყოფილი ფორმა განცალკევებული კვებისა. ეს მდგომარეობს იმაში, რომ არ უნდა შეერიოს მსგავსი პროდუქტებიც კი. მაგალითად, არ შეიძლება ერთმეორეს შეერიოს კვერცხი, ხორცი და თევზი, თუმცა ორივე ცილოვანი პროდუქტია. პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევაში თავად ასე გამოდის.

პ. პეი წერდა – ”როდესაც ორგანიზმი განთავისუფლდება ნარჩენებისგან, რომლითაც ის ადრე გადატვირთული იყო, აიწვევს გუნება განწყობილება და ადამიანს გადაეშლება ახალი ბედნიერი სამყარო”.

როგორც დასაწყისში ვთქვით ჰიგინის ძირითად ნაწილს წარმოადგენს კვება. სწორედ კვების ამ ელემენტარული ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია საერთოდ ჯანმრთელობა და თავისთავად ნებისმიერი ვარჯიშიც კი, იბადება კითხვა – რატომ? ვარჯიშის დროს, როგორც ცნობილია გააქტიურებულია სისხლის მიმოქცევა, ეს უკანასკნელი კი გამოწვეულია ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გააქტიურებით. ამ დროს ორგანიზმს ესაჭიროება მეტი ჟანგბადი, მეტი მინერალური მარილები, ვიტამინები, ცხიმები, ცილები, ნახშირწყლები და სხვა, ამიტომ სისხლის მიმოსვლა გულიდან ორგანოებისაკენ დაპირიქით, – უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

სისხლს მიაქვს ორგანოებთან ის აუცილებელი პროდუქტები (ელემენტები), რაც საჭიროა ორგანოების ნორმალური მუშაობისთვის, ხოლო უკან ბრუნდება დაშლის პროდუქტებით გამდიდრებული, რომლებშიც შემდეგ გამოიყოფიან გამომყოფი ორგანოების საშუალებით.

მასხადამე, ვარჯიშის დროს სისხლს, ორგანოებთან მიაქვს მათთვის საჭირო პროდუქტები. აი სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა, თუ რა პროდუქტები მიაქვს სისხლს ორგანოებამდე. თუ ეს ნივთიერებები მკვდარია, ან კიდევ ნაკლებ აქტიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ან რაოდენობრივად მცირეა აქტიური ნივთიერებები, მაშინ ესა თუ ის ორგანო ვერ აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნას, მასალის უვარგისობის ან უქონლობის გამო და ის დროთა განმავლობაში სუსტდება, რაც საბოლოო ჯამში მთლიანი ორგანიზმის დასუსტებას იქვევს. ეს მისი ერთი მხარეა.

მეორე დადებითი მხარე ამ კვების უპირატესობისა ის არის, რომ ჯერ ერთი ნაკლები ენერჯია ესარჯება ორგანიზმს მათი გადაამუშავებისთვის, და მეორე ორგანიზმი ნაკლებად ისვრება ”ნარჩენებით”, რომლებიც თავისუფალი რადიკალების სახით მოგზაურობენ ორგანიზმში და სხვა ნივთიერებებთან ურთიერთმოქმედებით წარმოქმნიან ორგანიზმისთვის მავნე შხამიან ნივთიერებებს.

კვების პრობლემა ისეთი აუცილებელია და საჭიროა, რომ დღეს ამ პრობლემის გადაჭრაზე ყოველმა ჩვენგანმა უნდა იფიქროს და იზრუნოს.

**დასკვნა**

როგორც დასაწყისში ვთქვით ჰიგინის ძირითად ნაწილს წარმოადგენს კვება. სწორედ კვების ამ ელემენტარული ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია საერთოდ ჯანმრთელობა და თავისთავად ნებისმიერი ვარჯიშიც კი, იბადება კითხვა – რატომ? ვარჯიშის დროს, როგორც ცნობილია გააქტიურებულია სისხლის მიმოქცევა, ეს უკანასკნელი კი გამოწვეულია ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გააქტიურებით. ამ დროს ორგანიზმს ესაჭიროება მეტი ჟანგბადი, მეტი მინერალური მარილები, ვიტამინები, ცხიმები, ცილები, ნახშირწყლები და სხვა, ამიტომ სისხლის მიმოსვლა გულიდან ორგანოებისაკენ დაპირიქით, – უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

სისხლს მიაქვს ორგანოებთან ის აუცილებელი პროდუქტები (ელემენტები), რაც საჭიროა ორგანოების ნორმალური მუშაობისთვის, ხოლო უკან ბრუნდება დაშლის პროდუქტებით გამდიდრებული, რომლებშიც შემდეგ გამოიყოფიან გამომყოფი ორგანოების საშუალებით.





მასასადამე, ვარჯიშის დროს სისხლს, ორგანოებთან მიაქვს მათთვის საჭირო პროდუქტები. აი სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა, თუ რა პროდუქტები მიაქვს სისხლს ორგანოებამდე. თუ ეს ნივთიერებები მკვლარია, ან კიდევ ნაკლებ აქტიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ან რაოდენობრივად მცირეა აქტიური ნივთიერებები, მაშინ ესა თუ ის ორგანო ვერ აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნას, მასალის უვარგისობის ან უქონლობის გამო და ის დროთა განმავლობაში სუსტდება, რაც საბოლოო ჯამში მთლიანი ორგანიზმის დასუსტებას იქვევს. ეს მისი ერთი მხარეა.

მეორე დადებითი მხარე ამ კვების უპირატესობა ის არის, რომ ჯერ ერთი ნაკლები ენერგია ეხარჯება ორგანიზმს მათი გადამუშავებისთვის, და მეორე ორგანიზმი ნაკლებად ისვრება "ნარჩენებით", რომლებიც თავისუფალი რადიკალების სახით მოგზაურობენ ორგანიზმში და სხვა ნივთიერებებთან ურთიმოქმედებით წარმოქმნიან ორგანიზმისთვის მავნე შხამიან ნივთიერებებს.

კვების პრობლემა ისეთი აუცილებელია და საჭიროა, რომ დღეს ამ პრობლემის გადაჭრაზე ყოველმა ჩვენგანმა უნდა იფიქროს და იზრუნოს.

## რეზიუმე

### ზოგიერთი რეკომენდაციები სწორ ბუნებრივ კვებასა და პირად ჰიგიენაზე

#### ბ. გოგოდზე, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტი

ჰიგიენა უმრავლესობას ესმის როგორც პირის დაბანა, კბილების ჯავრისით ხეხვა, სუფთა ტანსაცმლის ხმარება, ოთახის დასუფთავება, გამზუერება და სხვა ამისთანა, მაგრამ საწუხაროდ ეს ელემენტარული ჰიგიენა და მეტი არაფერი. ჩვენთან მოსულ დამწვევებს, ჩვენ ვასწავლით ჰიგიენას, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: პირად ჰიგიენას ყოფენ ორ ნაწილად: გარეგან და შინაგან ჰიგიენად – (ასევე ზოგად და პირდად) გარეგან ჰიგიენაში შედის სხეულის გარეგანი სისუფთავე, რაც მიღწევა ყოველ დღით პირის დაბანვით, კბილების ჯავრისით გამოსხევით და დამცველი საშუალებებით, შემდეგ ტანის მასაჟი სველი (ცივი) ხელებით, შემდეგ ტანის გაშრობა და მასაჟი მასაჟორით ან კიდევ მშრალი ხელით, ძილის რეჟიმი და სხვა.

კვების პრობლემა ისეთი აუცილებელია და საჭიროა, რომ დღეს ამ პრობლემის გადაჭრაზე ყოველმა ჩვენგანმა უნდა იფიქროს და იზრუნოს.

## SUMMARY

### НЕКОТОРЫЕ РЕКОМЕНДАЦИИ ПО ПРАВИЛЬНОМУ НАТУРАЛЬНОМУ ПИТАНИЮ И ЛИЧНОЙ ГИГИЕНЕ

С. ГОГОДЗЕ, Университет физической культуры и спорта Грузии

Как уже было сказано вначале, питание представляет собой важную часть гигиены. Без элементарного знания о питании невозможно представить здоровье в общем и любые тренировки, в частности, что рождает вопрос – почему? Как известно, во время тренировок активизируется кровообращение, и это последнее вызвано активизацией обмена веществ. В это время организму необходимо больше кислорода, больше минеральных солей, витаминов, жиров, белков, углеводов и др. поэтому движение крови к органам и обратно происходит быстрее.

Кровь несет в органы продукты (элементы), необходимые для нормальной работы органов, а обратно возвращается обогащенная продуктами распада, которые впоследствии выделяются через органы выделения.

Значит, во время тренировки, кровь несет необходимые продукты к органам. Как раз это и имеет значение, какие продукты несет кровь в органы. Если эти вещества мертвые, или находятся в менее активном состоянии, или если количество активных веществ недостаточное, тогда тот или иной орган не может выполнять возложенные на него функции из-за негодности материала или из-за его отсутствия и в течение времени слабеет, что в конечном итоге вызывает слабость организма в целом. Это одна сторона этого питания.

Другое преимущество этой диеты в том, что первое, организм тратит меньше энергии для ее переработки, и второе, организм меньше загрязняется «отходами», которые в виде свободных радикалов путешествуют в организме и взаимодействуя с другими веществами производят вредные, отравляющие организм вещества.

Проблема здорового питания на сегодняшний день стоит очень остро, и каждый из нас должен думать о том, как ее решить.

## SUMMARY

### SOME RECOMMENDATIONS ON PROPER NATURAL NUTRITION AND PERSONAL HYGIENE

C. GOGODZE, Georgian Physical Education and Sport University

1. ფუნქციური და მოტორული დარღვევები შემთხვევების 90%-ის მიზეზია. პერისტალტიკის შეფერხება შეიძლება იწვევს გადიზიანებული ნაწლავის სინდრომის, ნარკოტიკების მოხმარების, დიაბეტის, ქრონიკული პანკრეატიტის და ფსევდოობსტრუქციის შემთხვევაში. იშვიათად შეიძლება მოხდეს რადიაციული ენტერიტის,

ნეიროპათიის, მიოპათიის და სკლეროდერმიის ფონზე. გასტრალური პიპოქლორიპიდრია (პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორების ხანგრძლივი მოხმარება, აუტიომუნური ატროფიული გასტრიტი) ზრდის ნაწლავის მოთესვის სინდრომის განვითარების ალბათობას.

2. ანატომიური დარღვევები. პერისტალტიკის დარღვევა ვითარდება ილეო-ცეკალური მიდამოს რეზექციის, ქირურგიული ჩარევის შემდგომ განვითარებული შეხორცებების, სტრიქტურის, ნაწლავის ანთებითი დაავადებების, ნაწლავის სიმსივნის, წვრილი ნაწლავის დივერტიკულოზის, ფისტულის, თანდაყოლილი მალფორმაციის ან კუჭზე ჩატარებული ქირურგიის შემდეგ სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებში.

3. მეტაბოლური და სისტემური დარღვევები. ინსულინდამოკიდებული დიაბეტის ფონზე განვითარებული ნეიროპათია, აქლორიპიდრია, პანკრეასის უკმარისობა, ღვიძლის ციროზი ცვლის ნაღველის, პანკრეასის, ნაწლავის წვენის ფერმენტულ შემადგენლობას, გასტროენტეროლოგიური ტრაქტის ნორმალურ ფუნქციონირებას.

4. იმუნოდეფიციტური მდგომარეობები. თანდაყოლილი (კომბინირებული იმუნოდეფიციტი, საერთო IgA დეფიციტი) და შეძენილი იმუნოდეფიციტი (აივ-ინფექცია) ზრდის წვრილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის განვითარების რისკს.

### ბაქტერიების ჭარბ ზრდასთან ასოცირებული მდგომარეობები

წვრილ ნაწლავში სტაზის გამომწვევი მიზეზებია
<b>ანატომიური დარღვევები</b> წვრილი ნაწლავის დივერტიკულოზი ქირურგიული ჩარევა (ანასტომოზები) სტრიქტურა (კრონის დაავადება, რადიაცია, ქირურგიული ჩარევა)
<b>პერისტალტიკის დარღვევები</b> ინსულინ დამოკიდებული დიაბეტი სკლეროდერმია ნაწლავის იდიოპათიური ფსევდობსტრუქცია კრონის დაავადება
<b>კომუნიკაციის დარღვევა გასტროინტესტინური ტრაქტის პროქსიმალურ და დისტალურ სეგმენტებს შორის</b> გასტრო-კოლინჯის ან ეიუნო-კოლინჯის ფისტულა ილეოცეკალური სარქველის რეზექცია
<b>მულტიფაქტორული მიზეზები</b> ჰიპოქლორიპიდრია (ატროფიული გასტრიტი, მედიკამენტური) იმუნოდეფიციტი (თანდაყოლილი, აივსი, მძიმე მალნუტრიცია) ქრონიკული პანკრეატიტი რენტული დაავადების ზოლო სტადია ხანდაზმული ასაკი ტოტალური პარენტერალური კვება ბავშვებში





**პათოფიზიოლოგია.** წერილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის სინდრომზე ეჭვი ჩნდება, როცა ვლინდება კლინიკური სიმპტომები: მუცლის ტკივილი, მეტეორიზმი, დიარეა. ეს კი ხდება მაშინ, როცა ბაქტერიების რაოდენობა აღემატება 10<sup>3</sup>/მლ. ბაქტერიები იწვევენ ნაწლავის ეპითელის დაზიანებას. ანაერობები (სტრეპტოკოცცი, აცტეროიდეს, სტაფილოკოკია, აცტობაცილუს) ეპითელს აზიანებენ ინვაზიური მექანიზმით, ხოლო ფაკულტატიური აერობები ეპითელის დაზიანებას ახდენენ ადჰეზიის და ენტეროტოქსინების პროდუქციის გზით. მათ ასევე შეუძლიათ გამოიმუშაონ ენზიმები და მეტაბოლიტები, რაც ასევე აზიანებს ეპითელს. ეპითელის დაზიანებას მოსდევს მოტორიკის დარღვევა, მალდიგესტია ნაწლავის სანათურში და მალაბსორბცია ენტეროციტების დაზიანების გამო.

ცხიმების მალაბსორბცია ვლინდება წონის კარგვით, სტეატორეით და ცხიმში ხსნადი ვიტამინების A, D, E და K დეფიციტით. ამის მიზეზია ბაქტერიების მიერ ნაღვლის მუკების დეკონიუგაცია, თავისუფალი ნაღვლის მუკები და ჰიდროქსილირებული ცხიმოვანი მუკები იწვევს წყლის და ელექტროლიტების სეკრეციის გაძლიერებას, მობილიზაციას ნაწლავის სანათურში და შესაბამისად დიარეას. გარდა ამისა მეტაბოლიტი ლითოქოლის მუკვა ტოქსიურ გავლენას ახდენს ნაწლავის ეპითელზე.

ნახშირწყლების გადამუშავების პროცესში ერთი მხრივ წარმოიქმნება მოკლეჯაჭვიანი ცხიმოვანი მუკები (ბუტირატი, პროპიონატი, აცეტატი, ლაქტატი) და მეორე მხრივ ნახშირორჟანგი, უანზბადი და მეთანი. ეს იწვევს ფეკალიების მუკვე რეაქციას, მუცლის შებერილობას და მეტეორიზმს. ენტეროციტების დაზიანება ნაღვლის მუკებით და ბაქტერიებით აქვეითებს ენტეროციტის დისაქარიალზას აქტიობას და მონოსაქარიდების ტრანსპორტს.

პროტეინების მალაბსორბციის მიზეზი ბაქტერიების მიერ ცილების დეგრადაციის პროცესის შეფერხება და ენტეროციტების მიერ ამინომუკების შეწოვის დაქვეითებაა.

ნაწლავის ბაქტერიები იღებენ მონაწილეობას ვიტამინ B12 სინთეზში და შეწოვაში. მხოლოდ ანაერობებს შეუძლიათ ამ ვიტამინის უტილიზაცია. წერილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის სინდრომის შემთხვევაში ნორმალური შეწოვა ირღვევა, დეფიციტი კი ვლინდება ანემიით და ნევროლოგიური დარღვევებით. ბაქტერიები მონაწილეობენ ფოლის მუკვას სინთეზშიც, მაგრამ ამ სინდრომის დროს ფოლის მუკვას დეფიციტი იშვიათია. ბაქტერიების ჭარბი ზრდის შემთხვევაში ირღვევა ნაწლავის მოტორიკაც, რაც კლინიკურად ვლინდება ანორექსიით და ბოყინით. ზოგჯერ ვლინდება სისტემური ცვლილებებიც: ენცეფალოპათია (ენტერალური ბაქტერიები ცილების და შარდოვანას დაშლის პროცესში წარმოქმნიან ამიაკს), დ-ლაქტაზური აციდოზი (ბაქტერიული ფერმენტაციის დროს წარმოქმნილი ძნელად შეწოვადი ნახშირწყლებია), ცხიმოვანი ჰეპატოზი (ოქსიდაციის პროცესის დარღვევა).

მორფოლოგიური და ჰისტოპათოლოგიური ცვლილებები ნაწლავებში არ არის ტიპური და თუ კი ვლინდება, უსწორესად არასპეციფიურია. მორფოლოგიური ცვლილებებია: ნაწლავის შეშუპება, ვასკულარიზაციის ცვლილებები, ლაქოვანი ერთემა, იშვიათად წყლულოვან-ეროზიული დაზიანება. ჰისტოლოგიური ცვლილებებია: კრიპტიტი, ხაოების გადასორება, ინტრაეპითელური ლიმფოციტოზი და ეოზინოფილია.

**კლინიკური მანიფესტაცია.** ბოყინი, მეტეორიზმი, აბდომინური დისკომფორტი, ქრონიკული წყლისებური დიარეა წამყვანი კლინიკური ნიშნებია. სტეატორეა იშვიათია და მხოლოდ ანატომიური მალფორმაციების შემთხვევაში გვხვდება. ნებისმიერ ასაკში შესაჩნევია წონის კლება, ბავშვებში ხშირია ზრდაში შეფერხება. ამას ემატება დეფიციტური მდგომარეობების კლინიკური გამოვლინებებიც: ვიტამინი B12 დეფიციტისთვის ტიპურია სისუსტე, სენსორული ატაქსია, პარესთეზიები. ჰიპოკალციემია ვლინდება ტეტანიით, პერიორალური დაბუყების შეგრძნებით, კიდურების პარესთეზიით, კუნთების სპაზმით. ბავშვებში შეიძლება ვიტამინის დეფიციტთან დაკავშირებული ძვლის მეტაბოლიზმის დარღვევაც. ლაქტაზური აციდოზის განვითარების შემთხვევაში შესაძლებელია მენტალური ცვლილებები, განსაკუთრებით ნახშირწყლოვანი პროდუქტებით კვების დროს. სიმპტომები ვარიანტურია: მეტყველების პრობლემა (ლუღლულთ ლაპარაკი), ატაქსია, კონგულსია, კომა.

გასინჯვის დროს უსწორესად შინაგანი ორგანოების პათოლოგიური ცვლილებები არ ვლინდება. შესაძლებელია შებერილი მუცლის, ნაწლავების გაძლიერებული ყურყურის და ჰიპოპროტეინემიით გამოწვეული შეშუპების ნახვა.

ლაბორატორიულად: ვიტამინი B12 დეფიციტით გამოწვეული ანემია, სტეატორეა. იშვიათად შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მიკროციტულ ანემიას, რომელიც უკავშირდება წყლულოვან დაზიანებას და სისხლდენას ნაწლავიდან. ძალზე იშვიათია ჰიპოალბუმინემია, რომელიც ძირითადად ცილის კარგვით მიმდინარე ენტეროპათიას ახლავს.

**დიაგნოსტიკა.** წერილი ნაწლავის მოთესვის სინდრომზე ეჭვი უნდა დაიბადოს, თუ პაციენტს აქვს მუცლის შებერილობა, მეტეორიზმი, აბდომინური დისკომფორტი ან ქრონიკული დიარეა. დიაგნოზის დადასტურება ხდება სუნთქვის ტესტით (ცარბოჰიდრატე ბრეატჰ ტესტ) ან ეიუნური ასპირატის კულტურაში ბაქტერიების კონცენტრაციით (>10<sup>3</sup> colony forming units/mL). სუნთქვის ტესტი გაცილებით იოლი, არაინვაზიური ტესტია, ამიტომ ფართოდ გამოიყენება. შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი ტესტირება ამ სინდრომთან ასოცირებული დარღვევების დასაზუსტებლად და ქრონიკული დიარეით და აბდომინური დისკომფორტით მიმდინარე დაავადებების გამოსარჩევად (ცელიაკია, ატროფიული გასტრიტი, კრონის დაავადება, წერილი ნაწლავის მოტორული დარღვევები, ციროზი, რენული დაავადებების ბოლო სტადია, ქრონიკული პანკრეატიტი, იმუნოდეფიციტური მდგომარეობები).

• **სუნთქვის ტესტი ნახშირწყლებზე** გულისხმობს ნახშირწყლების (ლაქტულოზა, გლუკოზა) ბაქტერიული ფლორის მიერ ბაქტერიული ჰიდროლიზის პროცესში წარმოქმნილი წყალბადის და მეთანის ამონახუნთჰ პაერში დეტექციას. ლაქტულოზა არააბსორბირებადი სუბსტანციაა. მისი ბაქტერიული ჰიდროლიზი ხდება მსხვილ ნაწლავში, წარმოქმნილი წყალბადი და/ან მეთანი სუბსტანციის მიღებიდან 2-3 საათში იძლევა ერთ პიკს. წერილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის შემთხვევაში ასეთი პიკის დაფიქსირება ხდება გაცილებით ადრე. რაც მეტყველებს მის მეტაბოლიზმზე წერილ ნაწლავში.

გლუკოზა სწრაფად შეიწოვება პროქსიმალურ წერილ ნაწლავში. წერილი ნაწლავის მოთესვის შემთხვევაში მისი ჰიდროლიზი და წყალბადის მატება ამოსუნთქულ ჰაერში ხდება წერილ ნაწლავში აბსორბციის დაწვებამდე.



სუნთქვის ტესტის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით არსებობს 2017 წელს მიღებული კონსენსუსი:

1. ტესტის ჩატარებამდე 4 კვირით ადრე უნდა შეწყდეს ანტიბიოტიკოთერაპია;
2. პროკინეტიკური საშუალებების და ლაქსატივების მიცემა უნდა შეწყდეს 1 კვირით ადრე (ამ საშუალებების ფონზე ჩქარდება ფეკალიების ტრანზიტი მსხვილ ნაწლავში, რამაც შესაძლოა ცრუ უარყოფითი შედეგი მოგვცეს);

3. ტესტირებამდე 12 საათით ადრე უნდა შეწყდეს ნახშირწყლებით მდიდარი საკვების (პური, მაკარონი, უჯრედისი) და რძის პროდუქტების მიღება, რადგან ფერმენტირებული საკვები ახანგრძლივებს წყალბადის სეკრეციის ხანგრძლიობას და ზრდის მისი ბაზალურ მანევრებელს;

4. გამოკვლევის დღეს არ არის რეკომენდებული ძლიერი ფიზიკური დატვირთვა (ჰიპერვენტილაცია ამცირებს ამოსუნთქულ ჰაერში წყალბადის შემცველობას) და სივარეტის მოწვევა (ზრდის კუჭიდან ტრანზიტის დროს და წყალბადის კონცენტრაციას);

5. ტესტის ჩატარების წინ სასურველია პირის ღრუს ანტისეპტიკური საშუალებებით დამუშავება (ორალური ფლორა შესაძლებელია ცრუ-დადებითი პასუხის მიზეზი გახდეს);

6. ამოსუნთქულ ჰაერში უნდა განისაზღვროს წყალბადი, ნახშირორჟანგი და მეთანი ჯერ ბაზალურად და შემდეგ ყოველ 20 წუთში სუბსტრატის მიღებიდან (გლუკოზა 75 გრამი ან ლაქტულოზა 10 გრამი 1 ჭიქა წყალთან ერთად). სუნთქვის ტესტის ხანგრძლიობა 120 წუთია.

წერილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის სინდრომის დიაგნოზი მართებულია, თუ:

1. წყალბადის მანევრებელი ამოსუნთქულ ჰაერში ბაზალურთან შედარებით 90 წუთში გაიზარდა 20 აპმ;
2. მეთანის დონე არის  $\geq 10$  აპმ

წყალბადის მაღალი ბაზალური მანევრებელი 20 აპმ სავარაუდოთ დიეტური რესტრიქციის რეკომენდაციების დარღვევაზე მიუთითებს. წყალბადის და მეთანის პროდუქციის დაბალი მანევრებლები შეიძლება აიხსნას წყალბადის სულფიდის მაპროდუცირებადი ბაქტერიების არსებობით. ცრუ დადებითი პასუხი უკავშირდება სწრაფ პერისტალტიკას (მოკლე ნაწლავის სინდრომი). ცრუ-უარყოფითი პასუხი გვხვდება 30-40%-ში ძირითადად პაციენტებში, რომელთაც აქვთ ანაერობული ფლორის დაბალი კონცენტრაცია.

**• ეიუნალური ასპირატის კულტურა.**

ასპირატის აღება შესაძლებელია გასტროსკოპიის დროს სტერილური კათეტერით, ასპირატი ექვემდებარება სასწავლო ტრანსპორტირებას და მიკრობიოლოგიურ კვლევას ანაერობული და აერობული მიკროორგანიზმების ზრდის შესაფასებლად. ეს კვლევა ოქროს სტანდარტად ითვლება, მაგრამ ინვაზიურია, ტექნიკურად რთულად შესასრულებელი, ნაწლავური ფლორის მხოლოდ 40%-ის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, თანაც როცა დაზიანება და მოთესვა არ არის ტოტალური, აქვს ლაქოვანი ხასიათი, შესაძლებელია ცრუ უარყოფითი შედეგები. ცრუ დადებითი პასუხი

**წერილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის სინდრომის ორალური ანტიბიოტიკოთერაპია**

მონოთერაპია		კომბინაციური თერაპია	
ანტიბიოტიკი (7-10 დღე)	პედიატრიული დოზირება	ანტიბიოტიკი (7-10 დღე)	პედიატრიული დოზირება
ამოქსიცილინ კლავულანის მჟავა	25მგ/კგ 2-3 მილგზაზე	მეტრონიდაზოლი და ცეფალოსპორინი	20მგ/კგ 2-3 მილგზაზე ცეფალოქსინი 30მგ/კგ 3-4 მილგზაზე
ნორფლოქსაცინი	არ გამოიყენება ბავშვებში	მეტრონიდაზოლი და ტრიმეტოპრიმ სულფამეტოქსაზოლი	20მგ/კგ 2-3 მილგზაზე 10-12მგ/კგ (ტრიმეტოპრიმის კომპონენტი) 2 მილგზაზე
ციპროფლოქსაცინი	20-30მგ/კგ 2 მილგზაზე		
რიფაქსიმინი	>12 წელზე 550მგ 3-ჯერ დღეში 3-11 წელი 200მგ 3-ჯერ დღეში		

შეიძლება უკავშირდებოდეს კონტამინაციას ოროფარინგელურ ფლორასთან.

ტესტი დადებითად ითვლება, როცა ბაქტერიების კონცენტრაცია  $>10^3$  colony forming units/mL. ყველაზე ხშირი ფლორაა Bacteroides, Enterococcus და Lactobacillus

**მართვა.** წერილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის სინდრომის მართვის წამყვანი ღონისძიება ანტიბიოტიკოთერაპიაა, რომლის მიზანია ბაქტერიების რაოდენობის შემცირება და არა სრული ერადიკაცია, პარალელურად საჭიროა ნუტრიციული დეფიციტის და ასოცირებული ილექტი/კოლიტის თერაპია. ანტიბიოტიკოთერაპია თავიდან ემპირიულია.

თუ სუნთქვის ტესტის შედეგი მიუთითებს, რომ სჭარბობს წყალბად წარმოქმნელი ბაქტერიები და მეთანის პროდუქციის აღვილი არა აქვს, რეკომენდებულია რიფაქსიმინი (არაადსორბირებადი რიფამინის დერივატი). პრეპარატი ძვირადღირებულია, მაგრამ ეფექტური (Grade 2C). თუ სუნთქვის ტესტი მიუთითებს მეთან-წარმოქმნელი ბაქტერიების სიჭარბეზე, რეკომენდებულია ნეომიცინი 500მგ 2-ჯერ ან რიფაქსიმინი 550 მგ 3-ჯერ.

ალტერნატიული კომბინირებული მკურნალობა: მეტრონიდაზოლის და ცეფალოქსინის ან მეტრონიდაზოლის და ტრიმეტოპრიმ-სულფამეტოქსაზოლის კომბინაცია, თუმცა სერიოზული კვლევები არ არის არც კომენდაცია ეფექტურობა ცალკეულ მცირე დაკვირვებას.

აუცილებელია მიკრონუტრიენტების დეფიციტის კორექცია (ვიტამინი B12, რკინა, თიამინი და ნიაციინი). ასოცირებული ილექტი და კოლიტი უხშირესად საშუალო სიმძიმისაა და ძირითადი მკურნალობის ფონზე გაივლის, მძიმე შემთხვევებში საჭიროებს ნაწლავის ანთებითი დაავადებების ანალოგიურ მკურნალობას.

7-10 დღიანი კურსი უმეტეს შემთხვევაში ეფექტურია, თუმცა ზოგჯერ საჭირო ხდება ანტიბიოტიკოთერაპიის გაგრძელება 14 დღემდე.

პროფილაქტიკური ანტიბიოტიკოთერაპია ნაჩვენებია იმ შემთხვევებში, როცა არის ამ სინდრომის განვითარების მაღალი რისკი (მოკლე ნაწლავის სინდრომი, წერილი ნაწლავის დივერტიკულოზი) ან 1 წლის მანძილზე გამოვლინდა დაავადების 4 და მეტი ეპიზოდი. ასეთ დროს ინიშნება 5-10 დღიანი ანტიბიოტიკოთერაპია 2-4 კვირაში ერთხელ. რეკომენდებულია ანტიბიოტიკის ცვლა რეზისტენტობის გამოქვეყნების პრევენციის მიზნით. ანტიბიოტიკის როტაცია დასაშვებია 1-6 თვეში ერთხელ.

რეკომენდებულია მოკლე ჯაჭვიანი ნახშირწყლების შეზღუდვა (საკვები რომელიც არის ფერმენტირებული და შეიცავს ოლიგო,დი და მონოსაქარიდებს ოსმოსურად აქტიურია და განიცდის სწრაფ ფერმენტაციას წვრილ ნაწლავებში,რასაც მოსდევს მეტეორიზმი და შებერილობა.

**პრობოტიკების ეფექტურობა სადაოა.** კვლევები მიუთითებენ, რომ ქრონიკული დიარეის ალაგებას ადგილი არ აქვს,თუმცა შეინიშნება სუნთქვის ტესტში წყალბადის კონცენტრაციის შემცირება და მუცლის ტკივილის სიხშირის შემცირება.

არ არის სასურველი მედიკამენტები, რომლებიც აფერხებენ პერისტალტიკას (ნარკოტიკები, ბენზოდი-აზეპამი) და პირიქით,პერისტალტიკის დარეგულირების მიზნით დანიშნული პროკინეტური საშუალებები ზოგჯერ ძალზე ეფექტურია. იშვიათად ანტიბიოტიკების არაეფექტურობის და წონის მნიშვნელოვანი კლების ფონზე ქრონიკული მძიმე დიარეის გამო,საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევით პროქსიმალური და დისტალური ნაწლავის ანასტომოზით დაკავშირება.

მიმდინარეობა და პროგნოზი. პაციენტთა 40%-ს მიუხედავად ჩატარებული ანტიბიოტიკოთერაპიისა ად-

ნიშნება სინდრომის რეციდივი 3,6 და 9 თვის შემდეგ. რეციდივი უფრო ხშირია უფროსი ასაკის,ანამნეზში აპენდექტომიის მქონე და პროტონის ტუმბოს ხანგრძლივად მომხმარებელ პაციენტებში.

თუ რეციდივი მოხდა რიფაქსიმინით ემპირიული მკურნალობიდან < 3 თვეში, რეკომენდებულია განმეორებითი თერაპია. თუ რეციდივი მოხდა >3 თვეში,რეკომენდებულია განმეორებით კვლევა (სუნთქვის ტესტი). თუ ანტიბიოტიკის 2 კურსის შემდეგ გაუმჯობესება არ არის, რეკომენდებულია სხვა ფონური დაავადებების გამორიცხვა.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

- 1.Pimental M, Lamont JT, Grover S. Small intestinal bacterial overgrowth: clinical manifestations and diagnosis. www. UpToDate . Literature revue 2017
2. Scarpellini E, Giorgio V, Gabrielli M et al. Rifaximin treatment for small intestinal bacterial overgrowth in children. European Revue medical Pharmacology Science 2013; 17-1314
3. Tanan S, Melli LC, Mello CS et al. Effectiveness of trimetoprim-sulfamethoxazole and metronidazol in the treatment of small intestinal overgrowth in children. J Pediatric Gastroenterology and Nutrition. 2013;57-316

**რეზიუმე**

**წვრილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის სინდრომი: დიაგნოსტიკა და მართვა**

*ც. შარულავა, მ.ჩხაიძე, მ. ტანავა, ი. ხურცილავა  
ი.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალის კლინიკა. თბილისი. საქართველო*

წვრილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის სინდრომი გულისხმობს მსხვილი ნაწლავის ბაქტერიული ფლორის მიგრაციას და გამრავლებას წვრილ ნაწლავში, რასაც მოსდევს ინტესტინური ანთებით გამოწვეული კლინიკური სიმპტომები,მძიმე შემთხვევაში მალაბსორბცია. სტატისტიკური მონაცემები დადგენილი არ არის, ასაკის მატებასთან ერთად დაავადების სიხშირე იზრდება.

პრობოტიკების ეფექტურობა სადაოა. კვლევები მიუთითებენ, რომ ქრონიკული დიარეის ალაგებას ადგილი არ აქვს,თუმცა შეინიშნება სუნთქვის ტესტში წყალბადის კონცენტრაციის შემცირება და მუცლის ტკივილის სიხშირის შემცირება.

არ არის სასურველი მედიკამენტები, რომლებიც აფერხებენ პერისტალტიკას (ნარკოტიკები, ბენზოდი-აზეპამი) და პირიქით,პერისტალტიკის დარეგულირების მიზნით დანიშნული პროკინეტური საშუალებები ზოგჯერ ძალზე ეფექტურია. იშვიათად ანტიბიოტიკების არაეფექტურობის და წონის მნიშვნელოვანი კლების ფონზე ქრონიკული მძიმე დიარეის გამო,საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევით პროქსიმალური და დისტალური ნაწლავის ანასტომოზით დაკავშირება.

პაციენტთა 40%-ს მიუხედავად ჩატარებული ანტიბიოტიკოთერაპიისა აღენიშნება სინდრომის რეციდივი 3,6 და 9 თვის შემდეგ. რეციდივი უფრო ხშირია უფროსი ასაკის,ანამნეზში აპენდექტომიის მქონე და პროტონის ტუმბოს ხანგრძლივად მომხმარებელ პაციენტებში.

თუ რეციდივი მოხდა რიფაქსიმინით ემპირიული მკურნალობიდან < 3 თვეში, რეკომენდებულია განმეორებითი თერაპია. თუ რეციდივი მოხდა >3 თვეში, რეკომენდებულია განმეორებით კვლევა (სუნთქვის ტესტი). თუ ანტიბიოტიკის 2 კურსის შემდეგ გაუმჯობესება არ არის, რეკომენდებულია სხვა ფონური დაავადებების გამორიცხვა.

**SUMMARY**

**SMALL INTESTINAL BACTERIAL OVERGROWTH: CLINICAL MANIFESTATIONS AND DIAGNOSIS**

*TS. PARULAVA, M. CHKHAIDZE, I. KHURTSILAVA, MK. TSANAVA  
I.Cicishvili Childrens,s New Clinic. Tbilisi, Georgia*

Small intestinal bacterial overgrowth (SIBO) is a condition in which colonic bacteria are seen in excess in the small intestine. When present, this overabundance of organisms can result in intestinal symptoms and, in extreme cases, malabsorption. Clinically significant SIBO is diagnosed when bacterial counts exceed 103 organisms/mL in a patient with typical clinical features (eg, abdominal pain, bloating, diarrhea)

Causes of SIBO are GI tract anatomical abnormalities, motility, metabolic, systemic and immune disorders . The diagnosis of SIBO is established with a positive carbohydrate breath test or jejunal aspirate culture. Carbohydrate breath tests are easy to perform, noninvasive, inexpensive and widely available.

Adequate antimicrobial treatment for 7-10 days, supplementation of vitamin B12, fat-soluble vitamins, iron, thiamine and niacin often improve symptoms. However, some patients require prolonged therapy because recurrence is common.



ტაქიარითმიების ღიაბნოსტიკა და მართვა ბავშვებში

სათუნა ლობჯანიძე,

ექიმი-რეზიდენტი, ბავშვთა კარდიო-რევემატოლოგი, მიაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრ. საავადმყოფოს ბავშვთა კარდიოქირურგიის ცენტრის უმცროსი ექიმი – ბავშვთა კარდიოლოგი.

28 დღიდან 18 წლამდე ასაკის პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ სინუსური ტაქიკარდია (ST), სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია (SVT) ან ვენტრიკულური ტაქიკარდია პულსით (VT/პულსით), უნდა ვიხელოვანდეთ ტაქიარითმიების მართვის პროტოკოლით.

ასაკობრივ ნორმასთან შედარებით მაღალი გულისცემის სიხშირე დეფინირდება, როგორც ტაქიკარდია. სინუსური ტაქიკარდია (შთ) სინუსის კვანძიდან მომდინარე იმპულსებით გამოწვეული რიტმია და მისი სიხშირე დასაშვებ ასაკობრივ ნორმებს აღემატება. გულის წუთმოცულობისა და ჟანგბადის მოთხოვნილების გაზრდასთან ერთად გულისცემის სიხშირე იზრდება. გულისცემის სიხშირე იცვლება სტრესისა და აქტივობის შესაბამისად. ჩვილებში HR <220; ბავშვებში HR <180; სინუსური ტაქიკარდიის დროს ელექტროკარდიოგრამაზე კბილები ვიზუალიზდება, ნორმალურია, დ ინტერვალი მუდმივი და ნორმალური ხანგრძლივობისაა, დ ინტერვალი ვარიაბელური, ცვალებადია, QRS კომპლექსი ვიწროა.

სინუსური ტაქიკარდიის ამოსაცნობად აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ მის დამადასტურებელ სიმპტომებსა და შესაძლო გამოწვევ მიზეზებს: გამოსატყუარი ცხელება, ტრავმა, ტკივილი, მეტაბოლური სტრესი, აგზნებადობა, ინტოქსიკაცია, ანემია, ქსოვილოვანი ჰიპოქსია, ჰიპოვოლემია, კარდიალური ტამპონადა, პნევმოთორაქსი, თრომბოემბოლიზმი. პაციენტის შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ანამნეზური მონაცემები: მწვავე დასაწყისი, სტაბილური ჰემოდინამიკა. მნიშვნელოვანია უწყვეტი მონიტორინგი, ვიტალური მონაცემების შეფასება, ელექტროკარდიოგრამის შეფასება.

ადეკვატური სისტემური პერფუზიის შემთხვევაში, ინიციალური მართვის პირველ საფეხურს წარმოადგენს სასუნთქი გზების გამავლობის, ოქსიგენაციისა და ვენტილაციის შეფასება და საჭიროების შესაბამისად, მისი უზრუნველყოფა. სწორი რითმის დასადგენად, შემდეგი საფეხურია ეკგ შესწავლა და QRS ხანგრძლივობის შეფასება. სინუსური ტაქიკარდია არ საჭიროებს სპეციფიკურ მკურნალობას. ის ძირითადად კლინიკური ნიშანია. აუცილებელია გამოიწვევი მიზეზის დროული ამოცნობა და მკურნალობა.

სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია ვითარდება რეენტრი მექანიზმით, რომელშიც დამატებითი გამტარი გზები ან AV კვანძია ჩართული. ხშირად უეცარი დასაწყისითა და გარდამავალი მიმდინარეობით ხასიათდება. რითმი ძალიან სწრაფი, თუმცა რეგულარულია. SVT ჩვილებში ყველაზე ხშირი ტაქიარითმიაა, რომელიც კარდიოვასკულურ დარღვევებს იწვევს. SVT დროს ადეკვატური პერფუზიით ეკგ უცვლელია სტრესისა და აქტივობის შესაბამისად. კბილები არ ვიზუალიზდება და ანომალურია. PR ინტერვალი უხშირესად P კბილების არარსებობის გამო არ განისაზღვრება. R-R ინტერვალი შემთხვევათა უმრავლესობაში მუდმივია და QRS კომპლექსი – ვიწრო. სინუსური ტაქიკარდიისაგან განსხვავებით, მას ახასიათებს მწვავე დასაწყისი და გამოიწვევი მიზეზების არ

არსებობა.

კლინიკური გამოვლინება დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე. ჩვილებში SVT ვლინდება შემდეგი ნიშნებით: უმაღლობა, ქოშინი, აგზნებადობა, უჩვეულო ძილიანობა, მკრთალი ან ციანოზური კანი, პირღებინება. მოზრდილი ასაკის ბავშვებში აღინიშნება: პალპიტაცია, სუნთქვის შემოკლება, ზედაპირული სუნთქვა, თავბრუსხვევა და სინკოპე. თუ პულსი არ ისინჯება და პერფუზია არაადეკვატურია, უნდა გადავიდეთ გულის უპულსო გაჩერების ალგორითმზე.

ადეკვატური სისტემური პერფუზიის შემთხვევაში, უნდა შევავსოთ QRS კომპლექსის ხანგრძლივობა და მოვანდინოთ დიფერენცირება სინუსურ ტაქიკარდიასა და სუპრავენტრიკულურ ტაქიკარდიას შორის. SVT-ის დროს, ჰემოდინამიკურად სტაბილურ პაციენტებში, მკურნალობა ვაგუსური მანევრებით უნდა დავიწყოთ. უმცროსი ასაკის ბავშვებში სახეზე ყინულები უნდა დავადოთ, ხოლო უფროსი ასაკის ბავშვებში, შესაძლებელია, კაროტიდული სინუსის მასაჟის ან ვალსალვას მანევრის ჩატარება. თვალის კაკლებზე ზეწოლა აღარ გამოიყენება რეტინის შესაძლო დაზიანების გამო.

ვაგუსური მანევრებისადმი რეზისტენტული SVT დროს, არჩევის პრეპარატია ადენოზინი. მისი ნახევარდაშლის პერიოდი 10წმ-ზე ნაკლებია, შესაბამისად აუცილებელია მისი ბოლუსურად, სწრაფად შეყვანა. ადენოზინის მაქსიმალური I დოზა არ უნდა აღემატებოდეს 6მგ-ს. (0,1მგ/კგ), ხოლო II მაქსიმალური დოზა 12 მგ-ს (0,2მგ/კგ).

ჰემოდინამიკურად სტაბილური ფართოკომპლექსოვანი ტაქიკარდიის შემთხვევაში, რეკომენდებულია ვენის კათეტერიზაცია და კარდიოლოგის კონსულტაციამდე ამიოდარონის (5მგ/კგ 20-60წთ-ის განმავლობაში), პროკაინამიდის (15 მგ/კგ 30-60წთ-ის განმავლობაში) ან ლიდოკაინის (1მგ/კგ ბოლუსი) გამოყენება. ფართოკომპლექსოვანი ტაქიკარდია შესაძლოა იყოს SVT აბერენტული ინტრავენტრიკულური გამტარებლობით, ამიტომ უნდა შევიყვანოთ ადენოზინი რაც ეფექტური იქნება SVT-ის და არა VT-ის დროს.

სინქრონული კარდიოვერსია უნდა ჩატარდეს კარდიოლოგის კონსულტაციის შემდეგ. ელექტრული განმუხტვის პირველი დოზაა 0,5-1ჯ/კგ. ეფექტის არ არსებობის შემთხვევაში, უნდა გაიზარდოს დოზა 2ჯ/კგ-მდე. აღნიშნული უნდა ტარდებოდეს სედაციის ფონზე. ჰემოდინამიკურად სტაბილურ პაციენტებში კარდიოლოგის კონსულტაცია მკაცრად რეკომენდებულია ამიოდარონისა და პროკაინამიდის შეყვანამდე, ვაგუსურ მანევრებზე, ადენოზინზე და/ან ელექტრულ კარდიოვერსიაზე რეზისტენტული SVT-ის შემთხვევაში.

ბავშვთა ასაკში იშვიათად გვხვდება ვენტრიკულური ტაქიკარდია (VT). აღნიშნული წარმოადგენს პარკუჭებში გენერირებულ ფართოკომპლექსოვან ტაქიარითმიას. ამ დროს, ანამნეზში შესაძლოა აღინიშნებოდეს: გულის სტრუქტურული დაზიანება, მიოკარდიტი, კარდიომეგალია, QT ინტერვალის სინდრომი, ჰიპოქსემია, აციდოზი, ელექტროლიტური დისბალანსი, ინტოქსიკაცია.



ეკგ კრიტერიუმებს მიეკუთვნება: რეგულარული პარკუჭოვანი რითმი, HR >120/წთ, QRS კომპლექსი გართობულია >0,09წმ-ზე, კბილი არ დიფერენცირდება და თუ ჩანს, არ არის დაკავშირებული QRS კომპლექსთან. თ კბილი ღ კბილის დისკონდარტულია და QRS -ის პოლარობის საპირისპიროა. არაადექვატური სისტემური პერფუზიის დროს ინიციალურ მართვას ვიწყებთ სასუნთქი გზების გამავლობის, ოქსიგენაციისა და ვენტილაციის შეფასებით და საჭიროების მიხედვით მისი უზრუნველყოფით. ამის შემდეგ, უნდა გავმართოთ მონიტორინგ/დეფიბრილაციონი და პულსოქსიმეტრი, მოვახდინოთ QRS-ის ხანგრძლივობის შეფასება, სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიისა და სინუსური ტაქიკარდიის დიფერენცირება. თუ QRS ფართოა, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან VT პულსით

და SVT აბერანტული ინტრავენტრიკულური გამტარებლობით.  
არასტაბილურ პაციენტებში დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოთ სინქრონიზებული კარდიოვერსიის ჩატარება.

### ბამოყენებული ლიტერატურა:

- 1) <http://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/06/02/87c9b4c2647a2d9a77aec84b262ff478.pdf>
- 2) <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/26411729>
- 3) [http://www.adhb.govt.nz/starshipclinicalguidelines/\\_Documents/Tachyarrhythmia.pdf](http://www.adhb.govt.nz/starshipclinicalguidelines/_Documents/Tachyarrhythmia.pdf)
- 4) <https://www.uptodate.com/contents/approach-to-the-child-with-tachycardia>
- 5) <https://www.uptodate.com/contents/management-of-supraventricular-tachycardia-in-children>

## რეზიუმე

### ტაქიარითმიების დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში

*ხათუნა ლობჯანიძე, ექიმი-რეზიდენტი, ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგი, შ.ი.აშვილის სახ. ბავშვთა ცენტრ. საავადმყოფოს ბავშვთა კარდიოქირურგიის ცენტრის უმცროსი ექიმი – ბავშვთა კარდიოლოგი.*

ტაქიარითმიები პედიატრიულ ასაკობრივ ჯგუფში კარდიალური გადაუდებელი მდგომარეობების მნიშვნელოვან უმრავლესობას ქმნის. რეკომენდაციები შეეხება 28 დღიდან 18 წლამდე ასაკის პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ სინუსური ტაქიკარდია (ST), სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია (SVT) ან ვენტრიკულური ტაქიკარდია პულსით (VT/პულსით).

## SUMMARY

### DIAGNOSIS AND MANAGEMENT OF TACHYARRHYTHMIAS IN CHILDREN

*KHATUNA LOBJANIDZE, MD (Pediatric Cardiology-Rheumatology Residency Program), Junior Doctor, Pediatric Cardiologist (M. Iashvili Children's Central Hospital, Children's Cardiac Surgery Centre).*

Tachyarrhythmias form a significant majority of the cardiac emergencies encountered in the pediatric age group. Recommendations are intended for patients aged 28 days to 18 years with sinus tachycardia (ST), supraventricular tachycardia (SVT) or Ventricular tachycardia with pulse (VT / pulse).

## კარდიოლოგიის თეორიული საფუძვლები

- 307. თირეოტიქსიკოზის დროს გულის დაზიანების უმთავრესი ეკგ ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:**
- ა) სინუსური ტაქიკარდია;
  - \*ბ) სინუსური ბრადიკარდია;
  - გ) II, III განხრამში P კბილის ამპლიტუდის გაზრდა;
  - დ) II, III და ვულკერდის განხრამში T კბილის ამპლიტუდის გაზრდა;
  - ე) მოციმციმე არიტმია;
  - ვ) RS-T სეგმენტის დეპრესია და გადასწორებული, ორფაზიანი ან უარყოფითი T კბილი.
- 308. მიქსედემის დროს შეიძლება განვითარდეს შემდეგი ეკგ ცვლილებები:1). დაბალვოლტაჟიანი ეკგ; 2). სინუსური ბრადიკარდია; 3). ST სეგმენტის დეპრესია და უარყოფითი T კბილი;4). P-Q(R) და QT ინტერვალის გახანგრძლივება.**
- \*ა) ყველა ჩამოთვლილი;
  - ბ) სწორია 1, 2, 3;
  - გ) სწორია 2, 3;
  - დ) სწორია 3, 4.
- 309. ფეოქრომოციტომის დროს შეიძლება განვითარდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ეკგ ცვლილება, გარდა:**
- ა) II, III avF განხრამში P კბილის ამპლიტუდის გაზრდა;
  - ბ) მარცხენა პარკუჭის შიპერტროფიის ნიშნები;

- \*ა) P-Q ინტერვალის შემოკლება;
  - დ) U კბილის ამპლიტუდის და ხანგრძლივობის გაზრდა;
  - ე) TP სეგმენტის ცდომა.
- 310. სიმსუქნის დროს ეკგ-ზე შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი ცვლილებები:1). გულის ელექტრული ღერძის მარჯვნივ გადახრა;2).** მარცხენა პარკუჭის შიპერტროფიის და გადაძაბვის ნიშნები;3). QRS კომპლექსის დაკბილება; 4). Q-T ინტერვალის გახანგრძლივება.
- ა) ყველა ჩამოთვლილი;
  - ბ) სწორია 1, 2, 3;
  - გ) სწორია 1, 3, 4;
  - \*დ) სწორია 2, 3, 4.

- 311. კლიმაქტერული და დისჰორმონული მიოკარდიოპათოლოგიის დროს ეკგ-ზე შეიძლება გამოვლინდეს:1). გადასწორებული, ორფაზიანი და უარყოფითი T კბილი (უპირატესად გულმკერდის განხრამში); 2). RS-T სეგმენტის დეპრესია; 3). მარცხენა პარკუჭის შიპერტროფიის ნიშნები; 4). მარჯვენა პარკუჭის შიპერტროფიის ნიშნები.**
- \*ა) სწორია 1, 2;
  - ბ) სწორია 1, 2, 3;
  - გ) სწორია 2, 3, 4.



312. პიპოკალიმიის და პიპოკალციმიის დიფერენცირებისას ამ უკანასკნელის არსებობაზე მიუთითებს:

- ა) Q-T ინტერვალის გახანგრძლივება;
- ბ) RS-T სეგმენტის დეპრესია;
- გ) უარყოფითი ან ორფაზიანი T კბილი;
- \*დ) ნორმალური ფორმისა და პოლარობის T კბილი.

313. საგულე გლიკოზიდებით ინტოქსიკაციის ეკგ ნიშნები ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) RS-T სეგმენტის ვარცდისებური დეპრესია და ორფაზიანი ან უარყოფითი T კბილი;
- \*ბ) RS-T სეგმენტის გუმბათისებრი ელევაცია და დადებითი წვეტიანი T კბილი;
- გ) ალორიტმიის ტიპის პარკუჭოვანი ექსტრასისტოლური არიტმიის განვითარება;
- დ) სინუსური ბრადიკარდია;
- ე) ატრიოვენტრიკულური გამტარებლობის შეფერხება.

314. T კბილის ამპლიტუდის შემცირება და U კბილი ამპლიტუდის გაზრდა ახასიათებს:

- ა) პიპერკალიმიას;
- \*ბ) პიპოკალციმიას;
- გ) პიპერკალციემიას;
- დ) პიპოკალციემიას.

315. პარკუჭთა შუა ბიჯის დეფექტის არსებობისას შეიძლება აღინიშნოს შემდეგი ეკგ ცვლილებები: 1). გულის ელექტრული ღერძის გადახრა მარჯვნივ; 2). მარცხენა პარკუჭის გადაბების ნიშნები; 3). მარჯვენა პარკუჭის პიპერტროფიის ნიშნები; 4). გულმკერდის მარცხენა განხრებში ღრმა Q კბილი.

- \*ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 2, 3, 4.

316. წინაგულთა შუა ბიჯის დეფექტის ეკგ ნიშნებია: 1). გულის ელექტრული ღერძის გადახრა მარჯვნივ  $a=+120$  გრადუსი; 2). მარჯვენა პარკუჭის გადაბების და პიპერტროფიის ნიშნები; 3). პისის კონის მარჯვენა ფეხის არასრული ბლოკადის ნიშნები; 4). მოციმიციმე არიტმიის ნიშნები.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- \*ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 2, 3, 4.

317. ღია ბოტალის სადინრის არსებობისას ეკგ-ზე აღინიშნება ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მარცხენა პარკუჭების პიპერტროფიის ნიშნები;
- ბ) მარჯვენა პარკუჭის გადაბების ნიშნები;
- გ) მარცხენა წინაგულის პიპერტროფიის ნიშნები;
- \*დ) მარჯვენა წინაგულის პიპერტროფიის ნიშნები;
- ე) მარცხენა პარკუჭის გადაბების ნიშნები.

318. ფალოს ტეტრადის ეკგ ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გულის ელექტრული ღერძის გადახრა მკვეთრად მარჯვნივ;
- ბ) მარჯვენა პარკუჭის პიპერტროფიის ნიშნები;
- გ) გულმკერდის მარჯვენა განხრებში RS-T სეგმენტის დეპრესია;
- დ) პისის კონის მარჯვენა ფეხის არასრული ბლოკადის ნიშნები;
- \*ე) მარცხენა პარკუჭის გადაბების ნიშნები.

319. ფილტვის არტერიის იზოლირებული სტენოზის ეკგ ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გულის ელექტრული ღერძის გადახრა მარჯვნივ;
- ბ) მარჯვენა პარკუჭის პიპერტროფიის ნიშნები - qR და R ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი VI განხრებში;

- გ) V1-V4 განხრებში RS-T სეგმენტის დეპრესია და ღრმა, უარყოფითი T კბილი;
- დ) II, III, avF განხრებში მაღალი, წვეტიანი P კბილი;
- \*ე) I, avL განხრებში P კბილის გახანგრძლივება.

320. ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან დექსტროკარდიოსთვის ტიპურია: 1). I სტანდარტულ განხრაში უარყოფითი PQRST კბილები; 2). II განხრა შეესაბამება III-ს და პირიქით; 3). V3-V6 განხრებში QRS კომპლექსისა და T კბილის ვოლტაჟის თანდათანობითი შემცირება.

- \*ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

321. პიპოტრომიის ტიპური ეკგ ნიშნებია: 1). გულის რიტმის გაიშვითება; 2). R-Q(R) და Q-T ინტერვალის შემოკლება; 3). QRS კომპლექსის ST სეგმენტის გადასვლის ადგილის j კბილის განჩენა; 4). სხვადასხვა ტიპის არიტმიების აღმოცენება.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- \*გ) სწორია 1, 3, 4;
- დ) სწორია 2, 4.

322. ქვემოთ ჩამოთვლილი კარდიოსტიმულატორების ტიპებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება:

- ა) ქოფაგალური;
- ბ) პერიკარდიული;
- გ) მიოკარდიული;
- დ) ენდოკარდიული წინაგულოვანი;
- \*ე) ენდოკარდიული პარკუჭოვანი.

323. მუშაობის რეჟიმის მიხედვით ყველაზე მარტივი სტიმულატორია:

- \*ა) იმპულსების ფიქსირებული სისშირით მომუშავე (ასინქრონული);
- ბ) მოთხოვნილების მიხედვით მომუშავე (demand-ტიპი);
- გ) წინაგულების აქტივობასთან სინქრონული (P-მართვადი);
- დ) პარკუჭების აქტივობასთან სინქრონული.

324. გულის ელექტრული ღერძის მარჯვნივ გადახრის მიზეზია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ფილტვების ემფიზემა;
- ბ) მარჯვენა პარკუჭის პიპერტროფია;
- \*გ) მარცხენა წინა პეიმბლოკი;
- დ) მარცხენა უკანა პეიმბლოკი;
- ე) დექსტროკარდია;
- ვ) მარცხენა პარკუჭოვანი კარდიოსტიმულაცია.

325. გულის ელექტრული ღერძის მარცხნივ გადახრის მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- \*ა) მარცხენა უკანა პეიმბლოკი;
- ბ) ქვედა კედლის გავრცელებული ინფარქტი;
- გ) მარჯვენა პარკუჭოვანი კარდიოსტიმულაცია;
- დ) მარცხენა პარკუჭის პიპერტროფია;
- ე) WPW სინდრომის B ტიპი.

326. I და avL განხრებში გაფართოებული და ორფაზიანი P კბილი ფიქსირდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიების დროს, გარდა:

- ა) მიტრალური სტენოზი;
- ბ) რეგურგიტაციით მიმდინარე მიტრალური პროლაფსი;
- გ) დილატაციური კარდიომიოპათია;
- დ) მიტრალური ნაკლოვანება;
- \*ე) აორტული სტენოზი.



327. III და avF განხრებში მაღალი წვეტიანი P კბილი აღინიშნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიის არსებობისას, გარდა:

- ა) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია;
- ბ) მარჯვენა წინაგულის მიქსომა;
- გ) ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური პათოლოგიები;
- \*დ) მიტრალური ნაკლოვანება;
- ე) ტრიკუსპიდული ნაკლოვანება.

328. I, II, avF განხრებში გაფართოებული, ორკუხიანი P კბილი აღინიშნება შემდეგი პათოლოგიების დროს: 1). მარცხენა წინაგულის პიპერტროფია; 2). წინაგულშიდა გამტარებლობის შეფერხება; 3). მარჯვენა წინაგულის პიპერტროფია.

- ა) ყველა შემთხვევაში;
- \*ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

329. მარჯვენა წინაგულის პიპერტროფიის ეკგ ნიშნები შეიძლება დაფიქსირდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიის არსებობისას, გარდა:

- ა) სინუსური ტაქიკარდია;
- ბ) პიპოკალემია;
- გ) ასთენიური სინდრომი;
- \*დ) მარცხენა წინაგულის მიქსომა;
- ე) ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები.

330. მარცხენა წინაგულის პიპერტროფიის ეკგ ნიშნები შეიძლება დაფიქსირდეს შემდეგი პათოლოგიის არსებობისას:

- ა) სინუსური ტაქიკარდია;
- ბ) პიპოკალემია;
- გ) ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები;
- დ) მარჯვენა წინაგულის მიქსომა;
- \*ე) მარცხენა წინაგულის მიქსომა.

331. P-Q(R) ინტერვალის გახანგრძლივების მიზეზი შეიძლება იყოს, ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გიდ;
- ბ) საგულე გლიკოზიდების მიღება;
- გ) რევმატიზმი;
- \*დ) LGL სინდრომი.

332. მარჯვენა პარკუჭის QRS ტიპის პიპერტროფია ყველაზე ხშირად აღინიშნება შემდეგი პათოლოგიების არსებობისას:

- ა) სამკარიანი სერელის სტენოზი;
- ბ) სამკარიანი სარქველის ნაკლოვანება;
- \*გ) წინაგულთაშუა ძვიდის დეფექტი;
- დ) ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული პათოლოგია;
- ე) პარკუჭთაშუა ძვიდის დეფექტი.

333. მარცხენა პარკუჭის პიპერტროფიის მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) არტერიული პიპერტენზია;
- ბ) აორტის სერელის სტენოზი;
- გ) აორტის სარქველების ნაკლოვანება;
- დ) იდიოპათიური სუბაორტული სტენოზი;
- ე) აორტის კოარქტაცია;
- \*ვ) სამკარიანი სერელის სტენოზი.

334. I ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა შეიძლება იყოს:

- ა) იდიოპათიური;
- ბ) თანდაყოლილი;
- გ) გიდ-ით გამოწვეული;
- დ) რევმატიზმის შედეგი;
- ე) წამლისმიერი;
- \*ვ) ყველა პასუხი სწორია.

335. II ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადის (2:1 გამტარობით) მიზეზი შეიძლება იყოს: 1). მწვავე რევმატიული კარდიტი; 2). საგულე გლიკოზიდები; 3). დიფტერია; 4). გიდ.

- \*ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 2, 3, 4.

336. პარკუჭების ფიბრილაცია შეიძლება განვითარდეს ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, გარდა:

- ა) ქირურგიული ჩარევით გამოწვეული პიპოქსიის შედეგად;
- ბ) ელექტრული შოკის შედეგად;
- გ) ზოგიერთი მედიკამენტის მიღების ფონზე;
- დ) პიპოთერმიის დროს;
- ე) მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებისას;
- \*ვ) სრულიად ჯანმრთელ პირებში.

337. Q-T ინტერვალის შემოკლების მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) პიპერკალიმია;
- \*ბ) პიპოკალიმია;
- გ) პიპერკალციმია;
- დ) აციდოზი;
- ე) საგულე გლიკოზიდების მიღება.

338. Q-T ინტერვალის გახანგრძლივების მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) პიპოკალემია, პიპოკალციემია, პიპომაგნემია;
- ბ) პიპოთერმია;
- გ) ზოგიერთი ანტიარტიმული პრეპარატის მიღება;
- \*დ) ბეტა-ბლოკატორების მიღება;
- ე) თანდაყოლილი კარდიალური პათოლოგია;
- ვ) კარდიომიოპათია.

339. უარყოფითი S კბილის აღმოცენების მიზეზი შეიძლება განდეს ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მიტრალური ხერელის სტენოზი და მარჯვენა პარკუჭის პიპერტროფია;
- \*ბ) შაქრიანი დიაბეტი;
- გ) საგულე გლიკოზიდების მიღება;
- დ) მარცხენა პარკუჭის პიპერტროფია;
- ე) მიოკარდიუმის ინფარქტი და სტენოკარდია.

340. დაბალვოლტაჟიანი ეკგ ახასიათებს ყველა ჩამოთვლილს, გარდა:

- ა) მიქსედემას;
- ბ) პერიკარდიუმის ღრუში ექსუდატის ან ტრანსუდატის დაგროვებას;
- გ) ფილტვების ემფიზემას;
- დ) პარაფარისებრი ჯირკვლების პიპოფუნქციას;
- \*ე) თირეოტიკოსიკოზს.

341. ვექტოროკარდიოგრაფიის მეთოდი განსაკუთრებით ფასეულია:

- ა) გულის რიტმის დარღვევების ანალიზისთვის;
- ბ) ატრიოვენტრიკულური გამტარებლობის ანალიზისთვის;
- გ) მიოკარდიუმის იშემიის გამოვლენისთვის;
- \*დ) მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკისთვის.
- ე) გულის გამოკვლევის ინსტრუმენტული მეთოდები

342. გულის გამოკვლევის არაინვაზიურ მეთოდებს მიეკუთვნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) რენტგენოგრაფია;
- ბ) ფონოკარდიოგრაფია;
- გ) ექოკარდიოგრაფია;
- დ) რადიონუკლიდური მეთოდები;
- \*ე) ანგიოგრაფია;
- ვ) ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი.

# კლინიკური ლექციები ბავშვთა კარდიო- რევმატოლოგიის საფუძვლები

სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებთანთვის.  
აგრეთვე უმადლეს სასწავლებელთა პედაგოგთათვის



CARDIOLOGY  
REVMAATOLOGY

მ.მ.დ. პროფსორი,  
აკადემიკოსი  
ბიორბი ჩახუნაშვილი  
მედიცინის დოქტორი ნინო ჯობაზა  
2014

## ბავშვთა კარდიო- რევმატოლოგიის საფუძვლები

1

სისხლის მიმოქცევა  
(დედა-პლაცენტა-ნაყოფი)

Cardiac Problems in  
Perinatology  
and Paediatrics;

2

ინსპექცია  
პერტუსის  
აუსკულტაცია  
(ფკპა)  
და  
გულ-სისხლძარღვთა  
სისტემის  
დაავადებები

3

ექვანის კლინიკური  
ღირებულებანი  
ბავშვთა  
და  
მოზარდთა ასკვი-  
პედიატრიისა  
და  
ბ/კარდიო-  
რევმატოლოგიაში

### წასაკითხია აგრეთვე

4

ინსტრუმენტული  
და  
ლაბორატორიული  
კვლევები:  
ექო გრაფია,  
კაპილაროსკოპია,  
კარდიოინტერ-  
ვალოგრაფია,  
Re-გრაფია  
და სხვ.

5

Cor

გულ-  
სისხლძარღვთა  
სისტემის  
დაავადებები

6

Rev

შემერთებული  
ქსოვილის  
დაავადებები


7

სიმპტომების  
და  
სიმდროშების  
(ცხელება  
ართრალგია  
მიალგია  
გამონაყარი  
და ა.შ.)  
კლინიკური  
ღირებულებანი  
ბავშვთა  
და  
მოზარდთა ასკვი

2014-2016 წწ. წა-  
კითხულია კლინიკური  
ლექციები ბავშვთა  
კარდიო – რევმატო-  
ლოგიის საფუძვლები  
– (სულ 4-ლექცია),  
სტუდენტების, რეზი-  
დენტებისა და ექიმებ-  
თანთვის. აგრეთვე  
უმადლეს სასწავლე-  
ბელთა პედაგოგთათ-  
ვის. შესაძლებელია  
მსურველებს პრეზენ-  
ტაციები ჩაგაწერი-  
ნოთ.

(„ირ.ციციშვილის  
სახ. ბავშვთა ახალი  
კლინიკა“ – ღუბლია-  
ნას ქ. №21. დიდოში)  
რა თქმა უნდა, რო-  
გორც ყოველთვის, ეს  
იქნება საჩუქრის სა-  
ხით.  
(სასურველია წინას-  
წარ შემითანხმდეთ –  
პროფესორი გიორგი  
ჩახუნაშვილი)

# ერთ-ერთი პირველი ქართული პრეპარატები



პური

მამილინაზილია ფუტკინის ზრდიეპტაზით

# სპერექსი

ცეფაკლორი



## II თაობის ცეფალოსპორინი

**მოზრდილებისთვის** სადღეღამისო დოზა შეადგენს სხეულის მასის მიხედვით - 10-15 მგ/კგ გაყოფილი 2-4 მიღებაზე ჭამის დროს ან შემდეგ. საშუალო სიმძიმის ინფექციების დროს პრეპარატი მიიღება 250 მგ 3-ჯერ დღეში (ყოველ 8 სთ-ში), მძიმედ მიმდინარე ინფექციების დროს - 500 მგ 3-ჯერ დღეში (პნევმონია, შუა ყურის მწვავე ანთება).  
**მოზრდილების მინიმალური სადღეღამისო თერაპიული დოზაა 750 მგ, მაქსიმალური რეკომენდებული დოზა - 2 გ, მაქსიმალური დასაშვები დოზა - 4 გ.**  
**მკურნალობის კურსი შეადგენს საშუალოდ 7-10 დღეს.**  
**6 წლამდე ასაკის ბავშვებში** რეკომენდებულია სპერექსის სუსპენზიის სახით დანიშვნა. ბავშვებში საშუალო სიმძიმის ინფექციების სამკურნალოდ სპერექსი ინიშნება **20-40 მგ/კგ** დღეში გაყოფილი 2 ან 3 მიღებაზე. მაქსიმალური დასაშვები სადღეღამისო დოზაა 1 გ.  
**1 თვიდან 1 წლამდე (9 კგ) - 2.5 მლ 3-ჯერ დღეში, 1 წლიდან 5 წლამდე (9-18 კგ) - 5 მლ 3-ჯერ დღეში**  
**სუსპენზიის მომზადების წესი:** ფლაკონის შიგთავსს დაამატეთ გადაღებულ, გაცივებული წყალი ფლაკონზე აღნიშნულ ზოლამდე. მიიღება ნითელი ფერის სუსპენზია ყოლის არომატით. გამოყენების წინ შეანჯღრიეთ!  
 სუსპენზია გამოიყენება მომზადებიდან არა უმეტეს 2 კვირის განმავლობაში. მჭიდროდ დახურული ფლაკონი მზა სუსპენზიით ინახება მაცივარში 2-8°C ტემპერატურაზე. დაუშვებელია გაყინვა.  
**ბამოშვების ფორმა:**  
 კაფსულები 250 მგ. №10  
 ფხვნილი პერორალური სუსპენზიის მოსამზადებლად 125 მგ/5 მლ. 60მლ ფლაკონი.

# კვადიმაქსი

ცეფპოდოქსიმი



## III თაობის ცეფალოსპორინი

**მიღების წესი და დოზირება:** 5 თვიდან 13 წლამდე ასაკის ბავშვებში კვადიმაქსი ინიშნება 5-10 მგ/კგ-ზე 12 სთ-ში ერთხელ. მაქსიმალური სადღეღამისო დოზა არ უნდა აღემატებოდეს 400 მგ-ს. მკურნალობის კურსის ხარგრძლივობა - 5-10 დღე.  
**13 წლის ასაკის ზემოთ ბავშვებსა და მოზრდილებში** კვადიმაქსი ინიშნება 100-400 მგ. 12 სთ-ში ერთხელ. მკურნალობის კურსის ხარგრძლივობა - 7-14 დღე.  
**რეკომენდებულია კვადიმაქსის ტაბლეტის მიღება საკვებთან ერთად.** სუსპენზიის მიღება კვებთან დაკავშირებული არ არის.  
**ბამოშვების ფორმა:** ფხვნილი პერორალური სუსპენზიის მოსამზადებლად 50მგ/5მლ. 30 მლ ფლაკონი.  
 ტაბლეტები 100 მგ, 200 მგ. №10.

# როქსიტასი-ავერსი

როქსითრომიცინი



როქსიტასის დოზირება

სხეულის მასა	რეკომენდებული სადღეღამისო დოზა
40 კგ-ზე მეტი	150 მგ (1 ტაბლეტი) 2-ჯერ დღეში ან 300 მგ (2 ტაბლეტი) ერთხელ დღეში
24-40 კგ	100 მგ (10 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში
12-23 კგ	50 მგ (5 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში
6-11 კგ	25 მგ (2.5 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში

ტაბლეტები: მიიღება დაუღეჭავად, საკმარისი რაოდენობის წყალთან ერთად, ჭამამდე დაახლოებით 15 წთ-ით ადრე.  
 სუსპენზია: 2 თვიდან 4 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის რეკომენდებულია როქსითრომიცინის სუსპენზიის სახით მიღება. სუსპენზია მიიღება პერორალურად, ჭამამდე დაახლოებით 15 წთ-ით ადრე. მიღების წინ შეანჯღრიეთ!  
**ბამოშვების ფორმა:** როქსიტასი-ავერსი 150 მგ №10 ტაბლეტი; როქსიტასი-ავერსი 50 მგ/5 მლ 30 მლ სუსპენზია.

შპს "ავერსი-რაციონალი", საქართველო.  
 საინფორმაციო სამსახური: 967 227  
[www.aversi.ge](http://www.aversi.ge)

